ლიტერატურული გაზეთი

№10(170) 20 მაისი - 2 ივნისი 2016 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



გიორგი ლობჟანიძე

ძველმოდური ლექსი

გადავიარეთ იანვარი — თვე უძნელესი,
როგორც მთის წვერი, საიდანაც თავქვე დავეშვით...
თებერვალია ეს თავქვე და ენძელებივით
ჩავეხუტებით ქარიან მარტს სევდის მკლავებში.

„იანვარი, თებერვალი, მარტი,
შენ დაკარგე ყველა მისამართი“...
თებერვალში ვის უნახავს ვარდი,
ვარდებივით ფანტელები ბარდნის...

ჩემი კატაა ფანჯარაზე, თვლემს და კრუტუნებს,
როგორც ჩავლილი სიყვარულის ელდა პირველი,
უხილავია ყველაფერი, რაც ჩვენ გვაწუხებს,
ან უფრო: თვალით სახილველად გაუწირველი...

თოვლს შეუდგება ალბათ მალე პირველი ლეღმა,
და ნაჭერ-ნაჭერ ღრუბლის წვიმა მაღლა ციდანა,
რაღა ქნას ხევში მოქანავე პატარა ლეღვმა,
თუ სანაყოფე ყვავილი ვერ გამოიტანა.

საით გავექცე ამ ფორიაქს, სიცრუის წიაღს,
ამ გაურკვეველ ხალხს — სულით და ხორცით აკუმებს,
არავის ჩემთვის გულის კარი არ გაუღია,
არადა, ღმერთო — ხომ ხედავდი? — დავაკაკუნე!

IV

გელა ჩქვანავა

მხრებზე შემოჯდარი ეშმაკი

ციკლიდან — „სანაპიროს ქუჩის ამბები“

მეთუნუქე დოდო ბასილაიას წესად ჰქონდა, ჩაიში შაქარი საჭიროზე ორჯერ მეტი ჩაეყარა და მხოლოდ იმას დასჯერებოდა, რაც თავისით გაიხსნებოდა, იმიტომ, რომ მისი ცოლი, სანამ ცოცხალი იყო, საკუთარი ხელით ურევდა ხოლმე ქმრისთვის ფინჯანში შაქარს. ამას კი მეთუნუქე ისე შეეჩვია, რომ ეს საქმე ცოლის სიკვდილიდან თორმეტი წლის შემდეგაც ეზარებოდა. ჩაის სმას რომ მორჩებოდა, ფინჯანის ფსკერზე გაუხსნელ შაქარს დახედავდა, გარდაცვლილი თანამეცხედრე მოაგონდებოდა და ნაღვლიანდებოდა.

ცოლის, გულნაზის სიკვდილზე არანაკლებ მტკივნეულად განიცდიდა დოდო ბასილაია იმასაც, რომ ვაჟიშვილი არ ყავდა. ციროზით გარდაცვლილი მეუღლე კი ხშირად ეცხადებოდა ხოლმე სიზმარში — ხან თეთრი კაბით, ქალაქის ერთ-ერთი რაიონის მილიციის განყოფილების უფროსის სიძის სახლის გადახურვაში აღებული ფულით რომ უყიდა თავად დოდომ და, გარდაცვლილს განსაკუთრებით უყვარდა; ხან კი იმ ლურჯი კაბით, რომელიც დოდომ მეუღლეს სტამბის დირექტორის კატერის სახურავის შეკეთებაში აღებული ფულით მიართვა. მოგვიანებით გულნაზმა ის ლურჯი კაბა მაკრატლით დაჭრა მას შემდეგ, რაც ვიღაც ანონიმმა ტელეფონით შეატყობინა, შენი ქმარი სტამბის დირექტორის ქარაფშუტა ცოლის მოხიბვლას ცდილობდაო.

აი, უკვე მერამდენე წელი გადიოდა, რაც დოდო ბასილაია აპირებდა და ვერ ბედავდა სიზმარში გამოცხადებული მეუღლისთვის ეთხოვა, ნება მომეცი, რომელიმე სხვა ქალს ჩემგან ბიჭი გავაჩენინო, რათა გვარის გამგრძელებლის გარეშე არ გადავეგოო. როგორც კი მეთუნუქე საამისოდ მხნეობას მოიკრებდა და მიიჩნევდა, რომ ამ მეტად დელიკატურ საკითხზე დასალაპარაკებლად მზად იყო, გულნაზი მაშინვე ლურჯ კაბაში გამოეცხადებოდა და ხელში იმ წითელტარიანი მაკრატლის ტრიალს მოყვებოდა, რომლითაც თავის დროზე ხსენებული კაბა ნაკუწებად აქცია. ამის შემხედვარე დოდოს გამბედაობა ღალატობდა. ბოლო ჯერზე კი მეთუნუქემ დამატებით კიდევ ერთი, უფრო უცნაური და თანაც ფერადი სიზმარი იხილა: თითქოს მხრებზე თავისი მომავალი ვაჟი შეესვა; როგორც კი ბედნიერი მამა ბავშვის ჩამოსმას დააპირებდა იმის სანახავად, თუ როგორი იყო მისი მემკვიდრე, ეს უკანასკნელი მაშინათვე ღრიალს მორთავდა და მთელი ძალით ჩააფრინდებოდა მშობელს თმებში; ამიტომ ეს უკანასკნელი იძულებული იყო, სიზმრის ბოლომდე ყველა ოთახში სარკე ეძებნა, რათა იქიდან მაინც დაეთვალიერებინა გვარის გამგრძელებელი და, მისდა სამწუხაროდ, ვერაფრით პოულობდა. სიზმრის ბოლოს, ორიოდ წამით ადრე, სანამ ცივ ოფლში გაწურულს გამოეღვიძებოდა, მოულოდნელად გულნაზის ხმა ჩაესმა, მხრებზე მომავალი ვაჟი კი არა, ეშმაკი შემოგსკუპებიაო, მაგრამ მეთუნუქემ არც მაშინ, იმ ფერად ხილვაში და არც გამოღვიძების შემდეგ, ცხადში, ეს ამბავი არ დაიჯერა...

იმ სასტუმროს კარნიზებსა და ლუქსის ნომრების აივნების მოაჯირზე, რომლის მეოთხე სართულის ერთ-ერთ ჩვეულებრივ ოთახში დოდო ბასილაია ახლა თავის, წინა დღეს გამოჭერილ ტურისტ ქალთან ერთად განმარტოვებულიყო, მტრედებს უყვარდათ ჩამოსხდომა და ნაზი და გაბმული ღუღუნით იქაურობის აკლება.

ტურისტი ქალი სიგარეტის ნამწვს მამაკაცური მანერით აჭყლეტდა საფერფლეს, რაც ნასვამ მეთუნუქეს აღიზიანებდა და თან, რატომღაც, ასევდიანებდა. დასევდიანებული დოდო ფანჯარასთან მიდიოდა, მეოთხე სართულის სიმაღლიდან თავის მშობლიურ სანაპიროს ქუჩას ათვალიერებდა შორიდან. ერთხელ, ფანჯარასთანავე, თავისდამოუღოდნელად ისიც კი გაიფიქრა, გამორიცხული არ არის, მეზობელი ნომრის აივნის მოაჯირზე ჩამომსხდარი მტრედებიდან რომელიმეში, თუნდაც აი, იმაში, თავი გვერდზე რომ გადაუხრია და შემომცქერის, ჩემი გულნაზის სული იყოს ჩასახლებულიო, რის შემდეგაც შეცბა და უნებურად ღონიერი მხრები ისე შეათამაშა, თითქოს ზედ სულის მოსათქმელად შემოსკუპებული ეშმაკები ჩამოიფერთხაო.

დოდოს ქალს ცისფერი, კეთილი თვალები ჰქონდა — სიგარეტის ჩაქრობის მანერას თუ არ გავიხსენებთ — არც ვულგარული ეთქმოდა. მოხდენილი ყელით, სწორი ფეხებითა და, რაც მთავარია (და, რასაც მეთუნუქე საპირისპირო სქესის წარმომადგენლებში უპირველესად აქცევდა ყურადღებას), თლილი თითებითაც შეეძლო დაეკვეხნა. ეტყობოდა, რომ კავალრით მეტად კმაყოფილი გახლდათ და თავის მხრივ სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ ჩაეკითხა, გრძნობდა თუ არა მასთან თავს ბედნიერად. ამის გაგონებაზე დოდოს ისევ მეზობელი აივნის მოაჯირზე ჩამომსხდარი მტრედებისკენ გაეპარებოდა ხოლმე მზერა.

ქალმა დოდოს მესამედაც რომ გაუმეორა კითხვა, პასუხად ისე ამოიხვნეშა, ფანჯარაზე მისგან კარგა ხუთ ნაბიჯში ფარდაც კი შეირხა.

— სოფი ლორენივით ჯიშიანი ხარ, — უთხრა სკამზე მოკალათებულმა მეთუნუქემ ქალს და ტრილიაჟის სარკიდან შეხედა, შემდეგ კი ფანჯრიდან, ნეილონის დღის ფარდების მიღმა, ზედ ზღვის პირას მდგარი ყველაზე მაღალი ევკალიპტის ხე შეათვალიერა, რომელზეც დიდი ხნის წინათ, ბავშვობაში, ჯაყვის წვერით საკუთარი ინიციალები ამოეჭრა, — შენ, ალბათ, ძალიან ჯანმრთელ, მხარბეჭიან და შეხედულ ბიჭს გამიჩენდი. მართალია, სიმაღლით დიდად ვერ დაიკვეხნი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ პირმშო მე დამემგვანება!

დოდო ბასილაია სათქმელს მორჩა თუ არა, იგრძნო, როგორ შეეკრა ქალს სუნთქვა.

— ცოლობას მთხოვ? — დაძაბული პაუზის შემდეგ იკითხა ქალმა.

VI-VII

„თრთოდნენ კიბენი ფეხქვეშ ციხისა...“

დღე არ გავიდოდა, რომ მამაჩემს ახალი ფირფიტა არ მოეტანა. ხშირად ჩამესმის მამაჩემის ხმა. დგას ხელგაშლილი და მღერის — „ß Ëîýíãðèèí“... მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და სულ მაინტერესებდა, ვინ იყო ეს ლოენგრინი.

პატეფონის დაკვრა მისთვის განსაკუთრებული რიტუალი იყო. დედაჩემს, ჩემს ძმებსა და მე ტახტზე დაგვსვამდა. სერიოზული გამომეტყველებით ფრთხილად დაქოქავდა ხოლმე პატეფონს და სხვადასხვა ოპერას გვასმენინებდა. ვიჯექით გასუსულები და ზედმეტად განძრევასაც ვერიდებოდით. ისიც აინტერესებდა, მუსიკალური სმენა თუ მქონდა, მაგრამ ჯიუტი ვიყავი, პირი ვერ გამაღებინა. სანამ ვერის სახლს გაყიდდა და მარაბდის ქუჩაზე, ქობულეთის აღმართის ზემოთ სახლს ააშენებდა, გურამიშვილის ქუჩაზე, ერთოთახიანში გადაგვიყვანა. როგორც ჩანს, ბარგის გადატანისას პატეფონი დაზიანდა და სამუდამოდ დადუმდა. მამაჩემმა ბევრი უჩხიკინა, მაგრამ ამაოდ. ეს ამბავი ისე განვიცადეთ, თითქოს ოჯახის წევრი დაგვეკარგოს.

*

ჩვენი მისაღები ოთახი ხანდახან ერთი მსახიობის თეატრს ემსგავსებოდა. შაბათობით მამაჩემი თავის საყვარელ ლექსებს გვიკითხავდა. არამარტო დიდი პოეტების ლექსებს, არამედ საკუთარ თარგმანებს ფეტიდან, ბოდენშტედიდან, მაიაკოვსკიდან, ბალმონტიდან, ლუი ბულიედან. უკვე არც იმდენად პატარა ვიყავი, რომ ყოველივე ამას ჩემზე გავლენა არ მოეხდინა. მამაჩემს ლამაზი ტემბრის ხმა ჰქონდა. ლექსს ისე კითხულობდა, რომ რაღაც ზღაპრული სიმფონიასავით ჩამესმოდა. განსაკუთრებით მიყვარდა და ახლაც ძალიან მიყვარს მისი თარგმანი ბალმონტიდან. ჯერ რუსულად წაიკითხავდა: „Ìå÷òîþ ëîâèë ÿ óõîäÿùèå òåíè, óõîäÿùèå òåíè çàõîäÿùåãî äíÿ“ და მერე ქართულად:

„ოცნებით ვკრეფდი მიმავალ
ჩრდილებს, მიმავალ ჩრდილებს
მინურულ დღისა...
კოშკზე ვიდოდი, თრთოდნენ
კიბენი, თრთოდნენ კიბენი
ფეხქვეშ ციხისა...“

იმდენად მიყვარს ეს თარგმანები, რომ დიდი სურვილი მაქვს, ჩემს მოგონებებს დავურთო, რადგან ამ თარგმანებიდან ნათლად ჩანს 1914-1916 წლების ახალგაზრდობის სახე, მათი მისწრაფებები და ჩვენი თანამედროვე ენისგან რამდენადმე განსხვავებული გამოხატვის საშუალებები. ახლა გაცრეცილი, ყვითელი ფურცლები შემრჩა და ვცდილობ, აღვადგინო და ახალი სიცოცხლე მივცე...

მამაჩემი ხატავდა კიდეც. შემორჩენილი მაქვს მისი ტუშით დახატული რამდენიმე ილუსტრაცია ჟურნალ „ჯეჯილისთვის“.

შელი

...ისევ ჩემს ძველ სახლს დავუბრუნდები. დიდი დერეფნის შუაში საქანელა ეკიდა. ჩემი ძმები და მისი მეგობრები რიგრიგობით მაქანავებდნენ. მათ შორის იოსებ ნონეშვილიც იყო. იოსები დეიდაჩემის, ანეტას სახლში ხშირად დადიოდა. გაჭირვებაში ცხოვრობდა, მაგრამ მალე ლექსების წერით გაიკაფა გზა. ქართულის სახელგანთქმული მასწავლებელი — ვარო ვარდიაშვილი — დიდ მზრუნველობას იჩენდა მისდამი. მალე დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი რომ გახდა, მე უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. მალხაზმა ჩემი თარგმანები წაუღო, პერსი ბიში შელის რამდენიმე ლექსი, და მან ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდა კიდეც.

შელის ლექსების თარგმანები მწერალთა კავშირში წავიკითხეთ მანამდე. ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ გივი გაჩეჩილაძემ მაიძულა. მახსოვს, დარბაზის პირველ მწკრივში ზვიად გამსახურდია იჯდა. შემატყო, რომ ძალიან ვღელავდი და გასამხნევებლად მიღიმოდა. ადრეც ვყავდი ნანახი „კოლხურ კოშკში“. დედამისი — მირანდა ფალავანდიშვილი — გვენათესავებოდა. დედაჩემის დედაც ფალავანდიშვილი იყო. დედაჩემმა რამდენჯერმე წამიყვანა ქალბატონ მირანდასთან. სათნო, მშვენიერი ქალი იყო. ჩაით გვიმასპინძლდებოდა ხოლმე. ძალიან მინდოდა კონსტანტინე გამსახურდიას ნახვა, მაგრამ არც ერთხელ გამოჩენილა. ზვიადს კი მუსიკის გაკვეთილები ჰქონდა ხოლმე და ქალბატონი მირანდა წუხდა — მასწავლებელს არ უჯერებსო.

ლექსების კითხვა რომ დავამთავრე, ბატონმა გივიმ იკითხა, ვინმეს აზრის გამოთქმა ხომ არ უნდაო. ზვიადმა ხელი ასწია, წამოდგა და თქვა: „მთარგმნელი სულ ახალგაზრდაა, ეს მისი პირველი ნაბიჯებია. უნდა გავამხნევოთ და შევაქოთ. განსაკუთრებით მომეწონა ლექსი „ცვალებადობა“. წარმატება ვუსურვოთ და გზა დავულოცოთ“.

ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში და როცა კი ზვიადს დავინახავდი, საოცარ სიხარულს განვიცდიდი. ერთხელ ტრამვაით მივდიოდი (მაშინ ტრამვაი ¹ 5 დადიოდა), ვიღაცამ ბილეთი

მედეა ზაალიშვილი

ცაში გამოკიდული სახლი

ჩემი მოგონებები ჩითის ჭრელა-ჭრულა ნაკუწებისაგან შეკერილ საბანს ჰგავს. რაც გონებაში ამოტივტივდება, იმას ვწერ — უბრალოდ, ამბავს ვყვები, არც ქრონოლოგიას ვიცავ და არც რაიმე წესს ვემორჩილები.

გადმომაწოდა: „აი, იმ ყმაწვილმა გადმოგცათ“. გავიხედე და ტრამვაის წინა ჩასასვლელთან ზვიადი იდგა. თავისი ულამაზესი თვალებით შემომხედა, ხელი დამიქნია და ჩავიდა.

*

იოსებ ნონეშვილმა, სანამ ლექსებს დაბეჭდავდა, რამდენჯერმე ჰკითხა ჩემს ძმას, შელის მეორე სახელი რა არისო? სულ ავიწყდებოდა — ეს „ბიში“ რაღა უბედურებაა. როგორც იქნა, დაიმახსოვრა და როცა კი სადმე შემომხვდებოდა, სულ იცინოდა: „მაშ, ბიში-ბიში, არა?“

იდუმალი კაცი

თბილი, ნათელი ღამეა, ცა ვარსკვლავებით მოჭედილა, სავსე მთვარე ნელ-ნელა ტივტივებს შორეული მთების თავზე. ყველას ძინავს. მე კი ძილი არ მეკარება. მიყვარს, როცა მარტო ვრჩები ჩემს თავთან. დიდი ფანჯრიდან მოჩანს დაბინდული თბილისი და ფიქრებით მავსებს. ასეთ ღამეში ზოგჯერ ლექსებს ვთხზავ, გარიჟრაჟზე რომ ნისლივით ქრებიან. ზოგჯერ ვასწრებ მათ დამახსოვრებას და ფურცელზე გადატანას, მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდება. მერე ძილი თავისას გაიტანს, წვები და თვალები მელულება. ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში ვარ. უცებ შიში მიპყრობს. კაკუნი გაისმის. თვალს ვახელ და ვაყურადებ. კაკუნი მეორდება. ფრთხილად ვდგები და ფანჯარასთან მივდივარ. ვიღაცის სახეს ვხედავ. შუბლზე შავი, ხვეული თმა ჩამოჰყრია. ოდნავ მოგრძო, ფერმკრთალი სახე აქვს, გადაკალმული წარბები, შავი თვალები უელავს. ისეთი ლამაზია, თითქოს ქრისტეს ჰგავს. ვიღაცას მაგონებს, თითქოს სადღაც მინახავს, მაგრამ ვერ ვიხსენებ. ისევ შიში მიპყრობს. ჩემს ძმას, მალხაზს ვაღვიძებ. მალხაზი ფანჯარასთან მიდის.

— რომელი ხარ? — გასძახებს.

— ელგუჯა ვარ. გამოიხედე გარეთ და მიცნობ.

ჩემი ძმა დაკვირვებით იყურება ფანჯრიდან.

— რომელი ელგუჯა? ელგუჯას არავის ვიცნობ.

— კარგი, რა გაეწყობა, თუ ვერ მიცანი, წავალ და ეგ იქნება, — ეუბნება ვიღაცის იდუმალი, ნაწყენი ხმა.

— მოიცა, მოიცა, გიცანი. ახლავე ჩავიცვამ და გამოვალ, — ხმამაღლა გასძახებს ჩემი ძმა.

— მეც გამოვალ, — ვეუბნები.

— არა, შენ დარჩი, დაწექი და დაიძინე, — მკაცრად მპასუხობს.

რა დამაძინებს. ვაყურადებ. ჩურჩულით ლაპარაკობენ. მერე ვიგრძენი, რომ რაღაცაზე მოილაპარაკეს. ხმაც გავიგონე, გრძელი ხის კიბე სახლის კედელზე მიაყუდეს. სხვენიდან იმ იდუმალი კაცის ფეხის ხმა ჩამოდის. ჩემი ძმა სახლში ბრუნდება. ტახტის სქელ გადასაფარებელს, პატარა ბალიშს და ბოთლით წყალს იღებს. ისევ გადის. ცნობისმოყვარეობა მკლავს. ერთი სული მაქვს, როდის შემობრუნდება.

დედაჩემი ისეთი დაღლილია, ისე ღრმად ძინავს, რომ არაფერი ესმის.

— ვინ არის? — ვეკითხები.

— შენი საქმე არ არის. არც არაფერი გაგიგია და არც გინახავს, გესმის? — მეუბნება მკაცრი ტონით.

— მითხარი ვინ არის და არავის არაფერს ვეტყვი, კრინტსაც არ დავძრავ, — ვეხვეწები.

— მოვა დრო და გეტყვი. ახლა დაიძინე.

მთელი ღამე მესმოდა ყრუ ხველება და მძიმე ნაბიჯების ხმა.

როგორც იქნა, გათენდა. დედა სამსახურში წავიდა. არც არაფერი შეუმჩნევია. სკოლაში წასასვლელად ვემზადები. ჩემი ძმა ყოველთვის ჩემზე ადრე გადიოდა სახლიდან, ახლა კი ფეხს ითრევს, არ ჩქარობს. მერე ფარდის უკან გადის — პატარა, დაწნული კალათა გამოაქვს, ასუფთავებს, ქაღალდს ჩაუფენს, მერე პატარა ლამბაქს ჩადგამს, ერთ ნაჭერ პურს და ყველს ჩადებს.

— კიდევ გვაქვს რამე? — მეკითხება.

— ერთი-ორი პომიდორი უნდა გვქონდეს.

ორი ცალი პომიდორი გვქონია. იმასაც კალათაში დებს, პატარა ფანჯარაში ცოტა მარილსაც ყრის.

— კიბეზე ადი და ეს კალათა სხვენში შედგი. არ შეიხედო, გესმის? ფრთხილად იყავი. მიიხედ-მოიხედე, არავინ დაგინახოს.

უხმოდ ვემორჩილები. კიბეზე ავცოცდები, კალათას სხვენის ღია კარში შევდგამ და უმალვე ჩამოვდივარ.

ასე მეორდებოდა სამი დღის განმავლობაში. როგორც ჩანს, მალხაზმა დედას გაანდო საიდუმლო, მაგრამ დედა არაფერს იმჩნევდა. ღამით კაცი უჩუმრად ჩამოდიოდა სხვენიდან და ასევე უჩუმრად ბრუნდებოდა.

ჩემი ძმა დღისით შინ არ იყო. საღამოს ბრუნდებოდა. დაბნელებას ელოდა. მერე კალათაში აწყობდა თუ რამ საჭმელი აღმოჩნდებოდა სახლში, ჩუმად აიპარებოდა, ჩუმად საუბრობდნენ. სმენას ვძაბავდი, მაგრამ ამაოდ. სამი დღის შემდეგ, შუაღამისას ვიგრძენი, როგორ ჩამოვიდა კაცი სხვენიდან და როგორ შეერია მწუხრს. ჩემს მეხსიერებაში კი ისე ჩაიბეჭდა მისი სახე, რომ ვერა და ვერ ვივიწყებდი. ჩემს ძმას ვეკითხებოდი, როდის დადგება ის დრო, როცა იმ კაცის ვინაობას გამიმხელ-მეთქი.

— როცა ის დრო დადგება, შენ უკვე დიდი გოგო იქნები, — მპასუხობდა მალხაზი.

გავიდა წლები. ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში. უნივერსიტეტი დავამთავრე და გორში წავედი. გორის ინსტიტუტში მალხაზიც ასწავლიდა. ჩემი ლექტორი, გივი გაჩეჩილაძე მირჩევდა, უნივერსიტეტში დარჩი და დისერტაცია დაიცავიო. თემაც შემირჩია: „პანთეიზმი პერსი ბიში შელის შემოქმედებაში“. მაგრამ ავიჩემე, დამოუკიდებელი ცხოვრება მირჩევნია, გზა ჩემით უნდა გავიკვლიო-მეთქი. თუმცა გორში ორი წელიც ვერ გავძელი — ისევ და ისევ, ხელფასის სიმწირის გამო. თბილისში დავბრუნდი და უნივერსიტეტში მომცეს სალექციო საათები.

ერთ დღესაც ჩემმა ძმამ მითხრა:

— საჩუქარი მოგიტანე და ახლა უკვე შეგიძლია გაიგო იმ იდუმალი კაცის ვინაობა.

აღელვებულმა გავხსენი თეთრ ქაღალდში სათუთად გახვეული საჩუქარი:

სქელტანიანი წიგნი: „დათა თუთაშხია“, ავტორი — ჭაბუა ამირეჯიბი.

ანზორ სალუქვაძის იასამნები

ბელინსკის ქუჩაზე საბავშვო ბაღი, მგონი, ახლაც ცნობილია. ბაღის დირექტორი, თამარ ერისთავი, სიმპათიური, სათნო, თეთრთმიანი ქალი იყო. მამიდაჩემის, ელო ბერძენიშვილის უახლოესი მეგობარი. ერთად შეადგინეს საბავშვო კრებული — „იხარე, მწვანე ჯეჯილო“, რომელიც მრავალი თაობის, მათ შორის ჩემი შვილებისა და შვილიშვილების უსაყვარლეს წიგნად იქცა.

ქალბატონმა თამარმა იცოდა ჩვენი გაჭირვება და დედაჩემს საბავშვო ბაღის გადასახადს არ ახდევინებდა. საბავშვო ბაღში ბევრი ისეთი მეგობარი გავიჩინე, რომლებიც ცხოვრების მანძილზე არ დამვიწყებია. მათ შორის იყო ანზორ სალუქვაძე, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ თბილად ეცვა. სუსტი ბავშვი ჩანდა, ცხვირი სულ სველი ჰქონდა და სრუტუნებდა. დამიმეგობრდა. თბილი, უსაყვარლესი ბავშვი იყო და ყველაზე მეტად მასთან თამაში მომწონდა. ქვიშის სასახლეების აგება გვიყვარდა. ბაღის დამთავრების შემდეგ წლები გავიდა და ერთმანეთი აღარ გვინახავს.



*

პირველკურსელი ვარ. უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ მეგობრებთან ერთად ვდგავარ. ლამაზი, თმახუჭუჭა ყმაწვილი მოდის და ჩემს წინ დგება. მიცქერის და იღიმის:

— გატყობ, ვერ მიცანი. მე კიდევ, დაგინახე თუ არა, მაშინვე გიცანი.

— არა, არა, როგორ არა, დაუჯერებელია, როგორ დავაჟკაცებულხარ, მიხარია შენი ნახვა.

ჩემს წინ ანზორ სალუქვაძე იდგა — სულ სხვანაირი, ამაყი ყმაწვილი.

— უკვე სახლში მივდივარ. თუ გამაცილებ, შენ შენი ამბები მიამბე, მე კი ჩემსას მოგიყვები.

მაშინ უკვე მთის კორტოხზე ვცხოვრობდი. ჩემს სახლთან ორი გზა მიდიოდა: ერთი გზით მთელი ქობულეთის აღმართი უნდა ამევლო, მტვრიანი, ქვა-ღორღით მოფენილი; მეორე — მცხეთის ქუჩით უნდა წავსულიყავი და ბილიკს ზევით უნდა ავყოლოდი. ეს მეორე გზა ავირჩიე — ვფიქრობდი, უფრო ახლოა-მეთქი. მივდივართ და მივდივართ, გზა აღარ მთავრდება. ანზორს ვერ დაეჯერებინა, რომ ასე შორს ვცხოვრობდი.

— რად მიგყავარ, ჩემს მოტაცებას ხომ არ აპირებ, — იცინოდა.

ჩვენს ეზოს მივადექით. კლდოვან, ხრიოკ ადგილას ორიოდე ხის ნერგი იყო შემორჩენილი. მამაჩემმა ბევრი ხეხილი ჩაყარა, მაგრამ ცოტამ თუ გაიხარა. ერთადერთი გამონაკლისი: შედარებით ფხვიერ მიწაზე დარგული, ორი დიდი იასამნის ბუჩქი ჰყვაოდა, ლამაზად და თვალგასახარად. ამ იასამნის ბუჩქებს შორის მიყვარდა შეძრომა, იქ მოვკალათდებოდი და წიგნებს ვკითხულობდი ხოლმე. ანზორი ამ ბუჩქებთან შეჩერდა, აღტაცებული შეჰყურებდა. იქნებ სწორედ მაშინ გაუელვეს თავში ამ სტრიქონებმა: „ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში, თუ არ ჩამაყოლეთ იასამნები“.

*

ამ შეხვედრის შემდეგ ისევ გავიდა წლები. ანზორს აღარსად შევხვედრივარ. მერე მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე.

ნეტავ თუ ჩააყოლეს იასამნები!

„მე ეს ხალხი გულში ვერ ჩამეტია...“

ერთ დღესაც მამაჩემი მოვიდა და გვითხრა: ხვალისთვის მოემზადეთ, ერთი ოთახი დავასრულეთ მე და ბიჭებმა და იქ გადაგიყვანთო. მართლაც გადავედით იმ სახლში, სადაც ზამთარში გვციოდა, გაზაფხულის ჟამს, წვიმების დროს, ჭერიდან წვეთები ჟონავდა. ჩვენთვის არც ზაფხული და არც შემოდგომა იყო სახარბიელო, რადგან წელიწადის ყოველ დროს რაღაც გვაკლდა — ხან საჭმელი, ხან ტანსაცმელი.

უკვე სტუდენტი ვიყავი და უნივერსიტეტის სტუდენტთა ლიტერატურის წრეში გავერთიანდი. იქ ბევრი მეგობარი შევიძინე: ნოდარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, არჩილ სულაკაური, კარლო ქილარჯიანი, ქართლოს კასრაძე... წრეში უმეტესობა ბიჭები იყვნენ. სულ ერთი-ორი გოგო ერია. მახსოვს ეთერ ბასილაშვილი და ნაზი კილასონია. ბუნდოვნად მაგონდება როზა ფეიქრიშვილი და მედეა კვარაცხელია (მედეა, მგონი, უკვე ასპირანტი იყო). წრეს ხელმძღვანელობდა ბესო ჟღენტი, რომელსაც ნოდარ ჩხეიძე და ქართლოს კასრაძე ხშირად აქილიკებდნენ. ქართლოსმა გვიამბო, ერთ წვიმიან დღეს როგორ შესთავაზა ბესო ჟღენტს, ფეხები ძალიან რომ არ დაგისველდეთ, სახლამდე მიგაცილებთო. ბესო ჟღენტი ცუდად ხედავდა, ქართლოსი კი სადაც დიდი წუმპე იყო, იქ ეუბნებოდა — აქ გადახტით, ბატონო ბესოო. ერთი სიტყვით, კარგად აჭყუმპალავა წუმპეებში და სახლში მუხლამდე სველი მიიყვანა.

ერთხელ, მწერალთა კავშირში, რეზო თაბუკაშვილის მიერ თარგმნილი შექსპირის სონეტების კითხვას დავესწარი. ქართლოსიც ესწრებოდა. თარგმანებით აღტაცებულმა თავადაც მიუძღვნა ლექსი ბატონ რეზოს. დიდი ხვეწნის შემდეგ ამ ლექსის დედანი გამოვართვი. ეს ექსპრომტი ახლაც მაქვს შენახული:

რ.თ.-ს

მე სრულქმნილი ვინ მინახავს მის მეტი,
კითხულობს და უკვდავებას უყივის,
გადაშალა დიდ შექსპირის პორტრეტი,
წაგვიკითხა სონეტების წუხილი.

ვილიამსის მარგალიტის ნამძივი
ეტანება ამ ბაღს ყვავილებიანს,
ეჰ, ვინ იცის, სონეტების ბარძიმი,
სიყვარულის ცრემლად დაგილევია.

შენ ხელთ იგდე გამარჯვების აღვირი,
სონეტებით გადაასწარ ალიონს,
მინდა ცრემლი
მაგ ლოყაზე დაღვრილი,
უდაბნოში მწყურვალივით დავლიო.

მე ეს ხალხი გულში ვერ ჩამეტია,
შენ მოჰყევი „კრიტიკოსთა“ ნადავლში,
მე არ დავწერ ჰამლეტის ტრაგედიას,
სიკვდილის წინ
შენს სონეტებს გადავშლი.



ეს ლექსი არსად დაბეჭდილა და თითქმის არც არავინ იცის. მე კი ხშირად ვკითხულობდი და ბოლო ორ სტრიქონსაც ხშირად ვიმეორებდი ჩემს მეგობრებთან.

*

1951 წლის 9 ოქტომბერს, ჩემ დაბადების დღეს, რომლის აღნიშვნა თავში არც დედაჩემს და არც მე აზრადაც არ მოგვსვლია, რადგან სახლში ცოტაოდენი მურაბის, პურისა და ყველის გარდა არაფერი გაგვაჩნდა, კარზე კაკუნი გაისმა. საღამოს 7 საათი იქნებოდა.

— აბა, ერთი ნახე, ვინ უნდა იყოს, — მითხრა დედაჩემმა.

იმ დღეს საშინლად წვიმდა და მეც გამიკვირდა, ასეთ ამინდში ვინ უნდა ყოფილიყო. კარი გავაღე და წვიმით გალუმპული არჩილ სულაკაური და თამაზ ჩხენკელი შემრჩნენ ხელში. საშინლად შევწუხდი.

— ჩქარა შემოდით, შემოდით, — ვუთხარი, მაგრამ მეც და დედაჩემიც ერთობ დავიბენით.

არ ვიცი, საიდან გაიგეს, რომ ჩემი დაბადების დღე იყო. არჩილს აუჩემებია, უნდა მივულოცოო. ხელში სველი ყვავილები ეკავა. თამაზმა კი პიჯაკის უბიდან რაღაც წიგნი ამოაძვრინა და გადმომცა.



დავხედე და მარტინ ანდერსენ ნექსეს თხზულებები აღმოჩნდა. ვიფიქრე — ნეტავ, ეს წიგნი სად იშოვა, ან რამ მოაფიქრებინა ამის ჩუქება-მეთქი. სახლშიც მქონდა ერთი ეგზემპლარი და გულს ვერ ვუდებდი მის წაკითხვას. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო. ოთახში რომ შევიპატიჟე, ცოტა არ იყოს და შეცბუნებულები იყურებოდნენ ირგვლივ. ალბათ ეგონათ, რომ მე უკეთეს პირობებში ვცხოვრობდი, რადგან ყოველთვის ვცდილობდი, კოხტად ჩამეცვა. ჩვენი ნახევრად დაუსრულებელი სახლის სახურავი კრამიტით იყო გადახურული, რომელიც წინა დღეების ძლიერ გრიგალს გვარიანად აეყარა. ჩვეულებრივ, სახურავზე მე ვძვრებოდი ხოლმე ხის კიბით კრამიტების გასასწორებლად, მაგრამ იმჟამად ამისთვის ვერ მოვიცალე. შიშმა შემიპყრო, ალბათ წვიმა ჭერში გამოჟონავს და შევრცხვები-მეთქი. დედაჩემმა ნავთქურაზე ჩაიდანი დადგა, მაგიდაზე ყველი და პური დადო და პატარა ჯამით ალუბლის მურაბა მიუდგა. „სუფრა“ გაშლილი იყო. დედამ ფინჯნებში ჩაი დაასხა და ყმაწვილები სუფრასთან მიიპატიჟა. ჩაის სმას უხმოდ შევუდექით. წვიმამ იმატა და ის მოხდა, რისიც მეშინოდა. აყრილი კრამიტებიდან წყალმა გამოჟონა და ზედ მაგიდის შუაში წკაპანკუპი გაუდიოდა. ძალიან შევწუხდი, დავიბენი და დედას ვუთხარი:

— მოდი, მაგიდა გავწიოთ.

ბიჭებიც მოგვეხმარნენ, მაგიდა ოთახის კუთხისკენ გავწიეთ და კედელთან მივდგით. მალე კედელზეც დაიწყო ჟონვა. ისევ გავწიეთ მაგიდა. ვღელავდი. თამაზმა შემატყო და ღიმილით მითხრა:

— იცი, წვიმის წვეთების აკომპანიმენტით ჩაი არასოდეს დამილევია, ასე უფრო რომანტიულია.

არჩილს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ რამდენჯერმე ახედა ჭერს. დედაჩემმა წვიმის წვეთებს დიდი თასი შეუყენა. თასი მალე ივსებოდა და დედაჩემს გარეთ გაჰქონდა, დაცლიდა და ისევ თავის ადგილას აბრუნებდა. თამაზმა გადაწყვიტა, დედაჩემს დახმარებოდა:

— ნუ წუხდებით, ქალბატონო რუსუდან. როცა გაივსება, მე გადავღვრი.

არჩილი გაუნძრევლად იჯდა, მერე წამოდგა და თამაზს გადაუჩურჩულა, წავიდეთო. თამაზმა დედაჩემს მიმართა — „დიდი მადლობა, ქალბატონო რუსუდან. ბოდიში, რომ შეგაწუხეთ. მოულოდნელად მოგადექით“. მე კი მხარზე მომხვია ხელი, შუბლზე მაკოცა და მითხრა: „აბა, ხვალამდე. უნივერსიტეტში გნახავ“. არჩილს ხმა არ ამოუღია — გაბუტულივით გაჰყვა თამაზს.

მთელი ღამე არ მიძინია. დილით ლექციებზე წავედი. აუდიტორიასთან თამაზი დამხვდა.

— გუშინ შეგატყვე, ხასიათი გაგიფუჭდა. ეგ არაფერი, ჩვენც ბევრჯერ ჩამოგვსვლია წვიმა. არჩილზე ნუ გაბრაზდები, ჩემო ხუჭუჭა. ხომ იცი, ცოტა ბუზღუნაა. აი, ნახე, რა კარგი ლექსები მოგიტანე, — პაპიროსის თხელ ქაღალდზე დაბეჭდილი ლექსების რამდენიმე ფურცელი გამომიწოდა, —მანდელშტამია, მოგეწონება. ლექციების შემდეგ გნახავ.

— შენ ჩემი ღამაზი თამაზი ხარ, — ვუთხარი, — შენ ნამდვილი რაინდი ხარ, დიდი მადლობა.

გამიცინა და წავიდა, თან მომაძახა:

— ლექციების შემდეგ დამელოდე.

არჩილი ერთი-ორი დღე არ გამოჩენილა. მესამე დღეს გამომეცხადა:

— მაპატიე. მგონი, ცუდად მოვიქეცი. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

*

ერთხელ არჩილმა აიჩემა, ბებიაჩემი უნდა გაგაცნო, ძალიან კარგი ქალია, შენზე ვუამბე და შენი ნახვა მოისურვა. ჩემი ხათრით წამომყევიო. წავყევი. მართლაც ძალიან საყვარელი ქალი იყო. მხოლოდ ის მაშფოთებდა, რომ თავიდან ფეხებამდე მათვალიერებდა — აი, ისე, გასაყიდ ცხენს რომ ამოწმებენ. განსაკუთრებით კი ფეხებზე მაკვირდებოდა. მეორე დღეს არჩილი მეუბნება — ბებიაჩემს ძალიან მოეწონე, თქვა, რა კარგი გოგოა, მაგრამ რამხელა ტერფები ჰქონიაო.

*

სტუდენტი რომ გავხდი, ძალიან ძველი ფეხსაცმელები მქონდა. მათი ჩაცმა უკვე შეუძლებელი იყო. დედაჩემმა გადაწყვიტა, თავისი ერთადერთი, ქიშმირის კუბოკრული, გამოსასვლელი კაბა გაეყიდა ან გაეცვალა ახალ ფეხსაცმელებში. წავიდა საბურთალოს ბაზარში და რადგან პატარა ზომის ფეხსაცმელი ვერ იშოვა, კაუჩუკის სქელძირიანი, 39 ზომის ფეხსაცმელი მომიტანა:

— შვილო, წინ ბამბები ჩავტენოთ და აღარ გაგეხდება.

სხვა რა გზა მქონდა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ფეხსაცმელებს ცხვირები აეპრიხა და ბაბაჯანას ქოშებს დაემსგავსა.

დედაჩემს არჩილის ბებოს ნათქვამი ვუთხარი. ძალიან შეწუხდა.

ქობულეთის აღმართზე ერთი პატარა ჯიხური იდგა, სადაც სამსონა ხარაზი მუშაობდა. დედამ მიმიყვანა და სთხოვა, ნისიად ჩემი ზომის ფეხსაცმელი შეეკერა. სამსონამ უთხრა: „ისეთ ლამაზს შევუკერავ, თვალს ვერავინ მოსწყვეტს“. მართლაც, ძალიან ლამაზი ფეხსაცმელი გამოვიდა: მაღალ ქუსლებზე, წინ კოხტა ბაბთით.

იქამდე მაღალ ქუსლებზე არ ვმდგარვარ და მთელი საღამო სიარულში ვვარჯიშობდი.

მეორე დილით სიხარულით სავსემ ჩავიცვი ახალი ფეხსაცმელი. თავი ამაყად ვიგრძენი, თითქოს პრინცესა ვიყავი. მაგრამ ერთი რამ მაბრკოლებდა: სანამ ჭავჭავაძის გამზირის ასფალტს მივაღწევდი, ოღროჩოღრო და ქვა-ღორღიანი გზა უნდა გამევლო. ფეხსაცმელი მალე გამიცვდებოდა. ამიტომ, ჯერ ჩემს ძველ, კაუჩუკისძირიან ფეხსაცმელს ვიცვამდი და როცა ჭავჭავაძის გამზირს მივაღწევდი, ქუჩის კუთხეში ვიცვლიდი.

პირველ კორპუსს რომ მივუახლოვდი, იქ თავმოყრილი გოგო-ბიჭები შემოტრიალდნენ და გაკვირვებით დამაშტერდნენ ფეხებზე. გოგოები ჩიტებივით აჟივჟივდნენ: „რა ლამაზია, გილოცავთ“. ბიჭებს პირველი ჩემი მეგობარი კობა ობოლაძე გამოეყო და მკითხა: „ფეხები როგორ დაიპატარავე?“ თითები მოვიჭერი-მეთქი, ვუთხარი სიცილით და თან არჩილისკენ გავაპარე მზერა. არჩილიც გაკვირვებული მიყურებდა. მე კი გავიფიქრე — ახლა წადი და ბებიაშენს დაუჯერე-მეთქი. მაგრამ ბოლოს მაინც შევრიგდით — ისევ თამაზის წყალობით.

ძია ნიკო — ოთარაანთ ქვრივი

რა ვქნა, ძია ნიკო (კეცხოველი) კაცია, მაგრამ ხასიათით ოთარაანთ ქვრივს მაგონებს.

სკოლიდან მოვდივარ. ზამთარია. საშინლად ცივა. ძველი, ალაგ-ალაგ დაკემსილი, თხელი პალტო მაცვია — ასე მგონია, ამ პალტოში ქეციან, გაქუცულ ლეკვს ვგავარ. იღლიაში სკოლის ჩანთა მაქვს ამოჩრილი — ისიც გაქუცულა. ხელებს პალტოს სახელოებში ვმალავ, მაგრამ მაინც მეყინება. შინ მისვლამდე ძია ნიკოს სახლს უნდა ჩავუარო. ფანჯარასთან ხშირად დგას. აი, ახლაც თვალი მოვკარი; კი არ მივდივარ — მივკანკალებ. მართლა საშინლად ყინავს.

ძია ნიკო ფანჯარას აღებს და მეძახის: „მოიცადე, ჭინკა, შენა, ახლავე მოვალ“. ცოტა ხანში ფანჯრიდან რაღაც ვარდება. ახლოს მივდივარ. შალის ხელთათმანებია. „აიღე ეს ხელთათმანები, დამიპატარავდა, შენ კი კარგად გექნება. ახლა მადლობების გადახდა არ დამიწყო. ჩაიცვი და მოკურცხლე აქედან“. სინამდვილეში ვიცი, რომ ეს მისი ქალიშვილის, ელისოს ხელთათმანებია. მე მაინც არ ვიშლი ჩემსას და გავძახებ: „დიდი მადლობა, ძია ნიკო!“ ვიღებ ხელთათმანებს, ვიცვამ და თითები მითბება, მაგრამ მარტო თითები კი არა — გულიც...



*

როცა გაზაფხული მოდიოდა და ბლის ხეები ყვავილობდნენ, ძია ნიკოს ბაღის ღობესთან ვჩერდებოდი და დიდხანს ვტკბებოდი მათი სილამაზით. მერე, როცა ყვავილობა მთავრდებოდა, ხეები თეთრ ბალს მოისხამდნენ და ნაყოფი მწიფობას იწყებდა. ძია ნიკო თითქოს მე მისაფრდებოდა, ჭიშკარს გააღებდა და გამომძახებდა — მოდი, შე ჭინკა, აძვერი ხეზე და ბალი დამიკრიფეო. თან პატარა, დაწნულ კალათს მაწვდიდა (აბა, დიდ კალათას რას მოვერეოდი). საგულდაგულოდ ვარჩევდი ბალს, კალათას ვავსებდი და ძია ნიკოსთან მივარბენინებდი. ძია ნიკო დახედავდა ბალს და, ვითომდა გაბრაზებული, დამიცაცხანებდა:

— ე რა ჭიანი ბალი დაგიკრიფავს, წაიღე, მოაშორე აქედან და დედაშენს აჭამე. კალათის დაბრუნება არ დაგავიწყდეს.

დედაჩემი ძია ნიკოს სახლს რომ ჩაუვლიდა, შეეხმიანებოდა — ნიკო, დიდი მადლობელი, ღმერთმა დაგლოცოსო. „რისი მადლობა, რუსო, — ეტყოდა ძია ნიკო, — დაგავიწყდა, მცხეთაში, მამაშენის სახლში, მე და ჩემი მეგობრები ქუდს ჭერში რომ ვისროდით? ის თუ გახსოვს, მე და გოგლა რომ დავნაძლევდით. გოგლა კარს უკან დაიმალა და შინიდან რომ გამოხვედი, მოგეპარა და ლოყაზე გაკოცა. რა წიოკობა ატეხე — ეს როგორ გამიბედე, მეხი კი დაგაყარე, შე სასიკვდილეო“. „ნიკო, კარგი რა, ეგ აღარ გამახსენო“ — წითლდებოდა დედაჩემი. ნიკო იცინოდა, მე კი გულიანად ვკისკისებდი. რა გულიანად კისკისებ, მოდი, ერთი, მაგ ხუჭუჭა თმებზე უნდა გაკოცოო — მეუბნებოდა ძია ნიკო.

ის დროც დადგა, უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე. ძია ნიკო პირველკურსელებს სტუდენტურ ბარათებს ურიგებდა. ჩემი ჯერი რომ დადგა, თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, მაგრამ არ გაუღიმია, სერიოზული სახე მიიღო და მითხრა, წარმატებას გისურვებო. იმ დღიდან, „ჭინკას“ აღარ მიძახდა. როცა უნივერსიტეტის ფართო დერეფანში ჭრაჭა-ჭრუჭს გავიგონებდით, კედელს ავეკრობოდით ხოლმე — ვიცოდით, ბატონი რექტორი მობრძანდებოდა (მაშინ ჭრაჭუნა ფეხსაცმელები იყო მოდაში). სერიოზული სახით ჩამივლიდა ხოლმე, ვითომ არც მიცნობდა. ერთხელ, ასეთი ჩავლისას, ისე, რომ ჩვენკენ არც კი გამოუხედავს, ერთ ჩემს მეგობარს მიმართა: „მოდი, ერთი, ჩემთან“. მეგობარს საყელოზე პატარა „ბროში“ ეკეთა კვატის გამოსახულებით. ძია ნიკო ზიზილ-პიპილებს ვერ იტანდა. ვიცოდით და უნივერსიტეტში სამკაულებს არასოდეს ვიკეთებდით. ძია ნიკომ ჩემს მეგობარს საყელოზე შეეახო ხელი და ჰკითხა: „ეს რა, შენი სიმბოლოა?!“ და ჩაიარა. წავიდა თუ არა, ყველამ გულიანად გავიცინეთ. ჩემმა მეგობარმა კი „თავისი სიმბოლო — კვატი“ მოიხსნა და ჯიბეში დამალა.

ვახტანგ ჭელიძე და გალაკტიონის წიგნი

მე-8 კლასში ვიქნებოდი, როცა ინგლისურის ახალი მასწავლებელი გაგვეცნო — ვახტანგ ჭელიძე. ყველა გავისუსეთ — თან მოგვეწონა, თან, ცოტა არ იყოს, შეგვეშინდა. მკაცრი ჩანდა, სინამდვილეში კი კეთილი და სამართლიანი იყო. თუმცა ხუთიანების წერა არ უყვარდა. ხუთიანი მე მეკუთვნის, — იცინოდა, — თქვენთვის ოთხიანი უმაღლესი ნიშანიაო.

* * *

ასეთი რამეც მომხდარა,
გული მეკიდა ძაფით,
ვეძებდი, ვერ ვპოულობდი
ჩემს ატოცსა და აბისს.
მავთულხლართებით ალაგმულს
ხორცს ვაფლეთდი შუმ სიზმარს,
სინამდვილეში ქცეული
დევნილადა და ხიზნად.
აქ მორჩა ჩემი ზღაპარი,
ჩემი ფქვილიც და ქატოც,
რა უცხო მთვარე ანათებს
პირგამეხებულ ატოცს!
სად არის ჩემი კულული,
აქ რომ პირველად მკვეცეს,
ან ჩემი ქართლი სად არის,
დედის გულივით ვეძებ...

* * *

არავინ იცის, რა მოხდა,
არავინ იცის, რა იყო,
ჰაიკუს ვწერდი და უცებ
ტანკა —
ჰაიკუს დაიკო —
ფურცელს თვითონვე დაადნა,
როგორც პეპელა თაიგულს,
თითქოს ამ გულის პასუხი
ჰაიკუსავით გაიგო...

ნემსიყლაპია

ნემსიყლაპია,
საყვარელო,
ჩემი ბავშვობის მსუსხავო შიშო,
მდინარეში ბანაობისას...
ჩაიარა იმ მდინარემ, დიდი ხანია,
რომლის ნაპირზეც მამაჩემი იდგა,
მეძახდა: შინ წამოდიო.
მე კი იქიდან ყელს ვუწევდი:
ამ ერთხელაც ჩავყურჭავ-მეთქი,
კიდევ ერთხელ ჩავყვინთავ და მერე წამოვალ...
ნემსებივით მჩხვლეტს მოგონება,
ახოვანი მამის ღიმილი
ტალღებიდან ამოყვინთვისას...
მდინარიდან კი ამოვედი,
მაგრამ სახლის გზა დამავიწყდა,
სულ სხვადასხვა მხარეს წავიდა...
ვდგავარ
წყლიდან ამოსული
და ნემსებს ვყლაპავ...
მთელ სხეულზე
მოგონების ტაო მაყრია!

კაბა

პატარა გოგო
სხვა პატარძლების ქორწილის სურათს ათვალიერებს
და დედამისს ეკითხება:
აბა, სად არის თქვენი ფოტო,
შენც რომ გეცვა ასეთი თეთრი, ლამაზი კაბა?
დედა მხოლოდ გაიფიქრებს, მაგრამ არ ეტყვის,
არა იმიტომ, რომ პატარა ჯერ ვერ გაიგებს...
მიზეზი სხვაა:
არ უნდა, შვილს
რიტორიკით ჩაუნაცვლოს
ნაოცნებარი,
ის, რაზეც ყველა ქალი
ლამის ჩვილობიდან ოცნებობს,
თორემ ეტყოდა:
ჩვენ მაშინ სიყვარული გვეცვა,
როგორც ჯავშანი...

* * *

ახლა მივხვდი:
რაც ძვირფასია,
ისე მაშინებს ყველაფერი,
თითქოს ქვემოდან
მაღალი სართულის
ღია ფანჯრის რაფაზე
მდგარ
ორი-სამი წლის ბავშვს
ავყურებდე....

ერთი მათგანი

ეს — ქარიშხალში — ვიცი — ჩემი ბოლო ცეკვაა,
თავგანწირული დერვიშების ბუქნი და ყირა,
შორი ენძელის ზანზალაკი დაურეკავად
წკრიალებს, თითქოს, უდაბნოში მიაფრთხობს მირაჟს.
მეც მოგიხმობდი, როგორც ბევრი: „სადა ხარ, ღმერთო!“ —
როს წელში მწყვეტდა წუთისოფლის ღალა-ბეგარა,
პასუხად, თვალწინ მხოლოდ ზანტი უდაბნო მენთო,
ტანზე აქა-იქ მირაჟების ხორკლი ეყარა.
და მეც უდაბნო საბანივით შემომიკეცე,
თითქოს ყმაწვილი ვარ, მბორგავი, თითქოს სიცხე მაქვს,
ქვიშის მარცვლების ბორიაყით მომდევ და მეძებ
და ქვიშასავით წრეზე ბრუნავს თავდავიწყება...
უკანასკნელი როკვა არის! მშვენივრად მესმის! —
ორის ცეკვაა სამაია, სამად ნათქვამი,
ორი კი ცეკვავს, მაგრამ ისე სწრაფად როკავენ,
რომ ამ ბზრიალში აღარა ჩანს ერთი მათგანი...

ბარბითი

ნინო კახიანს

იცით, რა არის, ბარბითი?
არა?
ცოდნაც არ ვარგა უხვი და ჭარბი,
მუსიკალური არის საკრავი,
მორკალულია, ვით მთვარის წარბი.
სულია ყველა შეყვარებულის,
ოსტატი ფარულ სხივების გაბმის,
იქით სხივია, აქეთ სხივია,
შუაში ორი გულია ბამბის,
ბარბითი კვნესის და უცხოდ ლამბავს
ჩვენი ფრთხიალა გულების ამბავს,
როცა ერთ-ერთ გულს არ უნდა, ბამბა
იყოს და უნდა, რომ გახდეს ზღარბი —
ეკლიანი და უცხოდ ჩხვლეტია,
ვინც თავის თავში ვერ დაეტია,
და რადგან თავის თავზე მეტია,
თავის თავიდან გარბის და გარბის...
შველას მუსიკის მკლავებში ეძებს,
და ზღარბის უცხოდ ეკლიან ძეძვებს
წამოდებული, უგონოდ გოდებს
და ჰანგი ცრემლად ჩამოსდის ბარბითს...

* * *

ანონიმი ბერძენი ავტორი

„ყველანაირი მეყვარები!“ —
სინამდვილეში
რა საშიში დაპირებაა...
ეს იმას ნიშნავს,
რომ არასდროს არ ყოფილხარ
ტრფიალის ღირსი,
რომ ყოველთვის
თავს გამეტებდნენ,
როგორც იმნაირს,
რომელსაც ხვალ
შეუძლია,
მაგრამ არ იცის,
როგორ უნდა იყოს ასეთი —
ყველანაირი...

* * *

სიცარიელევ,
გიკაკუნებ.
არავინ არის
შენს სივრცეებში,
ვისაც ჩემთვის გამოიმეტებ.
გაზაფხულია,
ხეზე ყვავილი ისე იშლება,
თითქოს ქარი
ხვალინდელში
არ გაყურსვოდეს,
რომელიც დღეს ნიავია
და ეფერება.

* * *

შენ დაიბადე ჩემში ისე,
როგორც სურნელი იბადება
ყვავილის გულში...
ასე თენდება გორაკებზე,
და სიბნელე
გზას უთმობს ნათელს...

ნატალია ზარნაძე

სკოლა და კარუსელი

დღე შემობრუნდა, ზურგით დადგა, ისე გაჩერდა,
თითქოს იცოდეს, სიბნელეში ვინმე მაინც გაეკიდება
პროჟექტორებით განათებული სიძველეების
ისევ ხელახლა აღმოსაჩენად.

შუაღამის კარუსელზე მოხვედრილი
შემთხვევითი მეზობლები კი
ერთმანეთს ისე ეხეთქებიან,
რომ ნაჭუჭიდან იღვრებიან
და ერთ ტაფაში იხრაკებიან,
თითქოს იყვნენ სოფლის სახლში
ზაფხულის მყუდრო დილის საუზმე.

ჩვენ დღეს სკოლიდან გამოვიპარეთ
უმეცრებაში დასაბრუნებლად;
სკოლიდან, სადაც ყველა ერთმანეთს
მარტოობის გაკვეთილებს უბრად უტარებს:
უჩინარია, თვალს თვალში გიყრის,
მხრებითაც გიჭერს,
მჭრელ ფრჩხილებს გარჭობს
და ითმენს ბგერებს, რომლებსაც ყელში
ნებისყოფის დგუშით აწვება.

გამომყევი, ნებისყოფის კლასსაც გაჩვენებ...
აქ ჩვენ ისეთი ბეჯითები ვართ,
რომ დასვენებაც არ გვეჩქარება...
საღამოს მოსვლაც არ გვეჩქარება...
ბოლო ზარის მჭახე დარეკვაც არ გვეჩქარება!
ჩვენ უკვე ვიცით,
დერეფნების ნედლი ხალიჩა —
ცნობიერება პლასტილინია,
გადარბენისას მსუბუქად უნდა გადაიარო,
ნაჭდევების დაუტოვებლად,
თორემ ტლანქად ფეხქვეშ აზელილ სინამდვილეში
ჭკვიანი მზერა —
შორსმხედველი ღამის სამიზნე —
ვეღარ იპოვის ნაძიებ ფორმას —
ნაჭუჭშეზრდილ ტვინის ხვეულებს.

ჩვენ აღარ ვტყდებით.

კოსმოსი ბრუნავს,
წყნარ შენობებთან სახით დგას ღამე,
პლანეტის ზურგზე ფესვგადგმული ქალაქი სუნთქავს,
ფხიზლობს ლეგენდა ატრაქციონზე,
რომელმაც ერთხელ მიწა მოგლიჯა
და საჰაერო კუნძულად იქცა,
ზოგჯერ ჩნდება როგორც კომეტა
ღია ფანჯრისკენ გაქცეული
ათასი დიდი ბავშვის თვალებში,
ხელების ქნევით რომ გაჰყვირიან:
არის მანდ ვინმე, არის კი ნეტა?
ცარიელია დრაკონების ცეცხლის მარხილი?

მერე კი, როცა გადაუვლის ელვა მათ სახეს —
ხურდასავით ჩამოყრილი ნაპერწკლებით
ტანდაწინწკნულებს —
ერთმანეთის საიმედო სიტყვა ჩაესმით:
„იმ სიმაღლეზე ვერვინ იცხოვრებს
იმ სიმაღლეზე ვერვინ იცხოვრებს“.

წრეები

ძვირფასო სიცოცხლევ,
მე შენ ჩაგისუნთქე.
სიღრმემდე,
ხარბად
მე შენ ჩაგისუნთქე
და სუნთქვა შევკარი.

გამოსაშვებად ვეღარ გიმეტებ.
მე უშენოდ გავიგუდები.
და შენითაც გავიგუდები!
გამოსავალს ორივე ვეძებთ.

ძვირფასო სიცოცხლევ,
შენ ასე ვრცელდები:
კენჭს გადაყლაპავს წყალი,
წამიერად გაირინდება,
მერე სიღრმიდან ამოდიან —
წრეები, წრეები, წრეები...
ტალღები, ტალღები, ტალღები...
კენჭისგან შორს, შორს, შორს...

ცხოვრების ფიქცია, ვიდეოთვალთვალი

მე მხიარული თუთიყუში ვარ
და გალიაშიც იდილიაა:
ჩემს შეყვარებულს ძალიან მოსწონს
ჩემი მრგვალი თვალები და



მკოცნის, მკოცნის,
მკოცნის სარკიდან გაგიჟებული კეხიან ცხვირზე,
როცა ვეკრობი.

მე კედელი ვარ, შუშისა ვარ,
იატაკიც ვარ,
ჭერიც მე ვარ,
გამოიხედე, ოღონდ ლურსმანს ნუ მომაჭედებ...
შენი პლაკატის დასაკიდებლად.
განა გავტყდები,
მაგრამ მაინც...

მე შიშველი ფაქტის უმკლავებო ქანდაკება ვარ,
გთხოვ, სველ წერტილში ნუ დამაყენებ,
ან აქვე თუ ხარ, არ შემომხედო,
ზურგით დადექი,
„ეს“ შენც ხო გინდა?

მე ტვინი ვარ,
ცრუ ღმერთის ჯოხით კარგად ნაჩხრეკი ადამის ტვინი,
რაღაც ზედმეტი უბნები მაქვს,
მაგრამ ამ ზედმეტს ვეღარ ვიკვეთავ...
და ვერც ვიფცქვნები
ქერქზე ნახატი ჩემივე, მაგრამ
ჩემთვის უცხო სახეებისგან,
მე მათ არ ვიცნობ,
მე არასდროს არ ვყოფილვარ ასეთი ბილწი.

მე რბილი ქსოვილის უთხელესი ანათალი ვარ,
მიკროსკოპში ვიყურები დაბლიდან მაღლა
და შენს თვალს ვხედავ დიდს და დაბერილს,
დაბლა ჩამოდი,
არ ვითამაშოთ?
ააა, შენ თამაში არ შეგიძლია?!
ჩვენ ხო ერთმანეთს
რომელიღაც სიბრტყიდან ვიცნობთ —
არა სივრციდან.
შენ იცი, როგორ ავდივარ, მერე
ისევ ჩავდივარ,
ისევ ავდივარ, ისევ ჩავდივარ,
გლუვად ვსრიალებ რკინის სახეხზე,
ჯამში კი ჩადის
ნახეხი ვაშლის მომჟაო ფაფა —
ჩემი მესამე განზომილება:
ჩვენ დავიჟანგეთ.

ჰო, ასეთი ვარ!
მე ტკივილების მეშინია! მე ნამდვილობის მეშინია!
მე ცოდნისა მეშინია...
და არცოდნისაც...
და უფრო მეტად — მაშინია იმის გაგების,
რა პროპორციით შეეფარდება ჩემზე ცოდნა
ჩემზე არცოდნას???

და ვქანაობ, ვქანაობ!
ასე ვქანაობ ჩემი სარკის წინ...
ჩემს ოროთახიან გალიაში ჩამოკიდულ საქანელაზე
(იმ სხვა ოთახში ჯერ არასოდეს დამიდგამს ფეხი,
შეყვარებული გასასვლელში გადამეღობა),
მე თავბრუს ვიხვევ,
რომ სიკვდილი გამიადვილდეს,
და შენ გეძახი:

— ოოო, დამსჯელო ანგელოზო!..
აქ ახლოს მოდი, ყოვლისშემძლევ, მკაცრო, დიადო,
მე წეღან მოვკვდი,
შეყვარებული მრუდე სარკის სინამდვილიდან
სადაცაა ჩემს ოთახში გადმოიხედავს,
და ერთ გვამს ნახავს.
მიხვდება, რომ ცალ-ცალკე დავრჩით,
ერთნი არა ვართ...
დაეთანხმე,
როდესაც გკითხავს:

„მე ვარსებობდი“?

გელა ჩქვანავა

მხრებზე შემომჯდარი ეშმაკი

ციკლიდან — „სანაპიროს ქუჩის ამბები“

დასაწყისი პირველ გვერდზე

დოდო ბასილაიას შემჩნეული ჰქონდა, რომ ამ სასტუმროში, რომლის ყველა ოთახში კარნიზებზე და ლუქსის ნომრების აივნების მოაჯირებზე ჩამომსხდარი მტრედების ღუღუნი იჭრებოდა, დროის სატარებლად მოყვანილი ქალებიც, თითქოს მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრთოსნების წაბაძვითო, დრო და დრო, მკერდისმიერი ხმით იწყებდნენ ლაპარაკს.

— არც მთლად მასეა საქმე... — ისევ მძიმედ დაიწყო დოდო ბასილაიამ და მრავლისმეტყველი პაუზა დაიჭირა, — პირდაპირი კაცი ვარ მე და ამიტომ პირდაპირ უნდა გითხრა ყველაფერი. მოკლედ, შენ ჩემი ცოლი გერქმევა, ოღონდ შენს სახლში იცხოვრებ, რუსეთში. იმიტომ, რომ აქ ჩემი ქალიშვილი ვერაფრით გიგუებს. რჩენით კი მე გარჩენ — თვეში ერთხელ პირადადაც ჩამოგაკითხავ. ზაფხულობით აქ ჩამოხვალ და ნაქირავებ ბინაში გაჩერდები.

ქალი დაიბნა, რადგან მეტს ელოდა. დოდომ კი მისი დუმილი თანხმობად მიიღო.

— მოწევასაც უნდა დაანებო თავი. ერთი სიტყვით, ან მე, ან — სიგარეტი! — მკაცრად წარმოთქვა მრავლისმნახველმა დოდომ.

— იმიტომ ვეწეოდი, რომ მინდოდა, შენთვის მომეწონებინა თავი. ჩემი თვალით ვნახე, როგორ უყურებდი „პინგვინში“ იმ იისფერსათვალეებიან გოგოს, კლეოპატრას ვარცხნილობა რომ ჰქონდა და მადიანად აბოლებდა! — თქვა ქალმა.

დოდომ გონება დაძაბა, მაგრამ სიგარეტის მადიანად გამბოლებელი იისფერსათვალიანი ხსენებულ კაფეში ნანახი გოგო ვერაფრით გაიხსენა — შეიძლება იმიტომ, რომ არც იცოდა, როგორი იყო „კლეოპატრას“ ვარცხნილობა, თუმცა ამის დადგენას არც ცდილა.

ამასობაში ქალი კალთაში ჩაუჯდა, მის ბანჯგვლიან მკერდს ლოყით გაეხახუნა და კატასავით დაიკრუტუნა.

— ბავშვივით ნუ იქცევი, როცა სერიოზულად ვსაუბრობთ! — გაბრაზდა დოდო ბასილაია, — და, საერთოდ, სიგარეტისა არ იყოს, კრუტუნსაც უნდა შეეშვა, მართლა კატა ხომ არა ხარ, ბოლოს და ბოლოს!

ქალმა შენიშვნა იუკადრისა, არეულ საწოლზე გადაჯდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცებ მეზობელი ლუქსის აივნის მოაჯირიდან მტრედები ხმაურით აიშალნენ, ჰაერში აიჭრნენ, ყველაზე მაღალ ევკალიპტსა და სასტუმროს შორის წრე შემოხაზეს და მაღლიდან გადმოხედეს იმ ადგილს, სადაც წეღან ისხდნენ. ხსენებულ აივანზე კი მეტად მხიარული წყვილი გამოლაგდა: შუახნის, თავდაჯერებული, თმაჭაღარა, ეშმაკურღიმილიანი ნასვამი მამაკაცი სწორედ ისეთი მანერით პწკენდა ახალგაზრდა, გვირილებით მოჩითულ კაბიან ტურისტ ქალს თეძოზე, როგორითაც თავდაჯერებული დირექტორები აწვალებენ ხოლმე ახალგაზრდა მდივან გოგოებს. გვირილებით მოჩითული კაბიანი ქალი ჩოფურა იყო — სამაგიეროდ, ტანი ჰქონდა მიმზიდველი.

დოდო ბასილაიას ქალი აივანზე მდგარს ამრეზით შეაცქერდა:

— ეს ალაა, ჩვენს სანატორიუმში ცხოვრობს. ამბობენ, შლაპა და საცურაო კოსტიუმი მოიპარა მაღაზიიდანო. ამას თავი რომ დავანებოთ, საშინელი ბოზია, არადა, მამა პროფესორი ყოლია! — ჩურჩულით მიმართა დოდოს.

მაგრამ დოდოს მისთვის არც ცხელოდა, რადგან თმაჭაღარა მამაკაცში ნაყინის ქარხნის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე შეიცნო, ვინც ამ თხუთმეტიოდ წლის წინათ, ჯერ კიდევ გულნაზის გარდაცვალებამდე, თავისი ახალაშენებული სახლი გადაახურვინა თუნუქით. დირექტორის მოადგილეს ომარი ერქვა და დიდი გაიძვერა ვინმე ბრძანდებოდა. თავიდანვე, როცა დოდო ბასილაია სამუშაოდ მიიყვანეს, სახურავის მეოთხედი უკვე გადახურული დახვდა — წინა ხელოსანი ავად გამხდარიყო და საავადმყოფოში დაეწვინათ. სამუშაოს დასრულების შემდეგ დირექტორის მოადგილე დოდოს ვახშმით გაუმასპინძლდა, დაათრო და გასამრჯელო კონვერტით გადასცა — აქ იმდენი ფულია, რამდენზეც შევთანხმდითო, უთხრა. მეთუნუქე მასპინძელს სიტყვაზე ენდო, ხოლო სახლში მისულმა აღმოაჩინა, რომ კონვერტში დათქმულის ნახევარი თანხა იყო. დირექტორის მოადგილემ, რომელიც ამჟამად თავის ჩოფურა ქალს წელზე უთათუნებდა ხელს, დოდო ბასილაიას უთხრა, სამკურნალოდ დედაქალაქში გადაყვანილი შენი წინამორბედი ხელოსნისთვის გადასაცემი კონვერტი შემთხვევით შენსაში ამრევია, შენი კი მისთვის გამიგზავნია მისივე ნათესავების ხელითო. იქვე დაჰპირდა, რომ დანაკლისს შეუვსებდა და, თან ცოტა დროც ითხოვა. დოდო ბასილაიამ მაშინვე იეჭვა, რომ ატყუებდნენ, კუთვნილის მისაღებად ნაყინის ქარხნის დირექტორის მოადგილეს ორჯერ ეახლა სახლში, მაგრამ მისმა, ქმარზე არანაკლებ გაქექილმა, ცოლმა ორივეჯერ ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრა. მაშინ, მრავალი წლის წინათ, დოდო ბასილაია თავს დამცირებულად გრძნობდა, რადგან ბავშვივით გააცურეს, მაგრამ ახლა სახეზე შეუცნობელმა ღიმილმა გადაურბინა.

— რა გაცინებს? — ჰკითხა საწოლიდან ქალმა.

— ერთმა ჩემმა მეზობელმა თავის აგარაკზე შემინული სათბური გააშენა, პომიდვრებს მოვიყვან ზამთარში, გავყიდი და ხეირს ვნახავო, მაგრამ ვერ მოყავდა, სულ ულპებოდა ჯერ კიდევ დაუმწიფებელი. სათბურიდან გამოსვლისას პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე, ღმერთო, ისე მოაწყე, რომ ხვალ დილით მაინც საღი დამხვდებოდეს მოსავლის თუნდაც დარჩენილი ნაწილიო, მაგრამ არაფერი შველოდა — არც პირჯვრის გადასახვა და არც ლოცვა. ერთხელ კი, ყელში რომ ამოუვიდა ეს ყველაფერი, დათვრა, ქვები დაუშინა სათბურს და რაც კი ზედ მინები იყო, სათითაოდ ჩალეწა. ყველას უკვირდა, საიდან მოიტანა ამდენი ქვაო. „პომიდვრების შეგროვების კი არა, ქვების სროლის ჟამს ჩამოუკრავსო“, გაიხუმრა მაშინ ერთმა ბოროტმა მეზობელმა. ამდენი წლის შემდეგ ახლაც ასე იტყვიან ხოლმე ჩვენს ქუჩაზე, როცა შურისძიებაზე მიდგება საქმე. ჰოდა, როგორც ვატყობ, მეც დამდგომია ქვების სროლის დრო და ეგ არის! — თქვა დოდო ბასილაიამ, ფანჯარასთან მივიდა, ნეილონის ფარდა გადასწია და გარეთ გაჰყო თავი.

დირექტორის მოადგილემ დოდო ბასილაია თავიდან ვერ იცნო, ხოლო როცა იცნო, ისე გაიღიმა, თითქოს მისი ნახვა ძალიან გახარებოდა.

— ვცუღლუტობთ, არა? — თითი დაუქნია ბატონმა ომარმა მეთუნუქეს და თან თვალი ჩაუკრა, — ცოლის ღალატი როგორ შეიძლება?!

— ცოლი გარდამეცვალა, თორმეტი წელია უკვე! — უპასუხა დოდომ.

— რას ამბობ! — გულწრფელად შეწუხდა დირექტორის მოადგილე, — გადმოდი ერთი ჩემთან, შამპანურს მოვატანინებ ახლავე. მე ხომ შენი ძველი ვალი მაქვს. მეფურ სუფრას გავაშლევინებ საგანგებოდ შენთვის, აქვე ნომერში!

— არა, იყოს! — მიუგო დოდო ბასილაიამ და სახეზე საწყალი ღიმილი მოირგო, — დავბერდი, ვეღარ ვსვამ უკვე ძველებურად.

— მეც ეგრე ვარ, მაგრამ მაინც გადმოდი! — გაჯიუტდა ბატონი ომარი.

დოდო ბასილაიას კი, ღამის იყო გაეფიქრა, რომ დირექტორის მოადგილეში სინდისის ქენჯნამ გაიღვიძა.

— არა, იყოს! — გაიმეორა დოდო ბასილაიამ და ისევ ისეთი ღიმილი მოირგო სახეზე.

— გადმოდი-მეთქი! — არ მოეშვა ბატონი ომარი.

— კარგით, რახან არ იშლით! — მცირე ყოყმანის შემდეგ მიუგო მეთუნუქემ.

* * *

ერთი საათის შემდეგ ნაყინის ქარხნის დირექტორის მოადგილის მიერ ნაქირავები ნომრიდან დაბრუნებულ ნაქეიფარ დოდო ბასილაიას თავისი ქალი მოწყენილი დახვდა.

— რაო, რას კისკისებდა ის ძუკნა?! — ჰკითხა მეთუნუქეს მისი ძველი ნაცნობის ქალზე, — დათვრა ის ხელმრუდიც არა?.. ლოთიცაა, რომ იცოდე. მაგიდის ქვეშ ფეხი ფეხზე ხომ არ გაგიხახუნა შემთხვევით?!

— ქვების სროლის ჟამმა ჩამოკრა! — წაიღიღინა კარგ ხასიათზე მყოფმა დოდომ, — რაც იყო — იყო, მივხედოთ ახლა ერთმანეთს, როგორც წესი და რიგია!

— ასე უცებ ვერ დავორსულდები, შინაგანად არა ვარ მზად! — გაინაზა ქალი.

— მაგისთვის არც მე ვარ შინაგანად ბოლომდე მზად, — მაშინვე დაყაბულდა დოდო, — ისე გავერთოთ, გენერალური რეპეტიცია გავიაროთ, ასე რომ ვთქვათ. ეგ არის და ეგ. მანამდე კი შხაპი მივიღოთ. ოღონდ პირველი შენ შედი.

— ერთად შევიდეთ! — სთხოვა ქალმა.

— კარგი იქნება, მაგრამ ორივენი ვერანაირად ვერ დავეტევით იმ ციცქნა საშხაპეში! — წყალი გადაუწურა მეთუნუქემ ქალს და საწოლზე გაიშხლართა, — მიდი, ჩემო მერცხალო, მე კი მანამდე შამპანურს მოვატანინებ, დასაყოლებლად კიდევ შოკოლადსა და შენს საყვარელ ყურძენსაც შევუკვეთავ, „ქალის თითებს“, ბოლოს კიდევ ერთ ისეთ სიურპრიზს დაგახვედრებ, მთელი ცხოვრება არ დაგავიწყდება!

— რა სიურპრიზს? — გაფაციცდა ქალი.

— ხომ გითხარი, მთელი ცხოვრება არ დაგავიწყდება-მეთქი, ნუ ხარ სულსწრაფი! — დატუქსა დოდომ, — ოღონდ, სანამ სააბაზანოში შეხვიდოდე, ერთი კარგი სტრიპტიზი ჩამიტარე. ბებერ დოდოს ეს ისე ესიამოვნება, რომ შენთვის ერთი კარგი სიურპრიზის მოსამზადებლად თავს არ დაზოგავს!

ქალმა, რომელსაც ეგონა, რომ კავალერი სააბაზანოდან გამოსვლის შემდეგ, ნიშნობის ბეჭედს თუ არ დაახვედრებდა, ცოლობას მაინც სთხოვდა ცალ მუხლზე ნაჩოქებით, გადაწყვიტა, მისთვის თხოვნა შეესრულებინა, აღტკინებულმა ტანზე ხალვათად მოცმული სამოსი მანჭვა-გრეხით გაიძრო, სათითაოდ ესროლა დოდოს და სააბაზანოსკენ დედიშობილა წატანტალდა.

ოთახში მარტო დარჩენილი მეთუნუქე ორიოდ წუთს დაფიქრებული უსმენდა სააბაზანოდან გამოსულ წყლის ჩხრიალს და ქალის წკრიალა ხმით შესრულებულ ალა პუგაჩოვას „მილიონ ალისფერ ვარდს“. მერე საწოლიდან წამოდგა, იქვე მიგდებულ შიფონის კაბას ხელი დაავლო, დაკეცა, ხოლო მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ შარვლის დიდ ჯიბეშიც ვერ ჩაატევდა, დაკეცა, საქმიანად ამოიღლიავა და ოთახიდან გავიდა.

* * *

დოდო ბასილაია გელოვანის ქუჩაზე, სანატორიუმის შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს მეწაღის ჯიხურში იჯდა და ბაქია მასპინძლის ლაყაფს ისმენდა — ის კი დაუზარლად ყვებოდა იმ სეზონზე მის მიერ გამოჭერილ ქალებთან დროსტარების ამბებს.

ჯიხურის სარკმლის ზემოთ მიმაგრებულ აბრაზე ჩექმებიანი ზღაპრული კატა ეხატა — წელზე ჩამოკიდებული გრძელი დაშნის წვერი მიწაზე რომ დასთრევდა. თავად სარკმლის შუშაზე კი აბრის ავტორს ასეთივე ოსტატობით ქალის წითელი ფეხსაცმელი გამოესახა დამატებით — სწორედ ისეთი, როგორსაც თავიანთი ავტომანქანების უკანა მინაზე ამაგრებენ ხოლმე მანდილოსანი მძღოლები.

დაუღალავი მასპინძლის ლაქლაქითა და ფეხსაცმლის წებოს სუნით გაბრუებულმა და გაღიზიანებულმა დოდომ მაჯის საათზე დაიხედა და ამოიოხრა.

— რატომ ოხრავ? — ჰკითხა მეწაღემ.

— ბიჭი თუ გყავს? — კითხვა შეუბრუნა მეთუნუქემ.

— კი, მყავს. თანაც — ორი, — დიდი ამბით მიუგო ამ ფაქტით ზომაზე მეტად გაამაყებულმა მეწაღემ, — უმცროსი უბედური ყავს გამჩენს, დიდი კლასიკოსების ლექსებს იზეპირებს და ასე აბამს ტურისტ გოგოებს, არადა, თექვსმეტისაა ჯერ, მეტის კი არა!

დოდო ბასილაიამ ისევ ამოიოხრა.

— ბიჭი კარგია! — თქვა დოდო ბასილაიამ, — კარგია კი არადა, აუცილებელიცაა. მე თვითონ ერთადერთი ქალიშვილის იმედად შევრჩი ამ ცოდვილ მიწას — ასეთი ყოფილა ჩემი ბედი... დღეს კიდევ მხრებზე ეშმაკი შემაჯდა და თხუთმეტი წლის ნაგროვები ქვების სროლა დამაწყებინა. გამაგიჟა, ერთი სიტყვით. ერთ ძველ ნაცნობს ერთი პატარა სიურპრიზი მოვუწყვე, მეგონა, მაგრამ, ეტყობა, ანგარიშში შევცდი — ისე არ მოხდა, როგორც გავთვალე. წავალ და კიდევ მოვიტანლუდს და არაყსაც მოვაყოლებ. დავკეტოთ ჯიხური და შევუბეროთ, რას იტყვი?

— შევუბეროთ და შევუბეროთ, რას ვიზამთ უკეთესს. მეც შეგეწევი მაგ მადლიან საქმეში, როგორც შემეძლება! — მაშინვე დასთანხმდა მეწაღე, — ვხედავ, რაღაც გაწუხებს, ვერ ამხელ და გულზე დარდად გაწევს. დავლიოთ, მომიყევი, რა ხდება და მოგეშვება.

— მართალი ხარ, — ამოღერღა დოდომ და ისე, რომ მეწაღისგან დაპირებულ „შესაწევს“ არც დალოდებია, ჯიხურიდან დაღვრემილი გავიდა.

ქუჩაში გასულს კი სულ ცოტა ხანში ბაგეები ღიმილმა გაუპო, რადგან ჭოჭუას ქუჩიდან გელოვანის აღმართზე შემომდგარი, მისი მევალე ნაყინის ქარხნის დირექტორის მოადგილის ჩოფურა ქალბატონის გვირილებიან კაბაში გამოწყობილი თავისი ქალი იხილა.

ამ უკანასკნელს დოდოს დანახვა ჯერ გაუხარდა, მერე კი ისე გაბრაზდა, რომ ცრემლები წასცვივდა და სილასაც კი გააწნავდა, მეთუნუქეს დროზე რომ არ ემარჯვა და მისი მთელი ძალით მოქნეული ხელი ჰაერშივე არ დაეჭირა.

— ეს ხომ შლაპებპარია შენი ნაცნობის კაბაა? — დამტკბარი ღიმილით ჰკითხა დოდომ ქალს, — ესე იგი, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე ვვარაუდობდი — დედიშობილა რომ დარჩი, ბატონი ომარის ქალისგან ინათხოვრე კაბა. ჰოდა, ახლა სანატორიუმში მიგეჩქარება, რომ შენი ჩაიცვა, მერე ისევ უკან, სასტუმროში გაბრუნდე და იქ პატრონს თავისი დაუბრუნო. ასე არ არის?

ქალი კიდევ უფრო გაბრაზდა და ტუჩებიც აუცახცახდა.

— სხედან ახლა მტრედებივით ბატონი დირექტორის მოადგილე და მაგის შლაპებპარია უკაბო ქალი თავის ოთახში და შენს დაბრუნებას ელოდებიან. მთლად სინდისგარეცხილი კაცი რომ ვიყო, დავურეკავდი ომარიკოს ცოლს და ვეტყოდი, შენი ქმარი ამა და ამ სასტუმროს

მეოთხე სართულის ლუქსის ნომერში ნებივრობს ტიტლიკანა ქალთან ერთად-მეთქი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ომარიკომ მაშინ ასე უსინდისოდ რომ გამაცურა, თავისი ცოლის რჩევითაც გააკეთა ეგ საქმე. ვერ ვიტან ცოლის დაკრულზე აცეკვებულ კაცებს. ქალის ჭკუაზე რომ გაივლის კაცი, იმას ეშმაკი შეაჯდება ხოლმე მხრებზეო, იტყოდა მამაჩემი და მართალიც იყო, რომ იცოდე... შენ კიდევ რას გააჯანჯლე ასე ძალიან კაბის თხოვნა. გერიდებოდა ალბათ, სიამაყე გიშლიდა ხელს და იმიტომ იყოყმანე ამდენი!

— მე შენ უკვე აღარ გიყვარვარ! — თქვა ქალმა, სახეზე ხელები აიფარა და ტუჩებთან ერთად მხრებიც აუცახცახდა.

— მოუწევს ბატონ დირექტორის მოადგილეს თავისი ქალისთვის ახალი სამოსის ყიდვა! — თავისას მიერეკებოდა დოდო ბასილაია, — ის ქალი კიდევ ისეთი პრეტენზიულია, იაფიან ტანსაცმელს არ დასჯერდება. ეგერ, მეწაღის ჯიხურშია შენი კაბა ცელოფანში და შენ გელოდება, კი არსად გადამიგდია. ქალაქგარეთ წავიდეთ, ერთი ჩემი ძმაკაცის აგარაკზე... ჰო, კარგი ახლა, ნუ მოიკალი თავი ტირილით. ასე ვიცით ჩვენ, აქაურებმა — სანამ ცოლობას ვთხოვდეთ, გამოცდას ვუტარებთ რჩეულებს გამჭრიახობაზე. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჭკუა უჭრით და იმ შემთხვევისათვის, თუ ღმერთმა არ ქნას და, მოულოდნელად დაქვრივდებიან, ოჯახის გაძღოლასა და შვილების გაზრდას შეძლებენ. საუკუნეების სიღრმიდან მოდის ასეთი წესი, იმ დროიდან, როცა მამაკაცები ომში იღუპებოდნენ და იმათი ცოლები კიდევ, აქედან გამომდინარე, ხშირად ქვრივდებოდნენ. ამასაც და კიდევ ბევრ სხვა რამესაც უნდა შეეჩვიო, ჩემთან ყოფნა თუ გინდა. ხომ კარგი წესია?

ქალი დოდო ბასილაიას მოხერხებულ ტყუილზე დაფიქრდა, ომში გმირულად დაღუპული ვაჟკაცების ქვრივების წარმოდგენაზე გული აუჩუყდა და ტირილი მხრების ცახცახის გარეშე განაგრძო.

— სანატორიუმში ყველაფერს სხვანაირად გაიგებენ. შეიძლება, ისიც თქვან, თითქოს კაბა მოტყუებით გამოვართვი, რომ გამემწარებინა. ზოგი კი იმასაც იკადრებს, ტანსაცმელი თავისთვის უნდოდაო! — თქვა მან, — შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მეზიზღება საკუთარი თავი იმისთვის, რომ იმ ზნედაცემული და ხელმრუდი ქალის კაბა მაცვია. საკუთარი სხეულიც კი მძაგს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასტუმროში მაინც უნდა დავბრუნდე და პატრონს თავისი დავუბრუნო.

— არსადაც არ დაბრუნდები! — გადაწყვეტილად განაცხადა დოდო ბასილაიამ და კმაყოფილი ღიმილით გაიბრწყინა.,— გიხდება, სხვათაშორის, ეგ კაბა. ამის პატრონზე უკეთესი მუხლისთავები გაქვს, მკერდიც უფრო გამოგეკვეთა. ლამისაა, აქვე გებრდღვნა... ამას იქით ტანზე მომდგარი კაბები უნდა ჩაიცვა შენ და მეც ეგეთებს გიყიდი. მიაგენი შენს სტილს და ეგაა — ზოგი ჭირი მარგებელიაო, ძველებს უთქვამთ. არ ყოფილა ტყუილი, ხომ ხედავ. წინაპრების სიბრძნე ყოველთვის ამართლებს! ახლა კი, მიდი სანატორიუმში, შენი ჩაიცვი, ეგ კაბა მისი პატრონის რომელიმე ნაცნობს გადააბარე და ხუთ წუთში აქ გაჩნდი. მოუთმენლად გელოდები, იცოდე, და ამ ჯერზე უკვე ნამდვილ სიურპრიზსაც დაგახვედრებ!

— არ გინდა სიურპრიზები და უცნაური წესები! — თხოვა ქალმა, — არ გინდა, გთხოვ...

— მე არ ვიყო დოდო, ამაზე უკეთესი კაბა თუ არ გიყიდო-მეთქი, ხომ გითხარი უკვე და კიდევ ერთხელ გიმეორებ! — აზრის დამთავრება აღარ აცალა მეთუნუქემ.

— მიყვარხარ! — წამოსცდა ქალს და ხელი გულზე მიიდო — ალბათ იმის ნიშნად, რომ ეს აღიარება სრულიად გულწრფელი იყო.

— ხვალ უკვე მთელს ქალაქს ეცოდინება, რა ოინი ვუყავი იმ გაიძვერას! — შენიშნა დოდო ბასილაიამ, — შენ სანატორიუმშიც გაიგებენ ამ ამბავს და არავინ არაფერს დაგაბრალებს. აი, ნახავ, ასე თუ არ იქნა!

მედეა ზაალიშვილი

ცაში გამოკიდული სახლი

კლასში თორმეტი მედალოსანი გვყავდა. სემესტრის განმავლობაში სულ ოთხიანებს უწერდა, ბოლოს კი იტყოდა — რა ვქნა, ამ ბავშვებს სულ ხუთიანები აქვთ და ნიშნებს ხომ არ გავუფუჭებო, და ხუთიანს გაიმეტებდა. მე ოთხიანსაც ვჯერდებოდი.

ძალიან ვცდილობდი ინგლისური ენის სწავლას, მაგრამ მაშინ არც ადაპტირებული წიგნები იშოვებოდა და არც არავინ მყავდა ისეთი, რომ დამხმარებოდა. ჩემმა ძმამ, მალხაზმა გერმანული იცოდა, მამაჩემმა კი ფრანგული. დედაჩემი, სანამ ბიბლიოთეკაში გადავიდოდა სამუშაოდ, რუსულს ასწავლიდა. ისე, გულახდილად რომ გითხრათ, ინგლისურის ზუთხვას წიგნების კითხვა მერჩივნა. მერხის ქვეშ მუხლებზე გადავშლიდი ხოლმე წიგნს და ჩუმად ვკითხულობდი. ამას ისე ფრთხილად ვაკეთებდი, რომ მასწავლებლები ვერ ამჩნევდნენ.

მაგრამ ნათქვამია, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანსო, და ერთხელაც ბატონი ვახტანგი ჩუმად დამდგომოდა თავზე. კარგა ხანს იდგა დოინჯშემოყრილი და მიყურებდა. მე კი ვერაფერი შევამჩნიე. გალაკტიონის ლექსებს ვკითხულობდი გატაცებით. კლასი გასუსული ელოდა, რას მოიმოქმედებდა ბატონი ვახტანგი. თავი მარტო მაშინ ავწიე, როცა ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ხელი შეაცურა მერხის ქვეშ და წიგნი აიღო. გალაკტიონის ლექსების კრებული დედაჩემის ბიბლიოთეკიდან მქონდა წამოღებული და ძალიან ვუფრთხილდებოდი. ბატონმა ვახტანგმა წიგნი დახურა და მარჯვენა ხელი მარცხენაზე გაბრაზებით დამიტყაპუნა.

— რა უპატივცემულობაა, სხვა დრო ვერ მონახე? — მომმართა მკაცრი ხმით, — ამ წიგნს ველარ მიიღებ.

— დიდი ბოდიში, პატივცემულო მასწავლებელო, გთხოვთ, მაპატიოთ და დამიბუნოთ. წიგნი ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე და დედაჩემს უსაყვედურებენ, — ვთხოვე ცრემლნარევი ხმით.

მაგრამ ვახტანგ ჭელიძემ წიგნი არ დამიბრუნა. გაკვეთილის შემდეგ ავედევნე და ვემუდარებოდი, მაპატიეთ-მეთქი, თუმცა ამაოდ. რატომღაც მეტისმეტად გაჯიუტდა და ეგ იყო. ბოლოს ჩემს ძმას გავუმხილე ეს ამბავი. ჩემი ძმა და ბატონი ვახტანგი მეგობრობდნენ და დამაიმედა, წიგნს დაგიბრუნებსო. მაგრამ ჩემი ძმაც გაოცდა, როცა მისგან ცივი უარი მიიღო.

გავიდა წლები. ნელ-ნელა ვთარგმნიდი ინგლისურენოვანი პოეზიის ნიმუშებს. ჩემმა ძმამ მირჩია, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში მიიტანე, იქნებ დაგიბეჭდონო. მივედი, რედაქტორის კარზე დავაკაკუნე. ნაცნობი ხმა შემომესმა: „შემობრძანდით“. უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა. ცოტა არ იყოს, შევკრთი, მაგრამ თავს მოვერიე და შევედი.

— გამარჯობა, ბატონო ვახტანგ.

— ოჰ, ამას ვის ვხედავ, მობრძანდი, დაბრძანდი, — მითხრა ღიმილით, — რა გაგჭირვებია, გალაკტიონის კრებულისთვის ხომ არ მომაკითხე?

— არა, გალაკტიონის კრებული უკვე დამავიწყდა. ჩემი თარგმანები მოგიტანეთ.

— ოჰო, ყოჩაღ. აბა, მაჩვენე.

გავუწოდე ბაირონის, შელისა და ბლეიკის ლექსები.

— კარგად გიმუშავია, — ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე მკითხა, — სად სწავლობ?

ვუთხარი, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ინგლისური ენის განხრით-მეთქი.

— მაგდენი ინგლისური სად ისწავლე, შენ ხომ ჩემს გაკვეთილებს არ უსმენდი?

— ოთხიანი მივიღე. კომისიის წევრებს ჩემი რამდენიმე თარგმანი წავუკითხე. ქალბატონ ნათელა კეშელავას ისე მოეწონა, რომ ნიშნის გადაკეთება ხუთიანად უნდოდა.

— მართლა?! კარგი, მაშ დამიტოვე შენი თარგმანები, ყურადღებით წავიკითხავ და მალხაზს შევეხმიანები.

ადგა და კარამდე გამომყვა. ღია კარში დადგა და იღიმის: „წიგნს მაინც არ დაგიბრუნებ“.

— მთავარია, ჩემი საქციელი მაპატიოთ...

ოტია პაჭკორია და მისი „ფრთები“

ომის პერიოდში გოგონები და ბიჭები ერთმანეთს დაგვაშორეს და სხვადასხვა სკოლაში გადაგვანაწილეს. ჩვენ ერთხანს იმავე შენობაში დავრჩით. ძალიან მიხაროდა, რადგან დიდედაჩემთან და დედაჩემთან ახლოს ვიყავი. მაგრამ ჩემმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა — მალე პეტრიაშვილს ქუჩაზე გადავედით ქალთა V სკოლაში. სკოლის წინ ოტია პაჭკორია ცხოვრობდა; გოგოების ყურადღებას, გარდა იმისა, რომ ძალიან სიმპათიური ყმაწვილი იყო, იმითაც იპყრობდა, რომ უზარმაზარ „ლიპებს“ ატარებდა. ვაკვირდებოდით, როგორ გამოდიოდა სახლიდან, აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედავდა, ჯიბიდან რაღაც უცნაურ, ბურთივით შეკრულ ნაჭრებს ამოიღებდა და პალტოს ქვეშ, მხრებში შეიწყობდა. ომის წლებში რატომღაც ძალიან მოდაში იყო ეგრეთ წოდებული „ლიპები“ — თითქმის ყველა, დიდი და პატარა, ატარებდა, მაგრამ ოტიას ზედმეტი მოსდიოდა და მისი მხრები თვითმფრინავის ფრთებს გვაგონებდა. როგორც კი დავინახავდით, ერთ ამბავს ავტეხდით ხოლმე: „თვითმფრინავი გამოფრინდა და დანიშნულების ადგილისკენ გაემართა“. შინ მიმავალს დავინახავდით, „თვითმფრინავი აეროპორტს უახლოვდება“-ო, ვხითხითებდით. მგონი, შეგვატყო კიდეც და ახლა უკვე სადარბაზოში იკეთებდა „ლიპებს“. ჩვენი გოგონების უმეტესობა მასზე იყო შეყვარებული.

ერთ დღეს ჩემმა ერთმა მეგობარმა გამაცნო ოტია. დიდ პატივს ვცემდი ნიჭიერების გამო. სრულიად მოულოდნელად, დაკვირვებით შემომხედა და გულწრფელად მითხრა: „თქვენგან მშვენიერი ყმაწვილი ქალი დადგება. მხოლოდ ერთი საშიშროებაა, შეიძლება ცხვირი ძალიან გაგეზარდოთ“. შევკრთი და, ცოტა არ იყოს, მეწყინა კიდეც. მისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ ჩემთვის კი გავიფიქრე — ჩემი ცხვირი ჯერ არ გაზრდილა, თვითონ კი კარგად დიდი, კეხიანი ცხვირი გაქვთ-მეთქი, — მაგრამ არაფერი მითქვამს. დუმილით დავშორდით ერთმანეთს. იმ დღიდან გულმოდგინედ ვაკვირდებოდი ჩემს ცხვირს და სულ მეშინოდა, ოტიას სიტყვები არ გამართლდეს-მეთქი. ოტიამ თითქოს დამთარსა და ეს ჩემი ცხვირი რამდენჯერმე მოვიტეხე. უყურადღებოდ დავდიოდი, ხშირად ვეცემოდი. მაინცდამაინც ცხვირი უნდა დამერტყა ხოლმე. ერთხელ სამზარეულოში თაროდან ტაფა ჩამოვარდა და ზედ ცხვირზე დამეცა.

წლები გავიდა. ერთხელაც ოტია უნივერსიტეტთან შემხვდა. ერთმანეთს მივესალმეთ. ადრე მშვენიერი ქოჩორი ჰქონდა, ახლა ერთთავად დასცვენოდა. მინდოდა, მეთქვა, მე ეს ცხვირი ბევრჯერ მოვიტეხე, მაგრამ, არც შენ დაგდგომია კარგი დღე, თავი ისე მოგტვლეპია და ისე გილაპლაპებს, უკუნ ღამეს გაანათებს-მეთქი. მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი ვუთხარი. ისე, ფრთებიც შეეკვეცა და თვითმფრინავივით აღარ დაფრინავდა. 1972 წელს მისი წიგნი გამოვიდა: „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“. უმალ შევიძინე და ერთ ღამეში წავიკითხე. მისი მოთხრობებიც მქონდა წაკითხული და ძალიან მომწონდა. ამ ქვეყნიდან მისმა ნაადრევმა წასვლამ გული დამწყვიტა.

...ამ სიბერეში კიდევ ერთხელ გამახსენდა ოტია პაჭკორიას სიტყვები. „ჩვენი მწერლობის“ რედაქციიდან გამოვდიოდი და დაკეტილი მინის კარი ვერ შევამჩნიე — ღია მეგონა და ზედ სახით მივეხეთქე. ცხვირი გამისივდა და კეხიც გამეზარდა. „ოჰ, ოტია, შენ რა გითხარი, — კიდევ ერთხელ გავიფიქრე გულში, — ალბათ, ეს ბოლოა და მეტს აღარ შევაწუხებ შენს სულს“...

მარსიანი

ბეგბედერის ვიზიტისა და ჩემი „ტოპორმოცდაათეულის“ შესახებ

ფრანგი მწერლის, ფრედერიკ ბეგბედერის სახელი ერთი-ორჯერ ყურმოკვრით მქონდა აქამდე გაგონილი, არადა, თურმე, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი ყოფილა და ქართულადაც, მგონი, უკვე ყველაფერი უთარგმნიათ მისი შემოქმედებიდან. ინფორმაციულ ვაკუუმში ვყოფილვარ, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ჭურში ვმჯდარვარ.

და აი, ერთ დღეს იკა ქადაგიძემ წიგნის მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსის“ გალერეაში ბეგბედერთან დაგეგმილ შეხვედრაზე დასწრება შემომთავაზა. ჩვენთან ერთად იყვნენ პოეტები — დალი კახიანი და დალი ყარაულაშვილი. გალერეის წინ უამრავი ხალხი (ძირითადად, ახალგაზრდობა) იყო თავმოყრილი და სტუმრის მოსვლას ელოდა. დიდხანს მოგვიხდა ლოდინი. ამ სივიწროვესა და არეულობაში ჩვენს ორივე მეგობარ ქალბატონს — ორივეს დალი ჰქვია, როგორც ვთქვი — ცხარე კამათი მოუხდა უცნობ ახალგაზრდებთან: ამ უცხოელებზე რომ გიჟდებით, ქართველი მწერლებიც უნდა იკითხოთო; ახალგაზრდებმა კიდევ (ერთმა საყურიანმა ბიჭმა) — ეგ თქვენი ილია, აკაკი თუ ლადო ასათიანი ჯერ კიდევ სკოლაში ამოგვივიდა ყელშიო. მოკლედ, თაობათა ბრძოლა და მგლის თავზე სახარების კითხვა გამოვიდა ასე იმპროვიზირებულად. ხოლო ჩვენი მშვენიერი იკა სფინქსური იდუმალებით იღიმოდა; ჩემდა გასაოცრად „მტერს“ პირდაპირ არ კვეთებია (მის გაბედულ საპროტესტო გამოსვლებს ძალიან ხშირად შევსწრებივარ); აშკარად სხვა ტაქტიკა აირჩია (ამ გზით ახალგაზრდების მეორე ნაწილი „გაანეიტრალა“, თავისკენ შეუმჩნევლად გადაიბირა!). დროდადრო სარკასტულ შენიშვნებს ჩაურთავდა კამათში ისე, რომ ის ბეგბედერისტულად დამუხტული ახალგაზრდები კარგად ვერც გაერკვეოდნენ, მოწინააღმდეგესთან ჰქონდათ საქმე თუ მომხრესთან: თუმცა ალბათ ალღოთი მაინც გრძნობდნენ, რომ იკას სარკაზმის ობიექტები მაინც, ძირითადად, თავად იყვნენ და არა სხვა ვინმე თუ სხვა რამე. რაც შემეხება მე, ხმა არ გამიღია, დიდხანს ერთ ადგილას დგომამ ისე საშინლად ამატკივა ფეხები, სკამზე დაჯდომის მეტი არაფერი მსურდა ამქვეყნად.

როგორც იქნა, მოვიდა სტუმარი და ჩვენი ყოჩაღი ქალბატონების — ანუ ორი დალის — აქტიური ძალისხმევით, შენობაშიც შევაღწიეთ. ხალხის უმეტესი ნაწილი გარეთ დარჩა. შიგნით უარესი ქაოსი იყო. რომელიღაც ტელევიზიიდან შემეკითხნენ, რა აზრისა ხართ ამ სიტუაციაზეო. ვუპასუხე, ფეხბურთის სტადიონზე მგონიამეთქი თავი. იკასაც მოუხდა ტელეკამერის წინ საუბარი და მან უფრო ვრცლად დაახასიათა შექმნილი ვითარება. ჯობს, მისი სიტყვების ციტირება მოვახდინო:

„თავისთავად ცუდი არ არის, როდესაც სტუმრად უცხოელი მწერლები ჩამოდიან, თუმცა ვეჭვობ, აქ თავმოყრილ ახალგაზრდობას ამ პოპულარული ევროპელი მწერლის წიგნები წაკითხული ჰქონდეს. ბეგბედერის მხატვრული ენა არ მაკმაყოფილებს, თუმცა იგი აქტუალურ თემებს გამოკვეთს და რეკლამის საშიშროებაზე გულახდილად მიუთითებს. სასურველია, ქართველმა ახალგაზრდებმა უცხოელი ავტორების გარდა ღირსეული ქართველი მწერლებიც დააფასონ, რომლებსაც ნაკლებად აპიარებენ და ამიტომ არ ჩანან. როდემდე დავრჩებით სნობებად და საკუთარის ძაგების ფონზე უცხოელებს ზედმეტად დავაფასებთ?! მაშინ რუსთაველსაც ვერავინ შემოგვედავება და ბეგბედერიც მოწყალე თვალით გადმოხედავს ქვეყანას, რომელსაც ძალიან უნდა, ევროპას ასიამოვნოს და ზედმეტი გულმოდგინების გამო საკუთარი ფესვი არაფრად უღირს!“

ბეგბედერთან დახურული შეხვედრა მწერალთა სახლში საინტერესოდ და ვრცლად აღწერა პაატა ნაცვლიშვილმა „ლიტერატურული გაზეთის“ 25 მარტის ნომერში. ჩემი წერილის მიზანი სხვაა. მინდა, ბეგბედერის წიგნს — „საბოლოო აღწერა ჩამოფასებამდე“ (ეს წიგნი იკა ქადაგიძის საკუთრებაა ზედ ბეგბედერის ავტოგრაფით, რომელიც დალი ყარაულაშვილმა მარჯვედ მოიპოვა) — გამოვეხმაურო. იდეა იკა ქადაგიძეს ეკუთვნის. ბეგბედერი ორმოცდაათ მცირე ესსეს გვთავაზობს მეოცე საუკუნის იმ 50 ლიტერატურულ ნაწარმოებზე, რომლებიც ერთი სტატისტიკური გამოკითხვის შედეგად FNA-ს და Le Monde-ს დაგზავნილი ბიულეტენების მიხედვით 6000 ფრანგ მკითხველს 1999 წელს საუკუნის საუკეთესო ქმნილებებად უღიარებია. ბეგბედერი არ ეთანხმება ამ სიას, ან კი როგორ დაეთანხმებოდა, როცა მისი საყვარელი მწერალი, ჯერომ სელინჯერი, რომელსაც თავად ბოლო რომანი მიუძღვნა, გამოკითხვის მიღმა დარჩა.

კვლევის შედეგად დაზუსტებულ სიაში ჩემთვის არაერთი უცნობი ავტორის სახელ-გვარია, ან კიდევ ისეთებისა, რომლებიც კი გამიგია, მაგრამ არ წამიკითხავს. ჰოდა, ასე გადავწყვიტე: ჯერ იმ დადგენილ სიას გადმოვწერ (სტატისტიკური გამოკითხვის შედეგად რომ შეიქმნა) და თითოეულ ავტორსა და ნაწარმოებზე ორიოდ სიტყვასაც დავურთავ, შემდეგ კი ჩემს საკუთარ სიას წარმოვადგენ, რომელიც ბევრწილად განსხვავებული იქნება.

1. ალბერ კამიუ. „უცხო“. დიდად არ მიყვარს ეს მწერალი, მაგრამ მის ნაწარმოებებში ისევ „უცხო“ მირჩევნია სხვებს. ვნახოთ, გამოიძებნება თუ არა ჩემს ორმოცდაათეულში კამიუს ადგილი.

2. მარსელ პრუსტი. „დაკარგული დროის ძიებაში“. სამწუხაროდ, არ წამიკითხავს. მის შესახებ რაღაცები კი მომისმენია და წინასწარი განწყობა უაღრესად დადებითია, მაგრამ, რა ვქნა, წაუკითხავ წიგნს ჩემს სიაში ვერ შევიტან.

3. ფრანც კაფკა. „პროცესი“. კარგია, ვეთანხმები.

4. ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი. „პატარა უფლისწული“. საუცხოო ზღაპარია. სულით და გულით ვეთანხმები.

5. ანდრე მალრო. „ადამიანთა ხვედრი“. ამ ავტორს მხოლოდ სახელითა და გვარით ვიცნობ.

6. ლუ ფერდინანდ სელინი. „მოგზაურობა ღამის კიდეზე“. არც ამას ვიცნობ.

7. ჯონ სტაინბეკი. „მრისხანების მტევნები“. შესანიშნავი წიგნია. ვეთანხმები, თუმცა ბეგბედერი რომ გვირჩევს, „თაგვებსა და ადამიანებზე“ წაიკითხეთო, საყურადღებო შენიშვნაა. მე პირადად „დათვ ჯონსა“ და „მარგალიტსაც“ დავუმატებდი. აი, „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ მაინცდამაინც დიდად არ აღმაფრთოვანებს, ხოლო „ტორტილა ფლეტი“ დღემდე რატომღაც წაუკითხავი დამრჩა. აქებდნენ კი.

8. ერნესტ ჰემინგუეი. „ვისთვის რეკს ზარი“. შესანიშნავი რომანია. „ფიესტაც“ არანაკლებია, „ქონა თუ არქონაც“, „მშვიდობით იარაღოც“ და არაერთი მოთხრობა, მაგალითად, „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნერება“, „მკვლელები“, „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“, და სხვებიც, მაგრამ ჰემინგუეის მწვერვალი მაინც „მოხუცი და ზღვაა“. ჩემს სიაშიც ამით შევიტან.

9. ალენ ფურნიე. „დიდი მოლნი“. მქონდა ეს წიგნი, მაგრამ რატომღაც ვერასოდეს წავიკითხე.

10. ბორის ვიანი. „დღეთა ქაფი“. არაფერი ვიცი ამ მწერალზე.

11. სიმონა დე ბოვუარი. „მეორე სქესი “. ეს ნაწარმოები არ წამიკითხავს. ვიცნობ მხოლოდ ერთ მოთხრობას, სათაური არ მახსოვს — მომაკვდავ დედაზე ჰყვებოდა, მოსაწყენი იყო. ვერ შევა ჩემს სიაში.

12. სემუელ ბეკეტი. „გოდოს მოლოდინში“. შექსპირის დონის პიესაა. სულითა და გულით ვეთანხმები. რაც მე ამ ნაწარმოებმა მაცინა!

13. ჟან-პოლ სარტრი. „ყოფა და არარაობა“. ამ ნაწარმოებს არ ვიცნობ. „გულისრევა“ წავიკითხე და დიდად არ აღვფრთოვანებულვარ. მგონი, კიდევ რაღაც წამიკითხავს. „კედელი“? არ მახსოვს. კამიუსი არ იყოს, არც სარტრიზე ვგიჟდები. მაგათი ათეიზმი და ეგზისტენციალიზმი დიდად არ მეპიტნავება.

14. უმბერტო ეკო. „ვარდის სახელი“. არ წამიკითხავს, მაგრამ ეკრანიზაცია ვნახე. თუ წიგნიც ისეთივე ძლიერია, როგორც ფილმი, მივესალმები.

15. ალექსანდრე სოლჟენიცინი. „არქიპელაგი გულაგი“. არ წამიკითხავს და მაინცდამაინც წაკითხვის სურვილიც არ მაქვს.

16. ჟაკ პრევერი. „სიტყვები“. არ წამიკითხავს.

17. გიიომ აპოლინერი. „ალკოჰოლები“. აპოლინერი (გივი გეგეჭკორის მიერ თარგმნილი) ჩემი უსაყვარლესი პოეტია. თუმცა არ ვიცი, აქ დასახელებულ კრებულში რომელი ნაწარმოებებია შესული იმათგან, მე რომ წამიკითხავს.

18. ერჟე. „ლურჯი ლოტოსი“. ყურმოკვრითაც არ გამიგია აქამდე.

19. ანა ფრანკი. „ დღიური“. საწყალი გოგო! ძალიან მეცოდება, თუმცა არა მგონია, ჩემს სიაში ამ დღიურის ადგილი აღმოჩნდეს.

20. კლოდ ლევი-სტროსი. „სევდიანი ტროპიკები“. ეს კაცი გრამატიკოს-სტრუქტურალისტი რომაა, გამიგონია. მხატვრულ ნაწარმოებებსაც თუ წერდა, არ ვიცოდი.

21. ოლდოს ჰაქსლი. „მშვენიერი ქვეყანა“. არ წამიკითხავს.

22. ჯორჯ ორუელი. „1984". კარგი წიგნია, თუმცა არ ვიცი, ჩემს სიაში მოხვდება თუ არა: გააჩნია, რამდენ ავტორს მოვიძიებ.

23. გოსინი და უდერძო. „ასტერიქსი, გალების ბელადი“. ეს რაღა უბედურებაა! საერთოდ არ გამიგია!

24. ეჟენ იონესკო. „მელოტი მომღერალი ქალი“. ეს ნაწარმოები არ წამიკითხავს, მაგრამ, სამაგიეროდ, „მარტორქა“ ვიცი. უძლიერესი პიესაა. უცრემლოდ ვერ ვკითხულობ მის ფინალს: მთავარი გმირის (სახელი არ მახსოვს) ირგვლივ თანდათან რომ ყველანი მარტორქებად იქცევიან, ერთადერთი საყვარელი ქალიღა დარჩება, რომელსაც სასონარკვეთილი ემუდარება: „დეზი, შენ ხომ მაინც არ მიმატოვებ?!“ ისიც პირდება, მაგრამ ცოტა ხანში მაინც მარტორქად იქცევა... და რჩება კაცი აბსოლუტურად მარტო მარტორქებად ქცეულ სამყაროს წინაშე: განადგურებული, უსასოოდ დარჩენილი, იმასაც ამბობს, ალბათ სიმართლე იმათ მხარეზეა, რაკი ყველანი მარტორქებად იქცნენო... მაგრამ რა ქნას, არ შეუძლია თავისი ადამიანობის დათმობა და ბოლოს სანადირო თოფით აპირებს მთელი სამყაროს წინააღმდეგ წასვლას! თვით იონესკოს ვხედავ ამ კაცში... ჩემს თავს ვხედავ... შენ გხედავ...

25. ზიგმუნდ ფროიდი. „სამი ესსე სექსუალურ თეორიაში“. ამას მწერლებში რა უნდა? არ ეყოფა, რაც იმ თავისი „ლიბიდოთი“ მწერლები (არა მარტო მწერლები) დააბოლა?!

26. მარგარეტ იურსენარი. „ფილოსოფიური ქვა“. არ ვიცნობ.

27. ვლადიმერ ნაბოკოვი. „ლოლიტა“. ეს რომანი საინტერესოდ იკითხებოდა მანამ, სანამ ჰუმბერტ-ჰუმბერტი ნიმფეტკა ლოლიტასთან დაწვებოდა. მერე კი მოსაწყენი გახდა. ბოლომდე ვერ წავიკითხე. არ ვიცი, მოხვდება თუ არა ჩემს სიაში.

28. ჯეიმს ჯოისი. „ულისე“. უდიდესი წიგნია. მოუწყენლად საკითხავია ჩემთვის. სამწუხაროდ, ეს წიგნი არ მაქვს და ვერც ვერავინ მოიფიქრა, რომ მაჩუქოს (ვგულისხმობ ახალ გამოცემას, რომელშიც სრული ტექსტია შესული).

29. დინო ბუცატი. „თათრული უდაბნო“. პირველად მესმის.

30. ანდრე ჟიდი. „ყალბი ფულის მჭრელები“. არ წამიკითხავს. გამიგია, რომ ნოვატორი მწერალია, მაგრამ სათაური არ მომწონს.

31. ჟან ჟინიო. „ჰუსარი სახურავზე“. ესეც პირველად მესმის.

32. ალბერ კოენი. „მშვენიერი ქალბატონი“. არც ეს გამეგონა აქამდე.

33. გაბრიელ გარსია მარკესი. „მარტოობის ასი წელი“. ამ წიგნს ბეგბედერიც ასახელებს თავის სიაში და სავსებით ვეთანხმები, ლათინური ამერიკის „ბიბლიად“ რომ მოიხსენიებს. იმათაც ვეთანხმები, „დონ-კიხოტს“ ვინც ადარებს. ჩემის მხრივ დავძენდი: ეს წიგნი ლათინური ამერიკის „ვეფხისტყაოსანია“!

34. უილიამ ფოლკნერი. „ხმაური და მძვინვარება“. უბრწყინვალესი წიგნია. მისი გავლენით დავწერე „ანამაისი“. ამ გავლენის დასაძლევად „ულისეს“ ვკითხულობდი („ულისესგან“ გვარიანადაა დავალებული თვით ფოლკნერი ამ წიგნში) და ერთხელაც შევამჩნიე, რომ ახლა უკვე „ულისეს“ გავლენაში მოვექეცი. რაც მე ამ ორ მონსტრს ვებრძოლე — ამ სცილას და ქარიბდას; იქნებ ამიტომაც გამოვიდა „ანამაისი“ ასე უცნაური პროდუქტი — ერთდროულად პოსტმოდერნისტულიც რომაა და რომანტიკულიც...

35. ფრანსუა მორიაკი. „ტერეზა დეკეირუ“. არ მიყვარს ეს მწერალი — პათოლოგიურია.

36. რაიმონ კენო. „ზაზი მეტროში“. არც ეს ვიცი, ვინაა.

37. სტეფან ცვაიგი. „გრძნობების დაბნეულობა“. ამ მწერალს უფრო ტოლსტოისა და დოსტოევსკიზე დაწერილი წიგნებით ვაფასებ, ვიდრე საკუთრივ მისი მხატვრული ნაწარმოებებით. არ ვიცი, მოხვდება თუ არა ჩემს სიაში.

38. მარგარეტ მიტჩელი. „ქარწაღებულნი“. ფილმი მომწონს. წიგნი არ წამიკითხავს. ამბობენ, პრიმიტიულიაო.

39. დევიდ ლოურენსი. „ლედი ჩატერლეის საყვარელი“. არ წამიკითხავს.

40. თომას მანი. „ჯადოსნური მთა“. უდიდესი ნაწარმოებია. თვით „დოქტორ ფაუსტუსზე“ მეტადაც მიყვარს. ეს ორი რომანი თომას მანის „ილიადა“ და „ოდისეაა“.

41. ფრანსუაზ საგანი. „სალამი, სევდავ!“ კარგი წიგნია. სხვა რომანებიც კარგი აქვს, მაგრამ მეეჭვება, ჩემს სიაში მოხვდეს. გააჩნია, რამდენ ავტორს დავაგროვებ.

42. ვერკორი. „ზღვათა დუმილი“. არ ვიცნობ.

43. ჟორჟ პერეკი. „სიცოცხლე, მოხმარების წესები“. წარმოდგენა არ მაქვს.

44. ართურ კონან დოილი. „ბასკერვილების ძაღლი“. საუკეთესო დეტექტივ-

ია, რაც კი წამიკითხავს. სიამოვნებით შევიყვან სიაში, თუ ადგილი იქნა.

45. ჟორჟ ბერნანოსი. „სატანის მზის ქვეშ“. არც ამის შესახებ ვიცი რამე.

46. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი. „დიდი გეტსბი“. კარგია. იქნებ „ნაზია ღამე“ ვამჯობინო?

47. მილან კუნდერა. „ხუმრობა“. არ წამიკითხავს. „აუჩქარებლობა“ წავიკითხე, ხოლო „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ მხოლოდ ეკრანიზაციით ვიცი ჯერ-ჯერობით. კარგი მწერალი ჩანს, თუმცა მისი პოსტმოდერნისტულობის მიმართ ისეთი დამოკიდებულება გამიჩნდა, რაც არსებითად ემთხვევა საკუთარი უპირატესობის გრძნობას; მსგავსი დამოკიდებულება სხვა პოსტმოდერნისტების მიმართაც აღმოვაჩინე ჩემს თავში და ამაზე არაერთგზის დავწერე კიდეც: ანუ პოსტმოდერნიზმი პოსტმოდერნიზმისვე წიაღში გადავლახე-მეთქი, რაც, ვფიქრობ, არავის გაუკეთებია სხვას. ნეტავ, დღეს, ამ თვითაღიარებიდან ათი წლის შემდეგ, მაინც თუ შეუძლია ვინმეს ამის გაგება?

48. ალბერტო მორავია. „სიძულვილი“. ამ მწერლის ვეებერთელა მოთხრობების წიგნი მაქვს წაკითხული. არ მიყვარს ეს ვიწრომასშტაბიანი, თუმცა ძალზე დამაჯერებლად რეალისტური მოთხრობები. აქ დასახელებული რომანი არ წამიკითხავს. დარწმუნებული ვარ, არც ეს მომეწონებოდა.

49. აგატა კრისტი. „როჯერ ეკროიდის მკვლელობა“. ეს ნაწარმოები არ წამიკითხავს, თუმცა ამ მწერლის მძაფრი დეტექტიური სიუჟეტები და თვითონ მაძებარი ერკიულ პუარო ძალიან მომწონს. თუ მომრჩა ადგილი, ჩემს სიაში კონან დოილის გვერდით დავაყენებ.

50. ანდრე ბრეტონი. „ნადია“. არ ვიცნობ.

ახლა კი, დროა, ჩემს სიაზე ვიფიქრო:

საქართველოში მსგავსი სიის შედგენა არც ისე ადვილია, თუ მოისურვებ და ამ ორმოცდაათკაციან მარაქაში თანამედროვე ქართველი მწერლების გარევას მოიწადინებ:

— აი, ის რომ დაასახელე, მე რატომ გამომტოვე! — მოგადგება მავანი და მავანი (არა ერთი და ორი).

რა გინდა, უპასუხო? მტრად გადაგეკიდება. ან, შეიძლება, გარეგნულად არ შეიმჩნიოს, მაგრამ გულში ჩაიდებს და ეცდება, სამაგიერო გადაგიხადოს: თუ სადმე გამომცემლობაში ან ჟურნალში მუშაობს, იქ შენი ნაწარმოებების გამოქვეყნებაზე აღარც კი უნდა იოცნებო. თუ სადმე ჟიურიში მონაწილეობს და შენ კი იქ ხარ წარდგენილი პრემიაზე, დარწმუნებული იყავი, რომ უარყოფით შეფასებას მოგცემს. და საერთოდ, ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რომ არ გაგახაროს... და თუნდაც ისეთი ვინმე იყოს, რომ ვერაფერს დაგაკლებს, მაინც არაა სასურველი, ვინმე განაწყენებული გყავდეს... აქედან გამომდინარე, ორმოცდაათეულში ცოცხალი მწერლების შეყვანაზე საერთოდ უარი უნდა განაცხადო.

მაგრამ არც ეს კმარა თავდასაზღვევად: გარდაცვლილ მწერალსაც ხომ შეიძლება, ჰყავდეს ისეთი ჭირისუფალი, რომელიც თავისი მიცვალებულის იგნორირებას არ გაპატიებს. ამდენად, რაღაც ნიშნით უნდა მოხდეს შერჩევა ამ შემთხვევაშიც, რათა პოტენციური მტრების შეძენის ალბათობა შეძლებისდაგვარად შეამცირო.

ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, მხოლოდ იმ მწერალთაგან ავარჩიო ამ სიაში შესაყვანნი, ვინც მეოცე საუკუნეში გარდაიცვალა და, ამდენად, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მხოლოდ მეოცე საუკუნეს ეკუთვნის. შესაძლოა, მეცხრამეტე საუკუნეში იყოს დაბადებული, მაგრამ მეოცე საუკუნის დადგომისას ჯერ კიდევ არ უნდა იყოს მწერლად ჩამოყალიბებული. ამ შეზღუდვას მხოლოდ ქართველებზე ვავრცელებ, თორემ თომას მანს რას ვერჩი, ოცდახუთი წელიწადი რომ იცხოვრა მეცხრამეტე საუკუნეში, და „ბუდენბროკების“ დაწერაც მოასწრო (მას ხომ, როგორც გამიგია, სწორედ ამ რომანისთვის მიანიჭეს ნობელის პრემია, თუმცა კი უკვე დაწერილი ჰქონდა „ჯადოსნური მთა“).

რა თქმა უნდა, ჩემს მიერ მიღებული ზომები ასპროცენტიან „უსაფრთხოების“



გარანტიას ვერ შემიქმნის, მაგრამ, რა ვქნა, ამ სიის შედგენა ისე, რომ ქართველი ავტორები და მათი ნაწარმოებები საერთოდ არ მოხვდნენ, დიდი უსამართლობა იქნება. ხოლო ის ავტორები, რომლებიც არამარტო მეოცე საუკუნეს, არამედ ოცდამეერთესაც ეკუთვნიან ქრონოლოგიურად, დაე, სხვა, სამომავლო სიისთვის „შემოვინახოთ“...

ვიწყებ: აქ თანმიმდევრობას მნიშვნელობას არ მივანიჭებ, რიგითი ნომერი რაიმე უპირატესობის (ან პირიქით) მაჩვენებელი არ იქნება (კონან დოილი რომ ჯოისზე ადრე დავასახელო, ვინმეს ნუ ეგონება, რომ კონან დოილი მიმაჩნია უკეთეს მწერლად). ლირიკოსები იმ ფრანგულ სიაში არა თითო ნაწარმოებით, არამედ მათი რომელიმე წიგნით (ან იქნებ ციკლით) არიან წარმოდგენილნი. მეც ასე მოვიქცევი, თუმცა ჯობს, ზოგი ნაწარმოები კიდეც გამოვყო და დავასახელო:

1. გალაკტიონი. რჩეული (1973). აქ თითქმის ყველა მისი საუკეთესო ნაწარმოებია თავმოყრილი — „ლურჯა ცხენები, „მთაწმინდის მთვარე“, „დომინო“, „ეფემერა“, „გრიგალი“, „თოვლი“ და სხვა მრავალი...

2. ტერენტი გრანელი. ლირიკა (1972). ამ წიგნშია „სიცოცხლის გრადაცია“, „ცრემლი შუაღამის“, „მოგონება ქარში“, „ზამთრის მოახლოება“, „გაზაფხულის საღამო“, „memento mori“...

3. გიორგი ლეონიძე. მისი არცერთი წიგნი არ გამაჩნია და არც მათი დასათაურებანი ვიცი, ამიტომაც პირდაპირ ლექსებს ჩამოვთვლი: „ნინოწმინდის ღამე“, „ოლე“, „ყივჩაღის პაემანი“, „მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა ნუშის ნაფერალი“...

4. ნიკო სამადაშვილი. „წუთისოფლიდან უკვდავებამდე“. (1989). აქ არის „ატენის სიონი“, „დაუსაბამობის ხილვა“, „უკანასკნელი ქრისტიანები“, „დარდი ბუხართან“, „გზათ-ვალალობა“ და კიდევ რამდენი...

5. ტიციან ტაბიძე. წიგნი არ მაქვს. ლექსები: „მღვდელი და მალარია“, „მღვდელი და მალარია კუბოში“, „სატურნი და მალარია“, „ლექსი მეწყერი“, „ლექსის დაბადება“, „ანანურთან“...

6. გრიგოლ რობაქიძე. „გველის პერანგი“.

7. გიორგი კორნაპელი. „ფენიქსი“. (1995). აქაა ყველაფერი საუკეთესო, რაც დაუწერია — „ნარცისი“, „იყავნ“, „ნელი ცეცხლია შემოდგომისა“, „უშბა“, „მიემგზავრები უცხოობით და განცვიფრებით“ და ასე შემდეგ.

8. კონსტანტინე გამსახურდია. „მთვარის მოტაცება“.

9. მიხეილ ჯავახიშვილი. „არსენა მარაბდელი“.

10. მიხაილ ბულგაკოვი. „ოსტატი და მარგარიტა“.

11. ვლადიმირ მაიაკოვსკი. „შარვლიანი ღრუბელი“.

12. მიხაილ შოლოხოვი. „წყნარი დონი“. (თუმცა ამბობენ, რომ ნამდვილი ავტორი არა შოლოხოვი, არამედ თეთრგვარდიელი ოფიცერი კრიუკოვია).

13. იოსიფ ბროდსკი. „ახალი ჟიულ ვერნი“.

14. რაბინდრანათ თაგორი. „გიტანჯალი“.

15. რიუნოსკე აკუტაგავა. „უსიერ ტყეში“.

16. ივან ეფრემოვი. „ანდრომედას ნისლეული“.

17. რედიარდ კიპლინგი. „მაუგლი“.

18. ართურ კონან დოილი. „ბასკერვილების ძაღლი“.

19. ჯეიმს ჯოისი. „ულისე“.

20. უილიამ ფოლკნერი. „ხმაური და მძვინვარება“.

21. ერნესტ ჰემინგუეი. „ მოხუცი და ზღვა“.

22. ჯონ სტაინბეკი. „მრისხანების მტევნები“.

23. რეი ბრედბერი. „მარსის ქრონიკა“.

24. არტურ კლარკი. „2001 წლის კოსმოსური ოდისეა“.

25. გაბრიელ გარსია მარკესი. „მარტოობის ასი წელიწადი“.

26. ედვინ არლინგტონ რობინსონი. „მინევერ ჩივი“.

27. რობერტ ფროსტი. „ცეცხლი და ყინული“. „ნოემბრის სტუმარი“.

28. კარლ სენდბერგი. „ბალახი“. „უდაბნო“. „პირველი კლასის ექსპრესი“.

29. ვეიჩელ ლინდზი. „ზანგური ქადაგება. საიმონ ლეგრი“.

30. უოლეს სტივენსი. „შეთქმულება გოლიათის წინააღმდეგ“. „პიტერ კვინსი კლავიატურასთან“.

31. ეზრა პაუნდი. „ძველებური სიბრძნე, უმალ კოსმიური“. „ეპიტაფიები“.

32. რობინსონ ჯეფერს. „ცუდი სიზმრების აპოლოგია“. „დაჭრილი ქორი“. „თვალი“.

33. ტომას სტერნზ ელიოტი. „ქარიანი ღამის რაფსოდია“. „კაცის ფიტულები“. „იავარქმნილი მიწა“.

34. გიიომ აპოლინერი. „ზონა“. „პიკასოს“. „მე თუ დავეცი“. „რაინური შემოდგომა“.

35. რაინერ მარია რილკე. „დუინური ელეგიები“. „სონეტები ორფევსისადმი“.

36. გეორგ თრაქლი. „ყრმა ელისს“. „ჰელიანი“.

37. ჰერმან ჰესე. „ტრამალის მგელი“.

38. ტოლკიენი. „ბეჭდების მბრძანებელი“.

39. ჯეკ ლონდონი. „მარტინ იდენი“.

40. სემუელ ბეკეტი. „გოდოს მოლოდინში“.

41. ფრანც კაფკა. „პროცესი“.

42. ჩინგიზ აიტმატოვი. „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“.

43. ხულიო კორტასარი. „კლასობანა“.

44. რობერტ მუზილი. „უთვისებო კაცი“.

45. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი. „ნაზია ღამე“.

46. ჯონ ფაულზი. „აბანოზის კოშკი“.

47. ეჟენ იონესკო. „მარტორქა“.

48. აგატა კრისტი. „ენდჰაუზის საიდუმლოება“.

49. ჯერომ სელინჯერი. „თამაში ჭვავის ყანაში“.

50. სომერსეტ მოემი. „მთვარე და ექვსპენიანი“.

ესეც ასე: მოვრჩი ჩამოთვლას. გამოკითხულთა მსგავსად თავისუფალ-გალაღებული რომ ვიყო, ვიღაც-ვიღაცებს ანგარიშს არ გავუწევდი და არაერთ ქართველ მწერალს დავასახელებდი (უცხოელთა რიცხვის შემცირების ხარჯზე), ზოგს — საზოგადოებისათვის სრულიად უცნობს ამოვატივტივებდი, ზოგს — ყველასთვის ცნობილს — სრული იგნორირებით გავაცოფებდი. სამწუხაროდ, ცხენი არ მყავს შეკაზმული...

იდეა იმისა, რომ ჩემი ორმოცდაათეული შემედგინა, იკა ქადაგიძემ მომცა. ეჭვი არ არის, ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება ჩვენი სიები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ საკითხში თანამოაზრეები ვართ. მაგალითად, ვიცი, რომ რომანტიკოს იკას არ უყვარს „ცინიკოსი“ ჯოისი, მე კიდევ ამ მწერალზე მზე და მთვარე ამომდის და ჩემს ერთ-ერთ მთავარ მასწავლებლად მიმაჩნია; იკას აზრით, სტაინბეკი ჯიბეში ჩაისვამს ჰემინგუეის, მე კი ვფიქრობ, „მოხუცი და ზღვის“ ავტორის „ჯიბეში ჩასმა“ არათუ სტაინბეკს, არამედ დანტესა და სერვანტესსაც არ გამოუვათ ადვილად.

სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ მე და იკა ერთნაირად ვფიქრობთ გალაკტიონზე — იგი ყველა დროის უდიდესი ლირიკოსია მსოფლიოში. მასთან გასატოლებელი ძალიან ცოტა ვინმეა, მასზე აღმატებული კი — არავინ...



ნუგზარ შატაიძე

ლეილა მესხი

ფიქრის კრიალოსანი

გამომცემლობა „მერანში“ ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები გავატარე. რუსთაველის პროსპექტის 42, ხმაურიანი ქუჩა, ჭადრების ჩრდილი — ლადო ასათიანის საყვარელი ჭადარიც აქ იდგა. მწერლების ხშირი სტუმრობა, მისვლა-მოსვლა უდავოდ შთამბეჭდავი იყო. წიგნის გამოცემის რთული საქმე სიხარულს მგვრიდა. მხიარული კოლექტივი, თანამშრომელთა სიახლოვე, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა მრავლის მიმანიშნებელი იყო.

პოეზიის განყოფილებას ტაგუ მებურიშვილი ხელმძღვანელობდა, პროზას — ნუგზარ შატაიძე. დინჯი, ფერმკრთალი კაცი. ცოტას ლაპარაკობდა, უმეტესად, დუმდა. თავისი შესანიშნავი მოთხრობები უკვე დაწერილი ჰქონდა: „ლამაზი ქალი“, „მგელი“, „პური“ და სხვა. წიგნების რედაქტორობით, ხელნაწერებში ჩაკირკიტებით დიდად არ იწუხებდა თავს, მგონი, არც დიდი სურვილი ჰქონდა ამისა... სამაგიეროდ, მნახველი არ აკლდა, სისტემატურად აკითხავდნენ მეგობრები: მწერლები, მხატვრები, მსახიობები. განუწყვეტლივ ისმოდა: „ნუგზარი ჩემი ძმაა, მეგობარია, საყვარელი მწერალია.“ სინამდვილეში, ერთი მარტოსული კაცი იყო. ძნელად გადაუშლიდა ვინმეს გულს. უმეტესად, საკუთარ თავში, საკუთარ არსებაში იხარშებოდა.

„მერანის“ გაქირავება რომ წამოიწყეს, თანამშრომლებს ხელფასებს ვერ ვურიგებთო, და პირველი სართული მაღაზიებს მიაქირავეს. ამას არ დაჯერდნენ, მეორე სართულის დიდი ოთახი (რომელშიც ნუგზარი თავის თანამშრომლებთან ერთად იჯდა) შუაზე გატიხრეს. ერთ მხარეს რედაქტორები მოთავსდნენ, მეორე მხარეს — მხატვრები. ნუგზარმა მხატვრებთან ისურვა დარჩენა. ისხდნენ ნახევრად ბნელ, უცნაურად წაგრძელებულ ოთახში ღარიბულ სუფრასთან და შეთქმულებივით საუბრობდნენ.

კარი ღია იყო და ხმები გარკვევით ისმოდა. სტუმრები ხშირად ჰყავდათ. „ჩუბჩიკა“ (თენგიზ მირზაშვილი), გიორგი წერეთელი, ბათუ დანელია, სპარტაკ ცინცაძე, ჯემალ მონიავა, ჯემალ ზენაიშვილი. საკამათო არ ელეოდათ. უმეტესად, უშუქოდ ისხდნენ, სიბნელეში. ფანჯარაში იცქირებოდნენ, საიდანაც მოპირდაპირე შენობის ყრუ კედელი მოჩანდა. მარტო როდი ისხდნენ, დიდებული სტუმრები ჰყავდათ: იოანე ოქროპირი, იოანე ათონელი, ერაზმ როტერდამელი, დალაი-ლამა, ლაოძი. მხატვრებიც ბევრნი იყვნენ: მუნკი, უაიეტი, ფუკე, ფრაგონარი, შაგალი.

ყველაზე მეტად ის საღამოები მენატრება...

უფროსებთან მისვლა-მოსვლა ნაკლებად უყვარდა ნუგზარს. არც ისინი ფეთავდნენ მისთვის, თავიანთი საფიქრალი გასჩენოდათ. გამომცემლობა „მერანი“ შ.პ.ს. ორგანიზაციად აქციეს და ინსტანციიდან ინსტანციაში დარბოდნენ, რომ შენობა სათავისოდ დაეთრიათ. სურდათ, მოგვიანებით კარგ ფასად გაეყიდათ, ხელი მოეთბოთ (ასეც მოიქცნენ!). ამიტომ იყო, წიგნების გამოცემა შეწყვიტეს და თანამშრომლები ნელ-ნელა დაითხოვეს. ხეირიანად ვერც გავიაზრე, ისე უცებ აღმოვჩდი ქუჩაში. ჩქარობდნენ ბიჭები! არადა, დირექტორმა განაცხადა, „მწერლები, რომლებიც გამომცემლობის თანამშრომლები არიან, უწილოდ არ დარჩებიან!“ ეს ხმაურიანი სიტყვა მწერალთა კავშირში წარმოთქვა, გაზეთშიც დაბეჭდა. თუმცა განაწილებისას გადავავიწყდით, ეტყობა, სიხარბემ სძლიათ...

იმ ხანებში კანტიკუნტად ვხვდებოდი ნუგზარს, ერთხელ შემომჩივლა — გულის ოპერაცია გავიკეთე, თავს ცუდად ვგრძნობო... შეცვლილი მეჩვენა, გამხდარი, უგუნებო. „მრავალსერიანი ფილმის სცენარზე ვმუშაობ, მაგრამ მალე ვიღლები და თავს ძალას ვატან...“ ახალი გამოცემული კრებული მაჩუქა, საუკეთესო მოთხრობები შეეტანა. მსურდა, წერილი დამეწერა, სითბო და სიყვარული მეგრძნობინებინა. ასეც მოვიქეცი. „შენი სტუმარი ვარ, ნუგზარ!“ — ერქვა სტატიას. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ ლევან ბრეგაძემ გამოაქვეყნა. სანამ ჟურნალი გამოვიდოდა, ნუგზარი გარდაიცვალა. საოცრად დამენანა...

ნათელში მისი სული!

შოთა ნიშნიანიძე

შოთა ნიშნიანიძე გამორჩეული პოეტი იყო — თავისი პოეზიით, პიროვნული ღირსებებით, ცხოვრების წესით. ხასიათიც გამორჩეული ჰქონდა — დინჯი, უთქმელი, ოდნავ მორცხვი. გარეგნობაც — ტანადი, ბრგე, ალალი მზერით, უწყინარი გამოხედვით. თავმდაბალი... უცხო ადამიანებთან, მიმსვლელ-მომსვლელთან მხიარულ მასლაათს აშკარად გაურბოდა. იჯდა თავისთვის, ჩუმად და წყნარად...

1971 წელია, პირველად შევაღე გამომცემლობა „მერანის“ კარი. (შოთა მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას ხელმძღვანელობს.)

მის კაბინეტში მრავლად შედიოდნენ და გამოდიოდნენ ახალგაზრდები — პირველი წიგნის მომავალი ავტორები... მეც ერთი მათგანი გახლდით. რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ვერაფრით გავბედე კარის შეღება და ბატონი შოთას წინაშე წარდგომა. რაღაც მაფრთხობდა — ყველაზე მეტად კი ის საოცარი სიჩუმე, მისი ოთახიდან რომ გამოდიოდა. მგონი, წერდა ან კითხულობდა. კარგა ხანს მომიწია ცდამ. ნიკა აგიაშვილი დამეხმარა. კარი შეუღო და წარმადგინა: „გაიცანი, ახალგაზრდა ავტორია, ჩვენი მიწა-წყალი, რატომ ალოდინებ?!“ — თითქოს უსაყვედურა.

ახლაც მახსოვს ბატონი ნიკა. საშუალო ტანის, თმაჭაღარა. კრემისფერი კოსტიუმით, თეთრი, ქათქათა ხალათით. მუდამ თავაზიანი, მომღიმარი. იმერული პენით სავსე. დერეფანში მდგომს გამეცნო. სადაურობა მკითხა. ქუთაისის ხსენებამ გაახარა. მცირე გასაუბრებამ ერთმანეთს დაგვაახლოვა. მშობლები იკითხა, როცა გაარკვია, რომ ბებია სოფელ სალხინოდან მყავდა, გაიხარა. ახლობლები აღმოვჩდით.

მაშინ იყო, ბატონმა ნიკამ, მკლავში ხელი წამავლო და შოთა ნიშნიანიძის წინაშე წარმადგინა... ხელნაწერები დავუტოვე.

მეორედ მისვლისას, მომეჩვენა, რომ ვეღარ მიცნო პოეტმა (აშკარად არ ვახსოვდი). ხელახლა წარდგენა დამჭირდა. მოკლედ, რაღა დავმალო, ოთხჯერ გავიცანი ბატონი შოთა და კარგახანს მაინც უცნობებად დავრჩით. მოგვიანებით მივხვდი, ეს ერთგვარი, მისეული ფანდი იყო მოძალადე ავტორებისაგან თავის დასახსნელად. არავის არაფერს პირდებოდა, სამომავლო გეგმებსაც ნაკლებად აცნობდა. ვერც იმას მივხვდი, ბოლოს და ბოლოს, ჩემს წიგნს ეღირსებოდა თუ არა დღის სინათლე. თუმცა სულ მალე, 1974 წელს, გამომცემლობა „მერანმა“ ჩემი მოთხრობების მეორე კრებული („ჩემი ახლობლები“) გამოსცა. რედაქტორი მურმან ქოიავა იყო.

მაშინ, შოთა ნიშნიანიძის კაბინეტის კართან ატუზული, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მალე თავად გავხდებოდი გამომცემლობა „მერანის“ თანამშრომელი და იმავე ოთახში, იმავე მაგიდასთან (სადაც შოთა ოჯდა) მომიწევდა წლების გატარება, საგამომცემლო საქმით დაინტერესება. უცნაურია ცხოვრება!

ბატონ შოთას უკვე დაწერილი ჰქონდა შესანიშნავი ლექსები. ბევრი მათგანი ზეპირად ვიცოდი: *„დიდება თქვენდა, თოროსანო ბერო მამებო, თქვენ შეგინახავთ ენა, რჯული, ერი, სამეფო“. „რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან ქედგახეხილი, გადატყაული... ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა არაფერი მაქვს დანაშაული“ „ო, ციხის ლოდო ჩამოშლილო, ჩამომსხვრეულო — შენ, ძვალო ჩემო, გატანჯულო, ჩემო სხეულო.“*

იმ წლებში შოთა ნიშნიანიძის ლექსების კრებულები 100 000 ტირაჟით გამოდიოდა. ხალხი იტაცებდა მის წიგნებს. ლიტერატურულ საღამოებში ნაკლებად იღებდა მონაწილეობას. რატომღაც საზოგადოების წინაშე გამოსვლას ერიდებოდა. მალე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვეს და მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. თუმცა მოკლე დროში დატოვა თუ „დაატოვებინეს“ თავმჯდომარის ადგილი. მთავრობასთან მიეთ-მოეთი, გაძრომ-გამოძრომა არ ჩვეოდა. პირფერობა და ცრუკაცობა მისთვის მიუღებელი იყო, ხომ გითხარით, სხვა ყალიბის კაცი იყო, სხვა სულისკვეთების... სავალალოდ, მსგავსნი ცოტანი მეგულებიან.

მახსოვს, ერთ თავის წერილში წერდა შოთა, რომ „ამირანის ყველა ავკარგი და სისუსტე, მეტნაკლებად ყველა ქართველის ავკარგი და სისუსტეა“. ამ გადასახედიდან რომ გავცქერი (წლების შემდეგ), თავადაც ამირანს ემსგავსება, ავკარგით თუ სისუსტით, შემოსეული „ყვავ-ყორნებით“. გარეგნობითაც წააგავდა — საცრისოდენა თვალებით, გულუბრყვილო მზერით, „ხარისქედა ვაჟკაცს“ რომ უწოდებდნენ. რაც მთავარია, ჩვენთვის ნაცნობ მეწვრილმანე შემოქმედთ ნაკლებად ჰგავდა, უთვალავი ვითომ „მეგობარი“ რომ ჰყავთ და მათ შორის ერთგული და საიმედო ძალზე ცოტაა...

P.S. კარგა ხნის წინანდელი ერთი ჩვეულებრივი დღე მაგონდება. საღამოა. ცხელა. სამუშაო საათები დამთავრდა, ქუჩაში გასვლა გვეზარება. „მერანის“ ფანჯრებიდან რუსთაველის პროსპექტს გავცქერით. გამვლელ-გამომვლელთ ვათვალიერებთ. ვხედავთ, შოთა ნიშნიანიძე მოაბიჯებს — მძიმედ, ფიქრიანად. თეთრი ხალათის საყელო ოდნავ შეუხსნია. ხელში წიგნი უჭირავს. გვერდით ქალი მოყვება, ახალგაზრდა, ტანკენარი. რძისფერი შარვალი აცვია. კოხტა და ნატიფი ქალი ჩანს. ენას არ აჩერებს, ტიკტიკებს (ძალით აკრულს ჰგავს)... აშკარად ჩანს, თავი ვერ დაუხსნია პოეტს. დინჯად მიჰყვება.

ჩაიარეს.

წამოვეწიეთ.

რუსთაველის ძეგლთან, შადრევანთან ახლოს, მარმარილოს მოაჯირზე ჩამომჯდარი ვიპოვეთ პოეტი. წუთშესვენება გამოეცხადებია. ქალი თავზე ადგა — ლექსებს უკითხავდა. ხელჩანთიდან ფურცლები ამოაქვს, შლის, აფრიალებს. ძნელი გასარკვევია, მოსწონს თუ არა პოეტს — აშკარად თავი ვერ დაუხსნია... უხერხულად იშმუშნება. არადა, ჩალის ღერებს ცეცხლი რომ წაეკიდება და ერთბაშად აალდება, ამგვარად აალებული ჩანს ქალი. იცინის, ტკარცალებს. ბედნიერია...

მიმსვლელ-მომსვლელი არ აკლია პროსპექტს — ნაცნობები და უცნობები. ბევრმა მათგანმა იცნო საყვარელი პოეტი... ოდნავ ნაბიჯს ანელებენ, თუმცა ნაკლებად ესალმებიან, აშკარად თვალს არიდებენ... ჩვენც უხმოდ ჩავუარეთ. არადა, მომეჩვენა თუ მართლა, მზერა შეცვლია პოეტს. სახეზე ღიმილი დასთამაშებს... მოუსვენარ, ცელქ გოგონას რომ თანაუგრძნობ და ყველაფერს აპატიებ, ამგვარ დღეში იყო...

...მოგვიანებით, შოთას დასაფლავების დღეს, მწერალთა სასახლეში ვნახე ის ქალი. პროცესიას გარიდებული, კუთხეში მარტოდმარტო იჯდა. თავჩახრილი ცხარე ცრემლით ტიროდა. მომეჩვენა თუ მართლა, მღელვარებისაგან თითები დაკრუნჩხოდა... ფეხები ერთმანეთში ჩაგრეხოდა... ნამტირალევი თვალები წითლად უღუზღუზებდა...

შემდგომ აღარ მინახავს, არსად შემხვედრია — თითქოს ერთბაშად გაქრა თუ გადიკარგა ის უცნობი, ახალგაზრდა ქალი...

პოეტი
გიორგი კაპანაძე (კორნაპელი)

ინდივიდუალური ხელწერის პოეტი იყო გიორგი კორნაპელი. თავდაპირველად იგი ქუთაისში გამოჩნდა, სვირიდან იყო. გიორგი კაპანაძედ გაგვეცნო. უკვე ზრდასრული, ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდა იყო (სოხუმის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული). თუმცა, არცერთი დღე არ უმუშავია. ყოველდღე ზესტაფონის ავტობუსს მოჰყვებოდა. მთელ დღეს მწერალთა კავშირში გაატარებდა და საღამოს უკან ბრუნდებოდა. თავისებური კაცი იყო, თავისნება, საკუთარი სამყარო ჰქონდა. მისი პოეზია უცხო, ძნელად შესაცნობ დინებად შეერია ქუთაისელთახელწერას, მათ პოეზიას. საზღვრები არ ჰქონდა, ნაპირზე გადმოდიოდა და ვიღაც-ვიღაცებს, უკვე ცნობილ პოეტებს, შავ დღეს აყრიდა. მასთან კამათი ძნელი იყო. პირადად მე საკუთარი თავი ხშირად დამიჭერია, რომ მწერალთა კავშირში შეხვედრისას, გიორგისთან საპაექროდ წინასწარ ვემზადებოდი. ეგვიპტე და პაპირუსები, ფარაონები და მუმიები, სარკოფაგები და რამზესის ქანდაკება (ხელახლა გადავიკითხე). მთელი მისი პოეზია დღევანდელობიდან ამოსხლეტილს ჰგავდა, რომელსაც წარსულის უსასრულობაში გადაჰყავდა მკითხველი. არც მომავლის უკიდეგანო სივრცეების ხილვა აკლდა. მის საოცრად სახეობრივ, მუსიკალურ და ფერადოვან პოეზიაში სისრულით ირეკლებოდა დედამიწის, სამშობლოს, მშობლიური კუთხე-კუნჭულის უმშვენიერესი პეიზაჟები. „მუნჯობს სოფელზე ზამთრის ღრუბლების თალხი და ქსოვს აქ ყოფნის წარმავლობას ნაღვლით, ქსოვს სიყვარულის არდაბრუნების ძახილს ქარის აღდგომით, ქარის ფოთლებით დაღლილს“.

იჯდა ჩვენს შორის მდუმარედ, მოქირქილე, ჟღალ ულვაშებში ალაგ-ალაგ ღიმილი გაუელვებდა. მეჩვენებოდა, რომ ყველას ერთად დაგვცინოდა, უფროსებს თუ უმცროსებს. შეიძლება ასეც იყო. გავლენის დიდი ძალა ჰქონდა. ზოგიერთი ჩემი თანატოლის პოეზიაში უკვე მისეული მიხვედრები თუ მიგნებები გაილანდა. თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, ჩვენ შორის კიდეც იყო და არც იყო. „ეს კიპარისი თოვლს დაუხრია, მწვანე დუმილი თოვლით შემკრთალა და უდარდელი ფიფქების ფრიალს ანათებს შორი ელვების კვალი“. იგი ყველასგან განსხვავებული ჩანდა, როგორც პოეტი და როგორც პიროვნება...

მერე თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. პოემები წიგნად გამოსცა, ჟურნალებში დაიბეჭდა. მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს. გურამ ასათიანმა მის შემოქმედებაზე რეცენზია დაწერა. ინდივიდუალური ხმის ავტორად შეაფასა. მალე მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში გაგზავნეს სასწავლებლად.

ხშირად ჩამოდიოდა. ერთხელ სამსახურში მეწვია. შეცვლილი ჩანდა. გრძელი, ლურჯი ქურთუკი ეცვა. რკინის შესაკრავზე ფარაონის პროფილი ჰქონდა ამოტვიფრული. „რას სწავლობ-მეთქი?“ — ვკითხე. „არაფერსო“. „ახლა რატომ ჩამოდი-მეთქი?“ — „ლექტორებს სვირის არაყი მოენატრათო“... თვითონ არ სვამდა. სხვების მოუთმენლობით, სმით თუ უდარდე-

ლობით ერთობოდა. სასწავლო კურსი არც დაუმთავრებია, ისე დაბრუნდა შინ. დედა მყავს ცუდადო, წუხდა. თვალები ცრემლისგან ამღვრეოდა.

დასაფლავებაზე წავედით. ზედა სვირი მთიან ფერდობს შეფენილი კოპწია სოფელი აღმოჩნდა. ბაღ-ვენახებში ჩაფლული. გოგიას ეზო-კარი ვიპოვეთ. რამაც ყველაზე მეტად გამაოცა და არ დამვიწყებია, შუა სოფელში კაკლის, ვაშლის, მსხლის, ნაირნაირი ხილით დაჩრდილულ ეზოში, კოპწია იმერული ოდა-სახლი იდგა, ხისგან ნაგები. ეზოს ღობე არ ჰქონდა (ზამთარში შეშად დაეწვა).

იდგა შემოუღობავი, იავარქმნილი, ოდნავ სევდიანი, მშობლების აშენებული ხის ძველი სახლი. მხოლოდ ვენახი შეეღობა, სხვა დანარჩენი, თავისუფლებას მოყვარული კაცივით, ყოველგვარი მესერ-ღობის გარეშე, მწვანე ჭალაზე ეულად იდგა, პატრონს ჰგავდა...

დასაფლავებაზე ოტია იოსელიანიც ჩამოვიდა. მწერლები წამოეყვანა „ვოლგით“. ვერ მოეგნო. იცინოდა ოტია, გრძელ ჩიბუხს აპლაკუნებდა. ჰყვებოდა: „სოფელში რომ შემოვედი, გოგია კაპანაძე ვიკითხე. რომელი გოგია გინდაო, მკითხეს ყანაში მომუშავე გლეხებმა. რამდენი გყავთ-მეთქი. ორიო... ერთი ჭკვიანი და მეორე გიჟიო. ჭკვიანი რომელია-მეთქი. ფერმის გამგეო. ჩვენ გიჟთან მივდივართ-მეთქი. გაოცებულებმა შემომხედეს.“ რაღაც უხაროდა ოტიას, სიცილისაგან ბჟირდებოდა. საკუთარ თავსაც გოგიას მსგავს გიჟად მიიჩნევდა, ალბათ. ეს ახარებდა...



გოგია კვლავ თბილისს დაუბრუნდა. სამი-ოთხი წიგნის ავტორი იყო, მკერდზე წარწერით იდგა მწერალთა სასახლის წინ. „უსახლკარო პოეტი“ — იტყობინებოდა წარწერა. ვიღაც დაფრთხა, სადღაც დაიბარეს და გოგიას ოროთახიანი ბინა მისცეს. ცოლიც შეირთო. თუმცა დიდხანს ვერც ცოლთან გაძლო და ვერც ახალ ბინაში. კვლავ სვირს მიაშურა... მარტოობასა და განმარტოებას შორის მუდამ ზღვარი არსებობს. ამ ზღვარზე ყოფნა უწევდა გოგიას...

ბოლო ნახვისას „მერანში“ მეწვია, აღტაცებული ჩანდა, მეზობლები ავიყოლიე და კორნაპის სერზე (კორნაპელიც იმ მთის საპატივცემულოდ დაირქვა) რკინის ვეება ჯვარი აღვმართეთო. მიყვებოდა, შუაღამისას მშენებლობა რომ დავამთავრეთ, მოულოდნელად ცაზე კაშკაშა შუქურა გამოჩნდა. განგებამ თითქოს ნიშანი მოგვცა. ხალხმა დაიჩოქა. სოფელი გაოცებით მისჩერებოდა ცაზე აღბეჭდილ ნათებას, ჯვრის ფორმა რომ მიეღო...

ამის შემდეგ პატივი და ავტორიტეტი მოემატა გოგიას სოფელში. მეზობლები რიდით შეცქეროდნენ, ჭკუას ეკითხებოდნენ... თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა, სულ მალე გიორგი კორნაპელი გარდაიცვალა. თავისსავე სოფელში დაკრძალეს, მშობლების გვერდით. ახლობლებმა უჭირისუფლეს... თავადაც ასე ეწადა, ალბათ.

მის ორიგინალურ შემოქმედებაზე, პოეტურ ხედვებსა და მიგნებებზე შესანიშნავი წერილები დაწერეს გურამ ასათიანმა, ნაირა გელაშვილმა და გია ბენიძემ (რისთვისაც დიდი მადლობა მათ). ვალერი ბრიუსოვი ამბობს: „ვინც პოეტად არ შობილა, იგი ვერასდროს პოეტი ვერ გახდებაო“.

გიორგი კაპანაძე ნამდვილი პოეტი იყო, სულით პოეტი.

ხშირად, როცა ქუთაისისკენ ავტობუსით მგზავრობა მიწევს, ზესტაფონს რომ გავცდები და მთის გორაკზე შეფენილ სოფელ სვირს დავინახავ, ფიქრი გამიელვებს: „ნეტავ, როგორ არის გოგიას ეზო და სახლი. გაპარტახებულია თუ ვინმე პატრონი გამოუჩნდა?!“ დარდი მეძალება და ვგრძნობ, მასზე ფიქრისას, ყოველთვის, ჩემდაუნებლიედ, ვარსკვლავიანი ღამის მედიტაციებში დაბადებული მისი ჰანგები ჩამესმის:

ჰეი, აღსდექით —
ცეცხლოვანი რაშების სუნთქვა
წალეკავს წარსულს,
სამუდამოდ უნდა წალეკოს.
აღარაფერი გამახსენოთ:
ვიყავ,
არც ვიყავ,
მხოლოდ სიჩუმედ იციმციმეთ
ახლა ქარებო!

იღბალსა და უიღბლობას შორის ყოველთვის მცირე მანძილია, მთავარია, რომელ მხარეს შეგირჩევს განგება... ამ შემთხვევაშიც ასეა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ნიჭიერი პოეტის ხსოვნას ძნელად შეელევა ქართველი მკითხველი!

გურამ პეტრიაშვილი

* * *

მოიყვანა შავი შაშვი
და სარკეში ჩაახედა.
შაშვს ეგონა თავი ყვავი,
ჩუმადა თქვა: „ვაი, დედა!“

კაცმა უთხრა: „ნუ იდარდებ,
ნუ შეგაკრთობს შენი ფერი,
შენთვის, ჩიტო, მთავარია
მღერიხარ, თუ არა მღერი.“

სიყვარული

მოგვივლენ მანანოები,
ტკბილსა გვიმღერენ ნანასა,
სიზმარში ჩაგვაყოლებენ
ლამაზსა გამოცანასა:
„რა არის, გულს რომ მოგვიკლავს,
მაგრამ არა ჰგავს დანასა?“

* * *

სიტყვა გეშლებათ, გაგისწორებს
მაგ სიტყვას შეშლილს,
გიჟსა და სულელს, ნუ უწოდებთ,
გეთაყვა, შეშლილს.
უნდა ვიცოდეთ, კაცი ვინმე
სულელი თუა,
ის სულელია, იმიტომ რომ
აკლია ჭკუა.
მე არც შეშლილის განსაზღვრება
გამიჭირდება:
უფრო მეტი აქვს შეშლილს ჭკუა,
ვიდრე სჭირდება.
ჰოდა, თქვენს შორის სიკეთისა
მოსურნე თუა,
გამოართვით და გაიყავით,
თუ მეტი აქვს კაცს თავში ჭკუა.

* * *

იასამნების ხეივანს
მუდამ უბერავს ქარიო,
იასამანი რომ ყვავის
ქარში, ლამაზი არიო.

იასამანის ყვავილი
ქარში ჰგავს ჩირაღდანსაო,
თითქოს დროებით ჩამქრალსა,
მაგრამ ამნთებსა წამსაო.

დრო მოვა, ჟამი ჩამოჰკრავს,
აანთებს ჩირაღდნებსაო,
ყველასთვის სასიხარულო
წამი იქნება ესაო.

სხვა რა მოხდება, არ ვიცი,
მაგრამ გპირდებით ერთსაო:
ცეცხლოვან ბუჩქთა ბრიალში
ჩვენ დავინახავთ ღმერთსაო.

* * *

ღელავს ჯეჯილი. კარგი რამ არი,
თითქოს ირხევა მწვანე ხანძარი.
და ისე დახტის მწვანე კალია,
თითქოს ამ ხანძრის ნაპერწკალია...

ირონიული ნატვრა

შენთვის ცრემლად ვიღვრებოდე,
დავიღვარო, დავდგე ტბადა
და შენ ჩემში ბანაობდე
გულის გასაგრილებლადა...

ვერ-ახდენილი იგავი

ყვავმა იპოვა ყველი,
აფრინდა, დაჯდა ტოტზე
და ელოდება მშვიდად,
როდის მოირბენს მელა.
წესიერია ყვავი
და წესისამებრ ფიქრობს,
რასაც იგავი ამბობს,
უნდა ასრულდეს ყველა.
მაგრამ, ეტყობა, მელას
სხვაგან სხვა საქმე ჰქონდა,
საქმე კი არა – იქნებ
რაღაც გეგმები მთელი:
სადღაც ელოდა თევზი,
ერთი კი არა შვიდი,
ანდა ყვინჩილა შტერი,
ან უფრო დიდი ყველი...
ყვავს ჩაეძინა ბოლოს,
ყველი მიწაზე გდია,
გამოიარა კატამ,
რომ არ კითხულობს წიგნებს,
არაფრად აგდებს იგავს
და არაკებს თუ ზღაპრებს,
ყველს თუ იპოვის, შეჭამს,
გზას უიგავოდ იგნებს...

შავჩოხიანები

დგანან შავ-შავ ჩოხებში მძიმედ გამოწყობილნი:
ოთხი დიდი კაი ყმა, ოთხი მკვიდრი ძმობილი.
თითქოს ახლა იმღერეს „შავლეგო“ და „ჩაკრულო“,
მედგრად ჩვენო მამულო,
ქრისტეს ჯვარზე გაკრულო.
ან იქნება სამღერად ახლა ემზადებიან,
ცოტნესა და თევდორეს სვე-ბედს შეჰხარბებიან...
და თუმცა ამ სურათზე ყველაფერი შავია,
ეს სიშავე მომავლის ფერთა ნათესავია.

დიმიტრი ერისთავს

იღიმებიან შენი ქალები.
მოდიან და იღიმებიან.
იღიმებიან...
მათი ღიმილი
მნახველსა სწვდება
გულისგულამდე.
მოდიან ლაღად, ფეხშეწყობილად
გამოსცდებიან ნახატის ჩარჩოს
და გაჰყვებიან
ბედნიერ მნახველს
მთლად
სიცოცხლის დასასრულამდე...

* * *

მაღალი იყო ის ვარდის ბუჩქი
და ყვავილები მაღლა ეჭირა,
ვერა სწვდებოდა პატარა გოგო,
ვერა სწვდებოდა, ლამის ეტირა.

მერე მოვიდა მაღალი კაცი,
ვარდის ტოტები დაბლა დახარა,
სურნელი ღრუბლად ძირს ჩამოვიდა
და მისით დათვრა გოგო პატარა.

* * *

გალაკტიონი ხიდზე ვიდოდა
და უცქეროდა ფანტელთა ფრიალს,
თითქოს სამყარო
შუშაბანდი
იყო ვეება,
და ყურს უგდებდა
მინების წკრიალს...



ომარ ხაიამი

რუბაიები

* * *

მეინახენო, ღვინო მასვით, მომეცეს ძალი,
პირს ქარვისფერი გამიღუოს, ვითარცა ლალი.
როცა მოვკვდები, არ დამზარდეთ, გამბანეთ ღვინით,
ვაზის კუბოში ჩამაწვინეთ მარადი მთვრალი.

* * *

ომარ, დროების ჩარხიტრიალს ბევრნი ჰყვედრიან,
რასაც ჰყვედრიან, ეგ რა ძნელი მისახვედრია!
შენ, ჩანგის ხმაზე, არ გაუშვა ხელიდან ჯამი,
სანამდე მაგ ჯამს განგების ქვა არ მოხვედრია.

* * *

რად მიმიმსხვრიე ღვინის სურა ქვაზე, უფალო?
სიამის ბჭენი ჩამირაზე, რაზე, უფალო?
ჩვენში დარჩეს და, შენც ჩემსავით ხომ არ დაითვერ? —
ნუ შემრისხავ კი, ამ სიბრიყვის თქმაზე, უფალო!

* * *

ზღვიდან ნაშობი წვეთი ზღვისა შეერთო ზღვასვე,
მიწის ფიორი — მტვერი გზისა, შეერთო გზასვე,
მსგავსად — რა არი ქვეყნად შენი მოსვლა
და წასვლა? —
გამოჩნდა ბუზი, გაკრთა ერთ წამს და გაქრა წამსვე.

* * *

აფსუს, გავლიე უსარგებლოდ მთელი ცხოვრება,
გაარმდა ლუკმა, სუნთქვაც ჰაერს იმათხოვრება,
პირშავად დამსვა ცით ნაბრძანის არშესრულებამ,
ჩემით კი რაც ვქმენ, ვაჰ, რა მწარედ მემახსოვრება!

* * *

თუ გსურს ედემში ფერიები გვერდით მოისხა,
მითხრეს, ნუ სვამო მის წვენს, ვაზმა რაც გამოისხა!
ეს ახლო ნაღდი მირჩევნია იმ შორ ნისიას,
გაღმა დაკრული ყურს ატყუებს, ძმაო, დოლის ხმა.

* * *

მო, მერიქიფევ, მუშკისა და ამბრის ფშვენებით,
ღვინო გვასვი და თან დაგვატკბე შენი მშვენებით,
ჩვენც დავიფშვნებით სანამ თიხად, ხოლო მედოქე
ახალთახალ დოქს გამოძერწავს იმ ნაფშვენებით.

* * *

ცხოვრება ჩვენი რაკი ჟამის ერთი წამია,
იცხოვრე ლაღად, განიქარვე, რაც გიწამია,
ბრძენს ვისმე ჰკითხე, ის აგიხსნის, რომ შენი არსი
მტვერია, ქარი, ცეცხლია და წვეთი ნამია.

* * *

იმხიარულე, დარდს და ნაღველს დაუსხლტე რათა,
თორემ, ვით ბრუნავს, კვლავ იბრუნებს ეს ჩარხი ცათა,
შენი თიხისგან გამომწვარი აგურებით კი,
ააშენებენ სასახლეებს სხვათა და სხვათა.

* * *

დილის ჟამს, ცას რომ მტრედისფერი შეეკიდება,
კრიალა ღვინით აღავლინე ღვინის დიდება,
ღვინო სასმელად მწარეაო, ჩივიან ზოგნი, —
სწორია, რადგან ღვინოშია ჭეშმარიტება!

* * *

ცოდნა მიყვარდა, ცოდნის ლოდი მეც მიკოდნია,
ცოდნის ხიდანაც ყველა ტოტი დამიწოდნია,
სამოცდათორმეტ წელიწადში რაც ვიცოდინე,
მერეღა მივხვდი, არაფერიც არა მცოდნია.

* * *

ძნელი და ბნელი გზებითა ვარ მუდამ მგზოვარი,
ჩემთვის სიმშვიდეს არ იმეტებს ჟამი მყოვარი,
ღმერთს მაინც ვმადლობ, რომ ათასი დარდი და ურვა,
ჩემი მყოფნის და არავისგან მაქვს სათხოვარი.

* * *

შენი ცხოვრება, — ჰეი, მონავ ოთხის და შვიდის*, —
სწორედ მაგ ოთხის და მაგ შვიდის ხუშტურზე მიდის,
ნუ ხარ ხარბი და ხარახურის მოეშვი ხვეჭას,
წახვალ და — მორჩა! ტყვე იქნები სამარის მშვიდის.

* ოთხში იგულისხმება ოთხი ელემენტი (მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი), შვიდში — იმ დროისთვის ცნობილი შვიდი პლანეტა.

* * *

ვისაც ამქვეყნის გაეგება თუნდ ნატამალი,
მისთვის ერთია — ჭირი, ლხინი, დარდი ნამალი,
იქ, სადაც, ძმაო, ტოლ-სწორ გადის ავიც და კარგიც,
გინდ დარდი იყავ, გინდა კიდევ — დარდის წამალი!

* * *

ცაო, ამ ძუნწებს რო აუწყვე კოხტად ჟამკარი —
აბანოები, წისქვილები, კარგი სახლ-კარი,
პურადი ხალხი ხმელა პურზე რატომ დაგვისხი, —
ფურთხის ღირსი ხარ, შენს უკუღმა ბრუნვას გავკარი!

* * *

ვერვინ დაამხო ცის უკუღმა მბრუნავი ჩარხი,
ვერც მიწა გაძღა, შვა და ყლაპა უზღვავი ხალხი,
შენც ნუ გულზვაობ, რაკი ჯერ არ ჩაუყლაპიხარ,
მოიცა, ხვალ-ზეგ შენც გეცემა სიკვდილის ალხი!

* * *

მავანი ბრიყვი გულს იმჯიღავს, იტყვის — „მე ვარო!“
ვერცხლსა და — ოქროს აჩხრიალებს, ითვლის —
„მე ვარო!“
როცა ჰგონია, ყველა საქმე მოაიმასქნა,
სიკვდილი ღრეჭით დაუხვდება ცხვირწინ — „მე ვარო!“

* * *

ჩოგნით ნატყორცნი ბურთის დარად ჩინდი და ფრინდი,
ოღონდ, რად დაჰფრენ, არ იკითხო, არ დასძრა კრინტი,
ვინც შენ ჩოგანი ერთ ადგილას ამოგალანდა,
ეგ იმან იცის, იმან იცის, მისი ხარ წინდი!

* * *

რადგან ქარია ყოველივე, ქვეყნად რაც არი,
რადგან — რაც არი, არი ნამსხვრევ-ნაქუცმაცარი,
ჩათვალე — არსი არარსია სინამდვილეში,
სცანი — არარსიც არსი არი... ტვინი გასძარი!

* * *

ბრმა თუ არა ხარ, თვალო ჩემო, ნახე საფლავი,
ნახე ქვეყანა შარში, შურში, შფოთში ნაფლავი,
მიწად ნაქცევი მეფენი და მათი სარდლები —
ჭიაღუათა და ქვემძრომთა კბილგასაკრავი.

* * *

ჭკუის კარნახით ვინც გალია კუთვნილი ჟამი,
უქმად არ მჯდარა, ცხოვრებაში არცერთი წამი,
ანა ცდილობდა ყოფილიყო ღმერთისთვის სათნო,
ანდა ჩეროში ღვინით სავსე ეჭირა ჯამი.

* * *

წვეთი ვიყავით, დედის საშოს კენტად წვეული,
ვნების ალმურით ერთხელ გარეთ გამოღწეული,
ორიოდ ფშვენა დაგვრჩენია, დავლიოთ ღვინო,
რა ვიცით, ხვალე სად გაგვაბნევს ქარი წყეული;

* * *

იმ დღეს, რა დღესაც წმინდა ღვინო არ ჩამდის პირში,
თრიაქსაც ვსვამდე — შხამად მიმდის,
თავსა ვგრძნობ ჭირში,
ქვეყნის ვარამი შხამია და თრიაქი — ღვინო,
როცა ღვინოს ვსვამ, შხამის უკვე აღარ მაქვს შიში.

* * *

ბრძენნი, რომელთაც ცოდნის მადლი იწილეს წილად,
ჩაჰყვნენ ძირამდი ცოდნის უფსკრულს ცალად
თუ წყვილად,
ცოდნის უკუნში აერია გზა-კვალი ყველას,
მოგვიყვნენ ზღაპრებს და დაღლილნი მიიქცნენ ძილად.

* * *

ყოფნა-არყოფნის კარგად ვიცი ძირიც, ფესვებიც,
ცხადიც, ფარულიც, სხვა ყოველი ზნეც და წესებიც,
მაგრამ ამათ რომ თრობისა სჯობს ნეტარყუჩობა,
მე, იმის მცოდნეს, მრცხვენია, რომ ვიცი ესენიც.

* * *

ბედით დევნილი, უდაბნოში ღამის მთევარი,
ვერ ისვენებს და არც ასვენებს ბედი-მდევარი,
დღეს სახვალიოდ რაღაც მიზეზს მოუგონებენ,
ხვალ კი უხვდება წინ სიკვდილი, ვით სატევარი.

* * *

გახმამყივარდა ჩემი სევდა, როგორც ნაღარა,
სიმთვრალე მძალავს, სიბერემაც შუბლი დაღარა,
თუმც, საყვარელო, შენი ნაზი თმის შემხედვარეს,
აღარც სიბერე მაგონდება, აღარც ჭაღარა.

* * *

სანამ დარდები მრუმე ფიქრებს შემოგისევენ,
ტურფასთან ერთად ღვინის მადლი შენ გაიხსენე,
განა ოქრო ხარ, შე სულელო, მოჰკვდე, ჩაგფლან და,
როცა დასჭირდე, ამოგიღონ უკან ისევე.

* * *

თავისქალებით ვინც შეძერწა ცის დიდი ჯამი,
როგორც ოსტატი, არ ყოფილა საქმეში ხამი,
ყოფნის სუფრაზე მან ეს ჯამი დაგვამხო თავზე,
შიგ მოგვითავსა სევდა, დარდი, ზაფრა და შხამი.

* * *

ღვინოს ვსვამ, მაგრამ არ ვითვრები უგზო-უკვალოდ,
სხვა რამ წადილით თასს არ ვიღებ ხელში, უფალო,
მეც რომ შენსავით, თავი ღმერთად არ მივიჩნიო,
ღვინო მყავს ღმერთად, მას ვლოცავ და იმას ვუგალობ.

* * *

ბედის ქარავანს ჩვენსას ჩუმი გაუდის ჩქამი,
ამ უშნო ზოზინს ლხინისა სჯობს თუნდ ერთი წამი,
ჰე, მერიქიფევ, ნუ გაშინებს განკითხვის ჟამი,
გათენდა უკვე, მოდგი ღვინო, მოიტა ჯამი.

* * *

თქვენ — მეჩეთი, თქვენ — საკერპე, ჩვენ —
ღვინო და ტურფა ქალი,
თქვენ — სამოთხის ნეტარება, ჩვენ —
გეენის ალი მყრალი,
მე არ ვიცი, შენ მითხარი, თუ რა არის ჩვენი ბრალი,
როცა წერამწერლის ყალმით ეს გვერგუნა გზა
და კვალი.

* * *

სად რა ინგრევა, ცაო, ყველგან შენი ბრალია,
უსამართლობა შენი ხელის სამართალია —
შენაც, მიწაო, ეგ გულმკერდი რომ გადაგიხსნან,
აღმოგიჩენენ, შიგ რამდენი ლალის თვალია.

* * *

ას სახლს დააქცევს თვალთა ჩემთა
სისხლის ცრემლები,
ასნი და მეტნიც შიშით ძრწიან დასაქცევლები,
სისხლის გუბეა ჩემ წამწამთა ყოველი ღერი —
რომ შევარხიო, მათაც წარღვნად გადავევლები.

* * *

კარგია ვარდი, დილის ცვარით ნაკამკამარი,
მოლზე ტურფა და თვალთა მისთა ნახამხამარი,
იმხიარულე, დაივიწყე გუშინდელი დღე,
დღეის დღე ძმაო, გუშინდელზე კარგი რამ არი.

* * *

ნაკადულის პირს ამოსული ესე ბალახი,
ანგელოზის თმას რომ ჩამოჰგავს ტურფად სანახი,
როსმე ქალწული იყო ალბათ ტიტას სადარი,
ფეხი არიდე, ნუ ექცევი როგორც სალახი.

* * *

ბევრი ვეხეტე, ქვეყნად ბევრმა ქარმა დამბერა,
მაგრამ ვერც ჩემ თავს, ვერც ქვეყანას ვერა ვარგე რა,
რა ვუყო, მაინც უმადური არა ვარ ბედის, —
ზოგი რამ ავი, ზოგი კიდევ კარგიც მარგუნა.

* * *

ძველი ღვინის ერთი ყლუპი ერთ სამეფოს მირჩევნია,
სხვას ყველაფერს მიატოვებს,
ვინც კი ღვინოს მისჩვევია.
ფერიდუნის სასახლეს ჯობს ღვინით სავსე ერთი ჯამი,
ერთი ქილის ნატეხართან ხოსროს ტახტიც ჭინჭებია.

* * *

ნუ დასდევ ლხენას, სევდა არის ჩვენი ნობათი,
იყვნენ და წარხდნენ ჯემშიდი და ქეიყობადი,
სიზმარია და მოტყუება მთელი სამყარო,
მოჩვენებაა აწმყო, ნამყო, თუნდა მყობადი.

* * *

ვინც დააარსა ზეცის თაღი, მიწა და მყარი,
მანვე, ვინც გულზე მწუხარების გამავლო ღარი,
ჰოი, რამდენი ლალის ბაგე და მთვარის დარი,
ჩადო მიწაში, დაუდუნა ხელი და მხარი.

* * *

ფეხდაფეხ დამდევს, ვერ გავუგე ჩემ ბედს მე ქცევა,
ყველა საქმეში მიფურთხებს და ავად მექცევა,
სულიც გამექცა: „მოვკვდი-მეთქი, სად გამირბიხარ?“
მითხრა: „რა გიყო, როცა ჭერი თავზე მექცევა!“

* * *

რუს პირას, მოლზე მოცინარობს დილა კრიალა,
ჩამოდგი დოქი, მშვენიერო, ასწი ფიალა,
რამეთუ შენებრ პირმთვარენი ზეცამ ასობით
ხან დოქად ქმნა და ხან ფიალად დაატრიალა.

* * *

ჰოი, შენ, ვისაც ვერა გწვდება ჩემი გონება,
ვისაც არად გიჩნს ჩემი ჯანყი, თუნდა მონება,
მე ცოდვა მათრობს, თუმც მაფხიზლებს
შენდამი კრძალვა,
რაც იმედს მაძლევს, რომ მექნება შენგან ცხონება.

* * *

რამდენი ვარდიც ზეცამ მიწას აღმოაცენა,
სანამ ბოლომდის არ გაახმო, არ მოასვენა,
ნამის მაგივრად ღრუბელს მტვერი რომ შეეწოვა,
ციდან წვიმის წილ იქნებოდა ლამაზთა ცვენა.

* * *

უბიწოდ ვიშვით, აქ დაგვაჩნდა ცხოვრება ბიწად,
მოვედით ლაღნი, მწუხარება გულს გვეცა ხიწვად,
თვალთაგან ცრემლით ვერ დავშრიტეთ
ცეცხლი გულისა,
ქარს გავატანეთ ცხოვრება და ვიქეცით მიწად.

* * *

ახლა რო მქონდეს ერთი კანჭი — ცხვრის ნაოთხალი,
ვინ მაჯობებდა კაცთა შორის კაცი ცოცხალი?
ერთი ლავაში, დოქით ღვინო და გვერდით — ტურფა, —
სადმე ნანგრევში მოვილხენდი როგორც ხონთქარი.

* * *

ჩვენა ვართ უფლის იმთავითვე პირველმიზანი,
გონების თვალით გამომკრთალი შუქნი მზისანი,
ქვეყნიერების ეს წრებრუნი ბეჭედს რომ მოჰგავს,
ჩვენ იმ ბეჭედში ალმასნი ვართ ამქვეყნისანი.

* * *

თუკი შემოქმედს ის არ უნდა, რაც მე მინდოდა,
არ ამიხდება, რაც მე მსურდა, რაც მე მინდოდა,
თუ, რაც მას უნდა, ყოველივე ჭეშმარიტია,
მაშინ — ყოფილა ცოდვის გუნდა, რაც მე მინდოდა.

* * *

ღმერთი მაღალი არ მგონია, იყოს მაქცია, —
ჩემ მტრებსა სწყალობს, მე კი ბევრჯერ პირი მაქცია!
ეს ხაპიც თუმცა მუსლიმანი არ არის, მაგრამ —
იმაზე რა ვთქვა, ვინც ეს კვახი ხაპად აქცია.

* * *

განაგდე დარდი, ჭაბუკურად გაითარეშე,
წარსულს მოეშვი, სადღეისო იანგარიშე,
ხელს ნუ გაუშვებ შენივ გულს და სატრფოს კულულებს
და ნურცერთი დღე ნუ იქნები ღვინის გარეშე.

* * *

ჩემ ძველ სიყვარულს აბა როგორ ვაქციო მხარი,
ახალთან ვისთან დავიოკო ტრფიალი ცხარი,
წამგაუწყვეტლად როცა მიშლის სხვისკენ გახედვას
თვალთა ჩემთაგან ჩამდინარე ცრემლების ღვარი.

* * *

სანამ გასხია ძვალ-სახსარი და გიდუღს სისხლი,
საკუთარ რწმენის ზღურბლს არ გასცდე
არცერთი მისხლით,
თავს ნუ მოუხრი თვით როსტომ-ზალს,
ჰათემ თაისიც —
ძმადაც რომ გთვლიდეს — ვალად გროშიც
ნუ გინდა მისი.

* * *

თქვეს: სამოთხეში ღვინოა და ბევრი ჰურია,
ლხინობენ, ვისაც ტრფიალი და ღვინო სწყურია,
ძმაო, იქაც თუ ისევეა, რასაც აქა ვიქმთ,
მაშ რა ცოდვა გვაქვს, ეგ მუნათი სადაურია!

* * *

მე ქება შენი საკადრისი ვერასდროს ვერ ვთქვი,
უფრო ცოდვილთა თვალუწვდენელ ქარავანს ვერთვი,
მაინც დავდივარ მოწყალების შენის იმედით,
მუდამ და მხოლოდ რადგან ჩემთვის იყავი ერთი.

* * *

ჩვენზე ნადირობს ჩარხი ცათა, თარსად მბრუნავი,
წაგვაძროს რათა სული შიშით განატრუნავი.
ჩამოვსხდეთ მოლზე, სანამ თავად მოლად ამოვალთ,
ლხინი ვწიოთ და დავივიწყოთ სხვა საზრუნავი.

* * *

გამოზაფხულზე თუ ფერიის მსგავსი ქალწული
ღვინოს მომართმევს ჭალისპირას, დალალდაწნული,
ძაღლთუარესი ვიყო მაშინ, თუ გამახსენდეს
სამოთხის ბაღი ვარდის ღობით შემოკაწნული.

* * *

დილის სიოზე გაიფურჩქნა ვარდის კოკორი,
ბულბულს სალხინო ჟამი უდგას, ნახე, როგორი!
ჩამოჯექ, დატკბი, თორემ როცა აღარ ვიქნებით,
კიდევ მრავალჯერ ჩამოსცვივა ვარდებს ფოთოლი.

* * *

შენსას და ჩემსას როცა სული ტანს გაეყრება,
საფლავებს ჩვენსას სხვისი მიწა გადაეყრება,
გავა ჟამი და მიწა ჩვენი ნასხეულარიც
სასხვისო საფლავს ამოავსებს, სხვას ჩაეყრება.

* * *

ჩვენს დაქანცულ ტანს ქამრად ერტყმის ზეცის კამარა,
ჯეიჰუნია* — ჩვენ რომ ცრემლი გვდის წარა-მარა.
ჯოჯოხეთია ნაპერწკალი ჩვენთა ოხვრათა,
სამოთხე — შვება — მხოლოდ ერთი წამის ამარა.

---

*ჯეიჰუნი — მდინარე ამუ-დარია

* * *

ბოლოს მოგვიღებს საბოლოოდ სანამ დროება,
დავსხდეთ, ღვინო ვსვათ,
თუ დღეის დღე გვემყუდროება,
თორემ — ხვალ იქნებ წყალიც კი არ დაგვალევინოს —
ამ წუთისოფლის მე რომ ვიცი გარემოება.

* * *

გახსოვდეს: ბედი მუხთალია, უნდო, მზაკვარი.
ზურგიდან დანის დასაკრავად მუდამ მზად არი,
ჰალვაც გაჭამოს, არ ინდომო, არ გადაყლაპო,
შხამი იქნება — არა ყანდი, არა შაქარი!

* * *

არარსი იყავ, არ გჭიროდა ძილი თუ საზრდო,
ოთხმა სტიქიამ არსი მოგცა, თან ფასიც დასდო:
იმავ ქისაში, საიდან და რამდენიც მოგცეს,
დრო მოვა, უნდა ეგ ყოველი უკანვე ჩასდო.

* * *

რასაც ჩემზე ლაპარაკობ, ბოროტებით მოგდის ეგა,
შენი სიტყვით უღმერთო ვარ, კერპი, შლეგი, თავისნება,
კარგი, ვთქვათ და ასეთი ვარ,
მაგრამ თუა სიტყვისგება, —
კაცი შენი ზნეობისა მე მლანძღავდეს, არ იქნება.

* * *

საღი გონებით ჯამი ესე ასჯერ ქებულა,
ასეულ კოცნით შუბლი მისი შვებულ-ცხებულა,
ოსტატის ხელით ნატიფად და კოხტად ნაძერწი
ეშხით შესმულა და მიწაზე დანარცხებულა.

* * *

სცანი — ამ სოფლის უმეცარი, არაფერი ხარ,
შენი ძირ-ფუძე არის ქარი, — არაფერი ხარ,
ყოფნა-არყოფნის შუა ზღვარი — არაფერია,
შენც არაფერში შუამდგარი — არაფერი ხარ.

* * *

მეტი სიხარბე კაცმა უნდა ცოდვად არ იდოს,
თვისი — იკმაროს, სხვისას უნდა თვალი არიდოს,
რაც დაწერილა მის სახელზე ბედის დავთარში,
ის არის მისი და ის უნდა იჭეშმარიტოს.

* * *

ხვალის საწუხარს, მოდი, ძმაო, არ ჩავეძიოთ,
ჯამი ავწიოთ, ლხინი ვწიოთ, საქმეს ვეწიოთ,
თორემ ხვალევე, შეიძლება ჩვენც აღარ ვიყოთ,
და ჩვენ წინაპრებს, სულ ერთ წამში წამოვეწიოთ.

თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

ახალი ტიპის მე(გულ)თვალყურე

გული იმიტომ დავამატე, რომ თვალი და ყური გულის მატყუარა მსახურები არიან, ერთმანეთისა არც ესმით, ვერც ხედავენ — თან ჩვენც ხშირად გვაცდენენ. გულმა მომატყუაო, ასეთი იდიომა კი არ გვაქვს. **პაატა ნაცვლიშვილს** ყველაფერი **გულში** აქვს გატარებული, რომელიც სულ გრძნობს, რაც მოხდა, ხდება და მოხდება. **„ლიტერატურულ გაზეთში“** მისი ლექსები რომ წავიკითხე, პოლიტიკური ლირიკაა-მეთქი, ასეც გამეფიქრა, მაგრამ ამ ფიქრს ლირიკული პოეზიაც თან მიჰყვა. ჰოდა, ჩვენც გავყვეთ და ვნახოთ, როგორი გზა გაიარა ავტორმა.

1972 წელი — 20 წლისა, ისევე, როგორც ყველა მისი თანატოლი, მაჭარია, დუღს და გადმოდის! მისი *„ვარცლი გემად იქცა“*. თინებში თვითონ ალბათ თინეიჯერებს გულისხმობს — მე სახელი მგონია — თინათინები... ასე არ არის ხოლმე? თვრამეტი წლის შვილიშვილი მყავს და თინებმა ლამის ტელეფონი აუფეთქონ.

1982 წელი — 30 წლის ასაკში დაამთავრა მშვენიერი და მუდამ სანატრელი ხანა და დადუღებულს სხვაგვარმა წუხილებმა შემოუტია, მაგრამ არა წაბაძვით (რა ხშირად ხდება ასე!) — ინდივიდუალურად. ყველაფერი გაუფერულდა, ყველაფერი მოჩვენებითია — ლომის ფაფარი პარიკია, გზის არჩევანიც საეჭვო და გამოუცნობი, და ამის გამო მუდმივი სინანული დაუფლებია. სიტყვაც და ფიციც გაცრუებულა და იმით გაოგნებულს, რომ *„ქორს წიწილი მიაქვს და წილი მიაქვს არწივს“*, თანაც, როგორც მოგვიანებით წერს, ლურჯამაც მიაგდო მაგდანა — ეგღა მაკლია, მთელი ოჯახი ტყუვად გინახოთ, მე თქვენ გაჩვენებთ სეირსო. და შემდეგ რა მოჰყვა ამას? ფეხქვეშ მიწის გამოცლა, არა უბრალო, არამედ თავისი ქვეყნის წილი მიწის. *„წარსულს — ვერა! მომავალს, როგორც გინდა, შეცვლი!“* — წერს, მაგრამ ოცდაათვერცხლიანი იუდებიც არ ავიწყდება. რა მწარე, ვფიქრობ, საჭიროც, წასაკითხი იქნება ღალატის სამარცხვინო **პირველობა** საქართველოს ისტორიაში შედეგის სრული განხილვით... იქნებ არსებობს კიდეც და მე არ ვიცი...

1992 წელი — 40 წლის ღვინო დაძმარებულა. თავზე მეხდაცემულს, შხამიანი ისრით მოზიდული მშვილდი პირდაპირ მკერდში უმიზნებს ქვეყანასაც და მასაც. ეს წლები ყველას კარგად გვახსოვს. ის დროა, როცა საქართველოში შვიდი მომაკვდინებელი სამუდამო ცოდვა ბრწყინვალე ზეიმ-ნადიმებს აწყობს. ტყუილად ხომ არ დაიჟინებდა — *„შვიდი წევრი სუფრასთან — შვიდი, შვიდი, შვიდი!“* სამუდამო-მეთქი, განა შეიცვალა ამპარტავნობა თავმდაბლობით, ანგარება მოწყალებით, სიძვა უმანკოებით, მრისხანება სიმშვიდით, ნაყროვანება მარხულობით, შური სიყვარულით?!. სასოწარკვეთა კი — სასოებით... მხოლოდ ეს ამართლებს, ოღონდ ესეც ზედმეტი ვიცით — ერთი მერცხლით გაზაფხულს რომ მოვიყვანთ ისეთი, მაგრამ მთლად ხავსად ქცევას მაინც სჯობს.

2002 წელი — 50 წლისა კი დარდობს, რომ *„სცილასა და ქარიბდას შორის ფრთას ვერ გაატევ“*-ს. არ ვიცი, პაატა რას გულისხმობს, მაგრამ მე რუსეთი და ამერიკა ამეკვიატა — თუ ვცდები, მას არ დააბრალოთ. ცოტა მოგვიანებით *„ხურჯინსა და ზურგჩანთას უგზო-უკვლოდ დაათრევ“*-ს. ხურჯინს, როგორც წარსულს, კავკასიონზე გადაკიდებულს, ხოლო ზურგჩანთას, როგორც მომავალს, სხვათა ქვეყნებში ფაცხაფუცხით გაქცევისათვის?! რა ვიცი, მე ასე გავიგე.

2012 წელი — 60 წლის პაატამ ყველაფერი იცის და არაფერიც არ იცის. დაიბნა. რა დაიჯეროს — სიცრუის სიბრძნე-სიმართლე თუ სამოციქულოსი.

აკი ამბობს ორსტრიქონიანში: *„მწყემსი ჩემი მაცხოვარი — დაბნეული მე ცხოვარი“*.

ძალიან გამწარებულია — *„მთელი ათი წელია, თათს ილოკავს დაათვი“*. რომელი დაათვი, რამდენი? ფეხქვეშ მიწა გამოგვეცალა, საბურთალოს სასაფლაოზე, და არამარტო იქ, სამშობლოსთვის თავდადებული მრავალი ბიჭის (გოგოებისაც) საფლავის ქვები ვიშოვეთ. მეც გავმწარდი... რაღა დარჩენია იმედის გარდა, სჯერა, რომ მოიყვანს თავისუფლებას, „გაზაფხულს ერთადერთი მერცხლით“. უამისოდ, ანუ უიმედოდ ყოფნა ხომ დანაშაულია!

ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ ამ ყველაფერს მწარე ირონიით ამბობს, რაც გაუთავებელ წუწუნს მირჩევნია.

ეს **0**-ები, ცარიელი, უაზრო სივრცე, ბავშვობაში მაშინებდა: წარმოვიდგენდი, რომ იქ ვარ გამომწყვდეული... ახლა მძულს ნულები! იმიტომ მძულს, რომ მართლა ნულებში გამოვიკეტეთ. ერთადერთხელ ვაღწევთ იქიდან თავს ვითომ სასუფეველში გადასასვლელად, რომელიც, როგორც ამბობენ, მხოლოდ წმინდანების საკუთრებაა. ჩვენ, ცოდვილებს, რაღა დაგვრჩა? მხოლოდ ოცნებებით თუ გადავუქროლებთ გალაქტიკას. სამაგიეროდ, ყოველ წამს ალყაში ვართ მოქცეულნი და ქანცის გაწყვეტამდე ვიბრძვით რაღაცის ან ვიღაცისთვის — რაც, წესით, ღირსეულად უნდა მოვიგოთ — და მუდამ ასე გამოდის?! არადა, დარდის გასაქარწყლებლად რას ვაკეთებთ? რას და, ზოგი პოკერის სათამაშოდ მიდის,ზოგი სოლარიუმში, ზოგი თმას ინერგავს და ზოგი სილიკონიანი ღიმილით იწონებს თავს და მერე მოუბეზრებლად „სელფაობს“. ჰოდა, ეს ჩვენი პაატაც მიდის პოკერის სათამაშოდ და თვითონ **სელფმეიდმენი** ხანდახან **ტინგიცმენად** გადაიქცევა ხოლმე. ამას ის ფოტოც მოწმობს, ლექსებს რომ აქვს დართული (აქვე ვიტყვი, რომ ვისაც ეს **(ატინგიცება)** ზოგჯერ მაინც არ შეუძლია, **ვინ** ჯგუფს არც განეკუთვნება).

კი მიდის პაატა სმოკერ-პოკერისტებთან, მაგრამ მერე რა, ყველაფერი ავიწყდება? ღვინო მწარე არყად გადაიქცა. ამ სამოცდათხუთმეტი ჩამოთვლილი ქალაქიდან ალბათ სამოცდაათში მაინც იქნება ნამყოფი. „სელფებიდან“, მკითხველთან ბოდიში რომ არ მქონდეს მოსახდელი, ვტოვებ მისი სიცანცარის პირველ მაგალითს — ვისაც წაკითხული აქვს, მიხვდება, რატომ. ამ ლექსის ქვესათაურია **„შტერი დამები და ტლუ ვალეტები თბილისურ ბარში“**. გამეცინა — ბარში, აბა, რა, სხვაგან ხომ ძნელად იშოვება! ახლა ვნახოთ, როგორ დროს ატარებს პაატა თამაშისას: თითო ციტატას მოვიყვან და ვუპასუხებ კიდეც:

ვერ გაიგებ, ვინ რას გაჭმევს,
ვინ გასმევს და ვინ გაპურებს,
. . . . . .
. . . . . *.სინგაპურებს.*

(მთავარია, ვჭამოთ, ღირსება რა შუაშია)...

. . . . . .
. . *თუ აბუდაბებს,*
შტერ დამებს და ტლუ ვალეტებს
ეს ბლეფები ადუღაბებს.

(პაატა, აქ რასაც გულისხმობ, ისედაც ყველა მიხვდება)...

. . . . . .
.....*ლავალეტებს,*
კაროლი და ტუზი უნდათ ამ დამებს
ამ ვალეტებს.

(რასაკვირველია, თანამდებობა და ფული უნდა ყველას)...

. . . . . .
....*ვალენსიებს,*
სხვა შტერნი და როყიონი,
სხვას დაწერენ ხვალე სიებს.

(აქ უცბად ამ გაზეთის რედაქტორის პერსონაჟი გამახსენდა „შავი სიის კავალერებიდან“ — ყველასთვის ცნობილი სენტენციით რომ იწონებს თავს: *„იცი, რას გეტყვი — იცხოვრე, ძმაო, კარგად, მაგრამ შენს სამშობლოზე კარგად ნუ იცხოვრებ, რა“*. სინამდვილეში კი რა ხდება? როგორც კი არეულობას დაინახავენ, დროს იხელთებენ და მდიდრდებიან ხოლმე).

. . . . . *თუ ბუენოს-აირესებს,*
მე თუ ტუზი მივაყიდე,
ვაი თურქებს, ვაი რუსებს.

(ხატთან რომ დაიფიცო, პაატა, მაინც არ დავიჯერებ, უფრო დიდი ვაი ქართველებსო, ამის თქმა რომ გინდოდა— ეტყობა რითმაში ვერ მოარტყი).

. . . . . *და კინტოებს,*
ნუ ენდობი, ეს პრიკუპი,
რაც გაქვს, იმას დაგიტოვებს.

(დიდად რამე შეიცვალა?)...

. . . . . *...ანტანანარივუებს,*
ინტერვიუს არ აძლევენ,
დუ ჩარებს და ჩარი დუებს.

(აბა, აქ რა ვთქვა, გიგოს თხაც კი მიხვდება აზრს — მაგრამ შედეგი?)...

ვერ გაიგებ, ვინ რას ბლეფობს,
ვინ ისვრის და ვინ ისველებს,
. . . . . .
. . . . . *.თბილისელებს.*

(აქ კი ბოლომდე ვერ დავეთანხმები, ძალიანაც კარგად ვიცით, ვინ ისვრის და ვინ ისველებს, მაგრამ მერე რა? ხშირად ჩასვრილები უფრო ლაღად გრძნობენ თავს, ვიდრე ჩაუსვრელები).

რაც შეეხება **„ჩიტების თვითგამოფ(რ)ენას“**, რამდენიმე სტრიქონმა დამაინტერესა. ეს პაროდიაა სელფის ვირუსის გამო. აქ, ძირითადად, ჩემი აზრით, ტროპის შვილობილით, ისევ ირონიით, „გვარიგებს“: *„მე გავივლი ტოეფელს* (ინგლისს ხომ არ გულისხმობს?) *და შენ ისწავლე დელფი* (საფრანგეთს?), *სერტიფიკატს რომ მოგვცემენ, გადავიღოთ სელფი!“* სადაც უნდა გაიხედოს ადამიანმა, ყველა საკუთარი თავის ტკბობით არის დაკავებული. მერე, სერტიფიკატს რომ მოგვცემენ, წართმეულსაც მოაყოლებენ? ისე, აჯობებს, ევროპამ ჯერ თავისთავს მიხედოს... ამ დროს რას ფიქრობს პაატა? *„დაასველა წვიმამ პლაჟი, მზემ გაათბო შელფი“*. მგონი, საქმისკენ მოგვიწოდებს — რამდენადაც ვიცი, შელფის გზა ოკეანეების ფსკერისკენ მიდის, სადაც ავტორი, როგორც ჩანს, ნავთობის ან ბუნებრივი აირის ძებნას იწყებს.

მერე ირონიის გარეშე წერს: *„ჩაინაცრა ნაკვერცხალი, წითლად ღუის ღველფი“*, რაც ხანგრძლივი წუხილის სახე მგონია. ბოლოს ისევ იმედიანად ამთავრებს: *„არავისი არ გვჭირდება დახმარება — ჰელფი! სელფი! ჩიტებს თვითონ ვაფრენთ, სელფი! სელფი! სელფი!“* ღმერთმა გისმინოს, რადგან დახმარებაში უფრო ბევრს წაგვართმევენ, ვიდრე — დაუხმარებლობაში.

ყოველი ღირსეული მოქალაქის გზა სამშობლოს გზას უნდა მიჰყვებოდეს. უფრო სწორად, ყველა ღირსეული მოქალაქის ბიოგრაფია სამშობლოს ისტორიის მსგავსი უნდა იყოს. ასე მაფიქრებინა პაატა ნაცვლიშვილის **„ლიტერატურულ გაზეთში“** გამოქვეყნებულმა ლექსებმა.

ისევ სატინგიცოზე გადავალ — დავიღალე უარყოფითი ემოციებით — **„მიე მიაში“**, მიმაჩნია, რომ **„მია“** საალერსო სახელია, ხოლო **„მიე“** ატინგიცებული კაცის და ერთი კუთხის დიალექტის ნიმუში. ნახეთ, როგორ ესიყვარულებ-ესარკაზმება სავარაუდო მოღალატე ქალს: „**მიე**-გაზაფხულეო“, „**მიე**-დედოფლეო“, „**მიე**-დიბა-ატლასეო “, „**მიე**-ტყუპეო,“ „**მიე**-რთვიო“, „**მიე**-ქანდაკეო“, „**მიე**-კალმახეო“, „**მიე**-ავაზეო“, „**მიე**-გავაზეო“, „**მიე**-კ-**მიე**-ო“, „მიდი, **მია, მიე**!!!“ (აქ მთლად გადაირია!)... *„როგორც მეხუტებოდი, როგორც მეთვისებოდი, როგორც გსურდი, ისე?!“* რა ძალიან გიდარდია, ძმაო. გული მომეწურა, თქვენ ხომ ვერასოდეს ივიწყებთ გამქცევ ქალებს — ოღონდ სიყვარულის კი არა, თავმოყვარეობის შელახვის გამო. ასეთი ლამაზი ლექსი, კარმენებს რომ მიუძღვენი, ველოდები და გეკითხები, ერთგულებს როგორ **მიეთაყვანები**?

P.S. წერილი დაწერილი არ მქონდა, **„ლიტერატურულ გაზეთში“** შალვა საბაშვილის (პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მივხვდი, რომ ძალიან საინტერესო და ნიჭიერი ადამიანია) „ისევ შესაკრებთა გადანაცვლების შესახებ“ და მერე პაატა ნაცვლიშვილის „მკითხველიც ასეთი უნდა“ რომ წავიკითხე. კიდევ ერთხელ ვაღიარე მამაკაცის ტვინის აღმატებულება და გავბრაზდი! ვინ გიბრძანათ, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება? ანდა რა საჭიროა ეს „ჯამი“, ფიალა არ ჯობია (რას არ იტყვის გულმოსული ადამიანი)? **აი ია** — შეხედეთ რა სიმშვიდეს აფრქვევს ეს ორი პაწია სიტყვა. ახლა წაიკითხეთ ამავე გაზეთის ოქტომბრის ნომერში ლია სტურუას: „ია აი!“ (ძახილის ნიშანი ჩემია, უხდება). რა — სიმშვიდე და ნიშნისგება თუ აბუჩად აგდება ერთი და იგივეა? თუ ასე გგონიათ, მიაყოლეთ „ია აი“-ს შემდეგი სიტყვები: „ჩემი პატარა სამშობლო, კამეჩების მარში“... და არაფერი იცვლება?

ბოლოსღა წავიკითხე პაატას **„გზაზე ერთი ჩრდილი მიდიოდა**“ და **„შესაკრებთა გადანაცვლების“** პირველი ექვსი ხაზი (ბოდიში, პაატა, დანარჩენი აღარ წავიკითხე, მათემატიკაში ბეცი რომ ვარ, ალბათ იმიტომაც). ეს გონება კიდევ სად არ გადაგისვრის. პირველმა სტრიქონმა, იცით, რა გამახსენა? მეათე-მეთერთმეტე კლასი კახეთში დავამთავრე. ერთხელ არჩევნები დაემთხვა. დავინახე, ბევრს თოხი ჰქონდა მხარზე გადებული, საარჩევნო უბნიდან პირდაპირ ვენახებში ან ბაღ-ბოსტანში მიდიოდნენ ოფლის საღვრელად. ეს რაღა გასახსენებელია, არ ვიცი. კარგი დრო იყო, ხალხს მიწა უყვარდა.

მერე ფიქრის კორიანტელი ამიტყდა: რატომ მაინც და მაინც თოხი და არა რამე ძვირფასი საგანი... ანუ რა, ჩრდილი ღარიბისაა? ისე, მე რა შუაში ვარ, ეს იმან იფიქროს და იდარდოს, ვინც თავს არჩევინებს — რომელი ჯობს, ბევრი თოხიანი თუ ცოტა ჩოხიანი... ჩემსავით მაკიაველი ხომ არ გაგახსენდათ: *„მთავარი გულუხვი უნდა იყოს იმათ მიმართ, ვისაც არაფერს ართმევს, ისინი კი ურიცხვნი არიან, და ძუნწი იმათ მიმართ, ვისაც არაფერს აძლევს, ხოლო ისინი ცოტანი არიან “*. ცოტაში, რა თქმა უნდა, წარმატებულ მდიდრებს გულისხმობს. და გავაგრძელე:

საიდან მოდიოდა ან სად მიდიოდა ჩრდილი (არ ჩანს, კაცის თუ ქალის — ეს მომეწონა), რა მიზნის მიზნით, რა მიზეზის მიზეზით გაიდო მზე მხარზე თოხივით, რატომ თოხივით და არა ცელივით, ჯახუნს ჭრა არ ჯობია? რომელ მხარზე ჰქონდა გადებული — მარჯვენაზე — გამარჯვებისთვის თუ მარცხენაზე — დამარცხებისთვის, რა შედეგის შედეგს ელოდა? იძულებითი არჩევანით მიდიოდა თუ იძულებითი არადანით? საიდან მოდიოდა?.. ალბათ წუხდა ჩრდილი ამ მარადიულ დილემა-დარდზე, „ხომ არ შევცდი?..“. მე ფიქრით კინაღამ ტვინი მეღრძო უპასუხო შეკითხვებით, თქვენ კი მათემატიკის ცოდნით ტრაბახობთ. მეც შემიძლია ამ წინადადებით ჩემებური „იმპერიალ-ფაქტორიალი“ შევქმნა — რა თქმა უნდა, არათქვენნაირი — ისეთი, თუ როგორ შეიძლება, ყოველი სიტყვა მთავარი იყოს:

მხარზე ჰქონდა, **მხარზე** გადებული, **მხარზე** მზე, **მხარზე** მართლა, **მხარზე** თოხივით...

მზე ჰქონდა, **მზე** მხარზე, **მზე** გადებული, **მზე** მართლა, **მზე** თოხივით...

ჰქონდა მხარზე, **ჰქონდა** მზე, **ჰქონდა** გადებული, **ჰქონდა** მართლა, **ჰქონდა** თოხივით

გადებული მხარზე, **გადებული** მზე, **გადებული** ჰქონდა, **გადებული** მართლა, **გადებული** თოხივით...

მართლა მხარზე, **მართლა** მზე, **მართლა** ჰქონდა, **მართლა** გადებული, **მართლა** თოხივით

თოხივით მხარზე, **თოხივით** მზე, **თოხივით** ჰქონდა, **თოხივით** გადებული, **თოხივით** მართლა.

ესაც 6-სართულიანი „ფაქტორიალი“ და თუ ტრაბახს არ მორჩებით, ამ წინადადების (თავის არსებით-ზედსართავ-ზმნიანად) თითოეულ სიტყვას გავშიფრავ და სეირს გაჩვენებთ — 720 000-ზე ავალ!

იმედია, გაიგებთ, რომ ვიხუმრე...

პატივისცემით,
თქვენი უფროსი და
მანანა ამირეჯიბი

გამომცემელი

გია ქარჩხაძე

ახლახან „ქარჩხაძის გამომცემლობამ“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო. „ქართული ალტერნატიული პროზა“ — ასე ჰქვია სერიას, რომელიც წარმოგვიდგენს ავტორებს სხვა არჩევანით, სხვა სამყაროთი, სხვა ხედვით, ენით, სტილით. ეს აღმოჩენების სერიაც არის — ლიტერატურათმცოდეებსა თუ ლიტერატურის მოყვარე ადამიანებს არაერთი სიახლე, გაკვირვება ელით იმ ავტორებთან შეხვედრისას, რომელთა უმეტესობას, თითქოს, კარგად იცნობენ, ოღონდ, არა ამ კონტექსტში.

სერიის პირველი სამი წიგნი — გურამ რჩეულიშვილის, სოსო პაიჭაძისა და ჯემალ ქარჩხაძის პროზაული კრებულები — უკვე გამოიცა.

როგორ გაჩნდა ალტერნატიული პროზის იდეა და რა პრინციპით შეირჩა კონკრეტული ავტორები — ამ და სხვა კითხვებს გამომცემლობის დირექტორი, გია ქარჩხაძე უპასუხებს.

— ვფიქრობ, ეს თქვენი გამომცემლობის ერთ-ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი პროექტია. რა უდევს საფუძვლად იდეას, შეგექმნათ სერია „ქართული ალტერნატიული პროზა“?

— ფაქტია, რომ ყველგან, მათ შორის ჩვენთანაც, არსებობს მეინსტრიმი და არსებობს კონკრეტული ალტერნატივა. ის, რაც დღეს ალტერნატივაა, შეიძლება, გარკვეული ხანში, იქნებ თაობების მერეც, სტაბილური, ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება გახდეს. არაერთი ადამიანი გვახსოვს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანს ქმნიდა, მაგრამ სიცოცხლეში ცოტა თუ იცნობდა მას, მოგვიანებით აღმოაჩინეს. ასე ვთქვათ, გაცილებით უკეთ გაუგეს და მისი შემოქმედება სულ სხვანაირად დაინერგა თაობებში. მინდოდა, ამ სერიით წამომეწია ყველაზე სერიოზული ნაკადები ქართულ ლიტერატურაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტები, რომლებიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწერა. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ მოთხრობებს — ქართული ალტერნატიული პროზის სერიის ყველა წიგნი მოთხრობათა კრებულია.

— უკვე გამოეცით „მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობების ანთოლოგია“...

— ამ წიგნში შევიდა რჩეული ნაწარმოებები, უმნიშვნელოვანესი თხზულებები — მთელი თემატური, აზრობრივი თუ სტილური მრავალსახოვნება წარმოვადგინეთ. ასევე, შევიტანეთ ისეთი ნაწარმოებები, რომელთა შესახებ, ლიტერატურათმცოდნეების ნაწილმაც კი არ იცოდა, ჩემდა გასაკვირად. ბუნებრივად გაჩნდა ალტერნატიული ნაკადის წამოწევის საჭიროება. ის ტექსტები ზედაპირზე უნდა ამოვიტანოთ, ხელმისაწვდომი გავხადოთ მკითხველისთვის. ამ პროექტს, ჩემთვის, სოციალური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე — კომერციული.

— „ანთოლოგიამ“ გამოაჩინა ავტორები, რომელთა შესახებ ცოტამ თუ იცის. ვფიქრობ, სოსო პაიჭაძე ერთ-ერთი მათგანია.

— სოსო პაიჭაძე, ჩემი და ბევრი ლიტერატურათმცოდნის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი მწერალია. მან ორიგინალური, განსაკუთრებული ტექსტები შექმნა. თვითონ ნაწერები ახასიათებს თავის თავს. ასეთი ტექსტი დიდ მუშაობას მოითხოვს და ბევრი ვერ იწერება. ისინი ძალიან ტევადი, დამუხტული, დატენილია. მართალია, ავტორი ახალგაზრდა გარდაიცვალა და ბევრი ვერ მოასწრო, მაგრამ რაც დაწერა, უმნიშვნელოვანესია.

— თქვენთან შეხვედრამდე სოსო პაიჭაძის წიგნები — თუ არ ვცდები, სულ ორია გამოცემული, სერიულ გამოცემას თუ არ ჩავთვლით — მაღაზიებში მოვიკითხე, მაგრამ არ ჰქონდათ, ვერც ინტერნეტში მივაკვლიე მის ტექსტებს.

— დიახ, ვერ ნახავდით. სიცოცხლეშიც ბევრი არ იცნობდა მის ნაწერებს. მე, მაგალითად, სოსო პაიჭაძე მამაჩემისგან გამეგონა. მამა თვალს ადევნებდა უმცროსი თაობის მწერალთა შემოქმედებას, კითხულობდა ყველაფერს და მახსოვს, ხაზგასმით უთქვამს, გამორჩეული ავტორი არისო. ერთ ინტერვიუშიც ახსენებს მას. საერთოდ, ერიდებოდა სახელებისა და გვარების დასახელებას, სულ, ორ-სამჯერ თუ მოქცეულა სხვანაირად. იმ ინტერვიუში ამბობს — პირდაპირ დავასახელებდი სოსო პაიჭაძესო. მწერალი მაშინ უკვე გარდაცვლილი იყო და მამამ თავს უფლება მისცა, პირადად ეხსენებინა.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მკითხველს საშუალება აქვს, თქვენი სერიის დახმარებით გაიცნოს სოსო პაიჭაძე. ასევე, სხვა ავტორები და მათი ალტერნატიული პროზა.

— გამომცემლობა არის შუამავალი ავტორსა და მკითხველს შორის და მისი მიზანიცა და დანიშნულებაც ესაა — მნიშვნელოვანი ტექსტები, ლიტერატურული მოვლენები ამოსწიოს და გამოიტანოს დღის სინათლეზე, მიაწოდოს სულ უფრო მეტ ადამიანს, რათა იკითხონ, იკვლიონ, შეაფასონ, დააფასონ.

— ვიცნობთ ავტორებს, რომლებიც ფართო მკითხველისთვის ნაცნობი, მისაწვდომი და საყვარელია, რომელთა ნაწარმოებები ასაზრდოებს სხვა მწერლებს. იმავდროულად, მათი შემოქმედება ალტერნატიული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია. თქვენი სერია ერთ-ერთი ასეთი ავტორით იწყება.



„იკითხონ, იკვლიონ, შეაფასონ“

— რჩეულიშვილზე მართლაც ვერ იტყვი, რომ უცნობი მწერალია, მაგრამ აქ არის ერთი დიდი „მაგრამ“ — დღეს ქუჩაში ვინმე რომ გააჩეროთ და კითხოთ აზრი რჩეულიშვილსა და მის მოთხრობებზე, შეიძლება, გაგაოცოთ პასუხმა — იმან, თუ რა წარმოდგენა აქვს ავტორზე, როგორ აღიქვამს მის შემოქმედებას. მკითხველთა დიდი ნაწილი რჩეულიშვილს არასწორად კითხულობს, მისთვის ის სულ სხვა ვინმეა. მაგალითად, სკოლებში ასწავლიან „უსახელო უფლისციხელს“, რომელიც, ძალიან ხშირად, ეროვნულ-პატრიოტულ თემაზე დაწერილი მოთხრობა ჰგონიათ. ნაწარმოებების ამგვარი ახსნა კი ძალიან მოძველებულია — სკოლის მოსწავლეებსაც კი აღარ აღელვებთ. ჰეროიკული თემატიკა სულ სხვანაირად უნდა მიაწოდო ბავშვს და არა მკერდზე მჯიღის ცემით. სამწუხაროდ, „უსახელო უფლისციხელიც“ ამ ნაკადში გადის. თუმცა, ის არის ძალიან ღრმა — სრულიად სხვაგვარად გასააზრებელი, სულ სხვა ტიპის ტექსტი.

რჩეულიშვილის ნაწარმოებების უმრავლესობა თანამედროვეა, ზეთანამედროვეც. ისინი მომავლის მოთხრობებია, მაგრამ ისე უნდა შევადგინოთ, ისე შევფუთოთ და მივაწოდოთ მკითხველს, რომ ადამიანმა სწორად დაინახოს და მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობად კი არ აღიქვას, არამედ ჩვენი დროის ლიტერატურულ ალტერნატივად — როგორ უნდა წერო ისეთი ძარღვიანი, სერიოზული, მუხტიანი პროზა და, იმავდროულად, იყო ძალიან თანამედროვე! ჩვენი მიზანი იყო, სწორედ ასეთი რჩეულიშვილი ამოგვეწია და მიგვეწოდებინა მკითხველისთვის. მკითხველში მხოლოდ ახალგაზრდობას, ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს, არ ვგულისხმობ, იმიტომ, რომ უფროსი თაობის უამრავი მკითხველია, რომელსაც ხშირად ჩემს თვალწინ „აღმოუჩენია“ ასეთი ავტორები და გაოცებულა. ასე მოხდა „ანთოლოგია“ რომ გამოვეცით — ძალიან კარგმა მკითხველებმა, რომლებსაც წიგნში შესული ყველა ტექსტი ცალ-ცალკე წაკითხული რომ ჰქონდათ, იგივე ნაწარმოებები „ანთოლოგიაში“ თავმოყრილი წაიკითხეს, გაოცდნენ, რადგან ასე მიწოდებული სულ სხვანაირად აღიქვეს — თურმე რამდენად მრავალფეროვანი ყოფილა, რამდენად საინტერესო, რამდენი რამ აკავშირებთ დასავლეთთან, მსოფლიო ლიტერატურულ ნაკადებთან.

გამომცემლობისთვის მთავარი ეს არის სწორედ: რა ლიტერატურას აირჩევს, როგორ მიაწვდის და შეუფუთავს მკითხველს, რა მესიჯს გაუგზავნის. სერიის ძირითადი არსიც ესაა — შევთავაზოთ საზოგადოებას ყველაზე ხარისხიანი ტექსტები, რომელზეც, შესაძლოა, დაშენდეს მომავალი ლიტერატურა. თუმცა, ეს კიდევ საკითხავია, რამდენად შესაძლებელია ერთ ლიტერატურაზე მეორის დაშენება.

— მესამე ავტორი, რომელიც გამოეცით, ჯემალ ქარჩხაძეა. წიგნის პრეზენტაცია 13 მაისს გაიმართა. ვფიქრობ, ამგვარი წიგნის გამოცემით მწერლის დაბადების დღე საუკეთესოდ აღინიშნა.

— 13 მაისს მამაჩემს 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ იუბილეები და მსგავსი ღონისძიებები არ მიყვარს. არც არაფერს ვაპირებდით, უბრალოდ, ამ ახალი წიგნით აღვნიშნეთ.

შეიძლება, იკითხოს ვინმემ: „რა მხრივ არის ჯემალ ქარჩხაძე ალტერნატიული?“ დღეს ბევრი იცნობს. თუმცა, 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც ჩვენ მისი ნაწარმოებების ინტენსიური გამოცემა დავიწყეთ, სხვა სურათი იყო. საქმე ისაა, რომ სიცოცხლეში მამაჩემი კატეგორიულად ემიჯნებოდა ყოველგვარ პიარს. მახსოვს, ჟურნალისტებსაც თითქმის ყოველთვის უარს ეუბნებოდა ინტერვიუზე, ტელევიზიით არ გამოჩენილა, არანაირ შეხვედრაზე წასულა. წერდა და წერდა. წერით იწყებოდა და მთავრდებოდა ყველაფერი. ასეთი იყო მისი არჩევანი. შესაბამისად, მის ნაწერებს მკითხველთა ვიწრო წრე იცნობდა. შემდეგ ჩვენმა გამომცემლობამ ჯემალ ქარჩხაძის სხვადასხვა ტიპის გამოცემები შესთავაზა საზოგადოებას. თანდათან მკითხველმა გაიცნო მისი ნაწერები, ახალი თაობა დაინტერესდა, მონახა მოულოდნელი ნაკადები მის პროზაში. დღეს ქარჩხაძის წიგნები ხელმისწვდომია, მაღაზიაში იყიდი, წაიკითხავ, აჩუქებ ვინმეს, სკოლაშიც ისწავლება, მაგრამ ჩემთვის, და ძალიან ბევრი ადამიანისთვის, ის ტექსტები მაინც რჩება ალტერნატიულ ნაკადად — არა იმის გამო, რომ მწერალი რამეს უპირისპირდება, არამედ იმიტომ, რომ ყოველთვის ძალიან ახალია და გვთავაზობს თავისი დროის სრულებით სხვანაირ ხედვას. ის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში წერდა და სრულიად სხვადასხვა ტიპის პროზას გვთავაზობდა, სწორედ ამიტომ სერიაში — „ქართული ალტერნატიული პროზა“ — უყოყმანოდ მოხვდა ჯემალ ქარჩხაძე. იმ ნაწარმოებებიდან, რომელიც ყველამ იცის, წარმოდგენილია „იგი“. ასევე, შეტანილია ისეთი ტექსტები, რომლებიც შეიძლება აღმოჩენად იქცეს ადამიანისთვის, რომელიც ჯემალ ქარჩხაძეს ცოტა სხვა ტიპის, სხვა მიმართულების ავტორად იცნობს. ბევრს ძალიან დააინტერესებს და გააოცებს, ალბათ, ფანტასტიკა მის პროზაში — ჩვეულებრივი სამეცნიერო ფანტასტიკა.

— ალტერნატიული ლიტერატურა მხოლოდ რამესთან დაპირისპირებულ ლიტერატურას არ გულისხმობს. ცხადია, აქ მნიშვნელოვანია ენა, ფორმა, დამოკიდებულება, ღირებულებები, სიახლის განცდა შემოქმედებაში. ამიტომ ვფიქრობ, რომ მრავალსახოვანი და მდიდარი იქნება ეს სერია.

— ალტერნატივა, როგორც ცნება, დიდი ხანი არ არის, რაც გაჩნდა — სულ რამდენიმე ათწლეულია. თუმცა ის ყოველთვის არსებობდა — მით უფრო, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. თავიდანვე ისმოდა შეკითხვა, რომელზეც პასუხი ბევრნაირი შეიძლება, იყოს — რას ნიშნავს ალტერნატივა, ან სად არის ზღვარი დღევანდელ ალტერნატივასა და ხვალინდელ მეინსტრიმს შორის. ეს საკამათო თემაა, თუმცა რაც უნდა ვიკამათოთ, ეს ცნება არსებობს და კონკრეტულ ნაკადებს გამოხატავს.

— სერია გრძელდება. ჯერჯერობით ცნობილია ავტორთა პირველი ოთხეული...

— დიახ, მეოთხე წიგნში წარმოვადგენთ ნაირა გელაშვილის პროზას, რაც ასევე, ხშირ შემთხვევაში, სრულიად სხვა სახით არის ხოლმე მიწოდებული მკითხველისთვის. ჩვენი კრებული განსხვავებული და ძალიან საინტერესო იქნება. შევა როგორც ადრინდელი, ისე ახლანდელი ტექსტები. კიდევ გვაქვს ჩაფიქრებული რაღაცები, მაგრამ, მოდი, ამაზე დღეს ნუ ვილაპარაკებთ.

ესაუბრა თამარ ჟურული





ამბავი მწერლებისა და ინტერნაციონალური კოცონისა

რა არის ფესტივალი? — სადღესასწაულო ღონისძიება, რომელიც ხელოვნების რომელიმე სფეროს მიღწევებს წარმოაჩენს, რომლის ფარგლებშიც იმართება ამ დარგის წარმომადგენელთა თავმოყრა, პროფესიული გამოცდილების გაზიარება, დისკუსია, ერთმანეთის შემოქმედების უკეთ გაცნობა. ეს ერთგვარი ზეიმია, რომელიც დასაბამს ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან იღებს. შუა საუკუნეებიდან ტრადიციად იქცა თეატრალური თუ მუსიკალური ფესტივალები. ლუმიერების გამოჩენიდან რამდენიმე წლის თავზე კინოფესტივალის დაბადების აუცილებლობაც გაჩნდა. წიგნის მოყვარულების თაოსნობით კი საფუძველი ლიტერატურულ ფესტივალებსაც ჩაეყარა.

16-21 მაისი. 2016 წელი.
მწერალთა სახლი
წარმოგიდგენთ
თბილისის მეორე საერთაშორისო
ლიტერატურულ ფესტივალს.
16 ქვეყანა. 19 მწერალი.
გამართვის ადგილი: მწერალთა და კავკასიური სახლები. ფრონტლაინ ჯორჯია კლუბი. თბილისის სახელმწიფო და თავისუფალი უნივერსიტეტები. წიგნის სახლი „ლიგამუსი“.
შეხვედრები/დისკუსიები/პოეზიის საღამოები/წიგნის პრეზენტაციები.

ასეთი ანონსის გამოჩენისთანავე გაჩნდა ბუნებრივი ინტერესი იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ქართველ მწერლებთან ერთად ჩაერთვებოდნენ ლიტერატურულ ფესტივალში. ორგანიზატორებმა დიდხანს არ გვალოდინეს და სახელები და გვარები მალევე გაგვიმხილეს: სიუზან შილინგლოუ (აშშ) იასუჰირო იოცუმოტო (იაპონია), ტადეუშ დაბროვსკი (პოლონეთი), დიმიტრი ბიკოვი (რუსეთი) სეიმურ ბაიჯანი (აზერბაიჯანი), დიბისი პიერი (ავსტრალია), იური ანდრუხოვიჩი (უკრაინა), ეთგარ კერეთი (ისრაელი), ელი უილიამსი (დიდი ბრიტანეთი), კრისტიან კარლსონი (შვედეთი), სადიკ იალსიზუჯანლარი (თურქეთი), ესთერ ნაომი პერკვინი (ნიდერლანდები), სერხიო ბადილია კასტილიო (ჩილე), სტივენ ჯ. ფაულერი (დიდი ბრიტანეთი), ლუკ კენარდი (დიდი ბრიტანეთი), ლუდვიგ ლაჰერი (ავსტრია), ნინო ხარატიშვილი (გერმანია), ალექს გალპერი (აშშ).

16 მაისი. 2016 წელი.

16 მაისს თბილისის მეორე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი პრესკონფერენციით გაიხსნა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მწერალთა სახლის დირექტორი ნატა ლომოური უძღვებოდნენ. იმავე დღეს ქართველმა მკითხველებმა უშუალოდ გაიცნეს „ჟუჟას“ ავტორი ნინო ხარატიშვილი. ერთი შეხვედრა მეორემ შეცვალა — ამჯერად მწერალთა სახლში შეკრებილ საზოგადოებას ავსტრიელი ლუდვიგ ლაჰერი მიესალმა.

ემოციებით დატვირთული პუბლიკისთვის საუკეთესო განტვირთვა აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული პოეტური ჯემი, რომელშიც ფესტივალის მონაწილე ყველა პოეტი იყო ჩართული. ჯემი ჯაზთან ასოცირდება, ამიტომ დიდად არავის გაკვირვებია, როცა სახელდახელო სცენაზე მუსიკოსი რეზო კიკნაძე თავის ბენდთან ერთად გამოჩნდა. პირველი დღის კულმინაციად ახალგაზრდა პოეტების მარათონი იქცა, რომლის ფარგლებშიც, როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა სტუმრებმა არაერთი საინტერესო შემოქმედი აღმოაჩინეს.

17 მაისი. 2016 წელი.

დღე საინტერესოდ დაიწყო. დისკუსიას — ქალი მწერლები აქტივიზმის ზღვარზე — რომელშიც ნიდერლანდელ ესთერ ნაომი პერკვინთან ერთად თამთა მელაშვილიც იყო ჩართული, „ფრონტლაინ ჯორჯია კლუბმა“ უმასპინძლა. კავკასიურ სახლში ლიტერატურის მოყვარულები ჩილელი სერხიო ბადილია კასტილიოსა და შვედი კრისტიან კარლსონის შემოქმედებას ეზიარნენ. მწერალთა სახლში ჯერ ბრიტანელ დიბისი პიერს მოუწყვეს შეხვედრა, მოგვიანებით კი შოთა იათაშვილმა და ზვიად რატიანმა უკრაინელ იური ანდრუხოვიჩსა და პოლონელ ტადეუშ დაბროვსკისთან ერთად ნამდვილი ინტერნაციონალური პოეტური ცეცხლი გააჩაღეს.

18 მაისი. 2016 წელი.

ეს დღე, ძირითადად, ახალგაზრდობას დაეთმო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 აუდიტორიაში სერხიო ბადილია კასტილიო, ხოლო თსუ-ს სკანდინავისტიკის ცენტრში კრისტიან კარლსონი სტუდენტებს შეხვდნენ. იაპონელი იასუჰირო იოცუმოტო და ნიდერლანდელი ესთერ ნაომი პერკვინი საზოგადოების წინაშე კავკასიურ სახლში წარსდგნენ. მწერალთა სახლში ლია სტურუას ახალი კრებულის — „მგლის საათი“ — პრეზენტაცია გაიმართა, დღე კი დიმიტრი ბიკოვის შემოქმედებითი შტრიხებისა თუ პიროვნული ღირსებების შოთა იათაშვილისეული შეფასებებითა და ლიტერატურული დიალოგით დასრულდა.

19 მაისი. 2016 წელი.

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ, პირისპირ შეხვედროდნენ იასუჰირო იაცუმოტოს და იაპონური ლიტერატურის თავისებურებსა თუ ხიბლზე ელაპარაკათ. კავკასიურ სახლში აზერბაიჯანელ სეიმურ ბაიჯანსა და ლელა სამნიაშვილთან ერთად შოთა იათაშვილი კავკასიური ლიტერატურის „ადათ-წესებზე“ საუბრობდა. დიბისი პიერის შეხვედრის პატივი ამჯერად ილიაუნის სტუდენტებს მიეცათ, რომელსაც წიგნის სახლ „ლიგამუსში“ უმასპინძლეს, მწერალთა სახლში ლევან ბერძენიშვილი იური ანდრუხოვიჩთან და სეიმურ ბაიჯანთან ერთად საათზე მეტხანს მსჯელობდა საბჭოთა ინერციაზე პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში. დღე კი ძალზე საინტერესოდ დასრულდა. პროექტმა — „მტრები“ — ბრიტანელი და ქართველი პოეტების თანამშრომლობის შედეგად შექმნილი ლექსები გააერთიანა და სწორედ ამ ლექსებს აცნობდნენ საზოგადოებას სტივენ ფაულერი, ელი უილიამსი, ლიუკ კენარდი, ზურა ჯიშკარიანი, ლია ლიქოკელი და ზაზა კოშკაძე.

20 მაისი. 2016 წელი.

დღეს პარასკევია. „ლიტერატურული გაზეთი“ მოკლებულია შესაძლებლობას, წინასწარ განსჭვრიტოს მოვლენები და დაწეროს იმაზე, რაც ჯერ არ მომხდარა, თუმცა წინასწარმეტყველება ნამდვილად არ ჭირდება იმას, რომ დარჩენილი ორი დღის მანძილზე ბევრი ისეთი რამ მოხდება, რომლის გამოტოვებაც, თუ ლიტერატურა გიყვართ, გულს ნამდვილად დაგწყვეტთ.

თბილისის მეორე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი 21 მაისს სრულდება. მომავალ ნომერში იმ შთაბეჭდილებებს გაგანდობთ, რომლითაც ორგანიზატორები და მონაწილეები მომავალ ფესტივალამდე დაგვემშვიდობებიან.

ასე რომ, ერთის მხრივ — ფესტივალის დარჩენილ დღეებზე დასწრება, ხოლო მეორეს მხრივ — „ლიტერატურული გაზეთის“ ყიდვა არ დაგავიწყდეთ!

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004